საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 დეკემბერი ორშაბათი 2010

№299 (13287) ფასი 60 თეთრი



## ორი სენსაცია ერთი რეკორდი

12

# დღეს კაჭარავა



## მეორედ მოვა

## გაგრძელება იქნება

2



## ინტერი მსოფლიოს ჩემპიონია. კონგოელებთან ბენიტესი გადარჩა

9

## ფეხბურთი თოვლში ჩაეფლო



5-10 ევროუქმეები




## ყველა თამაშობს, ბარსა ხატავს

6 ესპანეთის ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● დინამო

# მუმლაძე დინამოში და გინესის რეკორდებში

დღეს თბილისის "დინამო" ძველ-ახალ მთავარ მწვრთნელს წარადგენს – ერთთვიანი პაუზის შემდეგ **კახა კაჭარავა** პოსტზე ბრუნდება. ასეთია "დინამოს" ახალი მეპატრონის **რომან ფიფიას** გადაწყვეტილება, რომელიც ლონდონში **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახს კლუბის გადაფორმებაზე დაელაპარაკა.

კაჭარავა კლუბში 2002 წლიდან მუშაობს: 2002-03 წლებში "დინამოს" აკადემიაში მომავალ თაობებს ზრდიდა. ერთი წლის შემდეგ (2003-2004 წლებში თბილისის „ლოკომოტივს" წვრთნიდა), 2004 წელს "დინამო 2" ჩაიბარა, სადაც 2006-მდე მუშაობდა, სანამ „დინამოს" მთავარი მწვრთნელის **დუშან უჰრინის** ასისტენტად არ დაინიშნა. ამავე როლში ეხმარებოდა **რაინერ ცობელს.** 2009 წლის მარტში გერმანელი სპეციალისტის გათავისუფლების შემდეგ კაჭარავა "დინამოს" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

2010 წლის 10 ნოემბერს კაჭარავამ პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა, თუმცა "დინამოში" საქმიანობა სპორტულ კოორდინატორად განაგრძო და "დინამოს" ყველა გუნდის ზედამხედველობა დაევალა. ამავდროულად, ნაკრები გუნდების გაერთიანებულ შტაბში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასა** და ეროვნული ნაკრების თავკაც **თემურ ქეცბაიას** ინიციატივით მიიწვიეს.

დღეს, 12 საათზე დილმის ბაზაზე თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელები მედიის წარმომადგენლებს შეხვდებიან და კაჭარავას მთავარ მწვრთნელად წარადგენენ. თუმცა ეს ამბავი გულშემატკივრისთვის სიახლე არ იქნება. ჩვენ კი სხვა, უცნობი ამბები შევიტყვეთ, გადავამოწმეთ და დადასტურებულს გაგაცნობთ.

კლუბში დაბრუნება რომ გადაწყვიტა, კაჭარავამ დუბლების მწვრთნელობა რუსთავის "ოლიმპიდან" მცირე ხნის წინ გათავისუფლებულ **რამაზ მუმლაძეს** შესთავაზა. მუმლაძეს რუსთავში თამაში არ ჰქონდა წაგებული და აუხსნელი მიზეზის გამო დაითხოვეს. თუმცა მისი პროფესიონალიზმი დაუფასებელი არ დარჩა და „დინამოს" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. წლების წინ მუმლაძე სწორედ „დინამოს" დუბლშემადგენლობას ავარჯიშებდა, შემდეგ კი - ამ გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბებულ "თბილისს", რომელმაც უმაღლეს ლიგაში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი წარმოაჩინა.

ამდენად, მუმლაძემ წლეულს თავისდა უნებურად სამწვრთნელო რეკორდი დაამყარა: 2010 წლის განმავლობაში მეოთხე კლუბში იმუშავებს. თბილისის "ვიტ ჯორჯიადან" წამოსულმა წელი რეგიონალლიგის "ავაზა-ვისოლის" მთავარ მწვრთნელად დაიწყო, 2 ივნისს ქუთაისის "ტორპედოში" წარადგინეს, რომელიც 24 სექტემბერს საკუთარი ნებით დატოვა, 10 ოქტომბერს კი რუსთავის "ოლიმპი" ჩააბარეს, საიდანაც რვამატჩიანი წაუგებელი სერიისთვის "მადლობა" 7 დეკემბერს გათავისუფლებით გადაუხადეს. ერთ წელიწადში ამდენი კლუბი მსოფლიოში ბევრ მწვრთნელს არ შეუცვლია.

მოსალოდნელია ცვლილებები "დინამოს" მმართველ გუნდშიც – გვითხრეს, რომ ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლზე ორი კანდიდატურა განიხილება. გვარების დაუკონკრეტებლად გაგვიმხილეს, რომ ორივე წარსულში ცნობილი ფეხბურთელია, საქართველოს ნაკრებში უთამაშია, მაგრამ მათ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ და აქედან გამომდინარე, დაკონკრეტებას უახლოეს დღეებში შეგვპირდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

● სატკივარი



# უცნობი ცნობები ნაცნობ ბლატერზე

ზეპ ბლატერი

გაყოფილი ქვეყანა დიდი ხანია, სტკივილად გვექცა. ამ სატკივარში ერთ-ერთი ფეხბურთიცაა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთი ძალით ჩამოგვაშორა, ამ მადლიანი მხარიდან ქართული ფეხბურთი აღარ მარაგდება იმ ნიჭიერი ფეხბურთელებით, რომლებითაც ძლიერდებოდა და თვითმყოფადობას ინარჩუნებდა.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ ბევრჯერ სცადა სოხუმელთა გუნდის აღორძინება, მაგრამ ეს მცდელობები უშედეგოდ სრულდებოდა - ზოგჯერ უსულგულო დამოკიდებულებას აწყდებოდნენ, ზოგჯერ - ცინიკურსაც. მაგალითად, ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერის** მხრიდან, რომელიც ფიფას კანონმდებლობაზე მაღლა რუსეთთან "მეგობრულ" ურთიერთობას აყენებს.

სხვათა შორის, თბილისში მყოფმა ფიფას პრეზიდენტმა წინადადებაზე - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარატისტთა კლუბებს რუსები საკუთარ პირველობაზე ათამაშებენ და რეაგირება მოახდინეთო - ვითომ დიპლომატიურად გვიპასუხა, ფიფა პოლიტიკაში არ ერევაო. ამ დროს საქმე ძალიან მარტივადაა: თუ შეთანხმება არ არსებობს, ერთი ქვეყნის კლუბი მეორის ჩემპიონატში არ დაიშვება. მაგრამ ბლატერი რაც არის და რუსებთან როგორც "მეგობრობს", მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის შერჩევისას გამოჩნდა - მისმა ალმასკომმა დიდი ბრიტანეთის პრაგმატულ, მომგებიან და ეკონომიკურად დასაბუთებულ გეგმას რუსული ამჯობინა. ან ვის ახსოვს, ერთ ალმასკომს ორი მუნდიალის მასპინძლები დაესახელებინოს, მაგრამ 74 წლის პრეზიდენტმა უზარმაზარ ცდუნებას ვერ გაუძლო, ან უძლებდა კი ოდესმე?!

ახლა უშუალოდ საქმეზე: როგორც გაირკვა, ფიფა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას სოხუმის კლუბის აღდგენისა და რეგიონში ფეხბურთის განვითარებისთვის გრანტის გამოყოფას საკმაოდ უცნაური პირობებით ჰპირებოდა.

აფხაზეთის ფედერაციის პრეზიდენტი **მურად ანჯაფარიძე** "ლელოს" იმ უცნობ მოლაპარაკებებზე ესაუბრა, რომელიც წლების წინ ფიფა-უეფას ხელმძღვანელებთან და აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წევრებთან გამართა:

- აფხაზეთიდან დევნილების რამდენიმე კლუბია, მაგრამ არც ერთია ისეთი ძლიერი, ევროთასებზე რომ გავიდეს და ქვეყანა ღირსეულად წარადგინოს. მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კლუბის დაფინანსებაზე ლაპარაკი უადგილო იყო. ამიტომ წლების წინ ნიადაგი მოვსინჯე და დავინტერესდი, ფიფა და უეფა სოხუმის კლუბის აღორძინებაში თუ ჩაერთვებოდნენ და ამ ორგანიზაციებთან შესაძლო დახმარებაზე მოლაპარაკება დავიწყე.

მაგრამ რამდენჯერაც საკითხი დავაყენე, იმდენჯერ მითხრეს, რომ პროექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შუამავლობით წარმედგინა. ეს ის დრო იყო, როდესაც უეფას ლენარტ იუჰანსონი მართავდა. მაშინ გვქონდა იმედი, რომ აფხაზეთში დავბრუნდებოდით. შემდეგ უკვე ფიფას მივმართეთ და 2002 წლის მაისში მივიღეთ თანხმობა, აფხაზეთში ფეხბურთის განვითარებისთვის ხუთ მილიონ ევროს გამოვყოფთ, ოღონდ მხოლოდ საქართველოს გაერთიანების შემთხვევაში და არა აფხაზეთის ფედერაციის სახელზე თბილისში მოედნებისა და ოფისის მოსაწყობადო. საქართველოს გაერთიანება ჩვენი ოცნებაა, მაგრამ კლუბის აღდგენა ახლა გვჭირდება, თორემ, სოხუმში რომ ჩავალთ, მერე ჩვენს აფხაზ ძმებთან ერთად ისედაც აღვადგენთ.

**- ანუ ამ საკითხზე ფიფა-უეფასთან მოლაპარაკება შეწყდა?**

- მოლაპარაკება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მათ წარმომადგენელთან ვცადეთ, ერთი რუსი იყო, მეორე - შვეიცარიელი. მაგრამ, ბლატერით დაწყებული, რიგითი თანამშრომლით დამთავრებული, ყველა გვპასუხობდა - თანხებს მხოლოდ საქართველოს გაერთიანების შემდეგ გამოვყოფთო.

სხვათა შორის, წლეულს "ფან ფუტბოლის" პროგრამაში გალელი და ოჩამჩირელი ბავშვები მონაწილეობდნენ. ესეც კარგი საქმეა, აფხაზეთის ფეხბურთში დასაბანდებელ თანხებს კი თბილისში არავინ ჩადებს. თავად მე სოხუმელი ვარ და აქ სტადიონის გაკეთება სისულელე მგონია. ისე, გლდან-მუხიანში სტადიონისთვის მიწის ნაკვეთს გვთავაზობდნენ, მაგრამ სტადიონები აფხაზეთში უნდა ავაშენოთ, ჩვენი ფედერაციისთვის გამოყოფილი თანხებით კი ახლა იქ არაფერს ავაშენებთ.

სხვათა შორის, 2002 წელს აფხაზეთში საქართველოს სამთავრობო დელეგაციას ვახლდი. მაისში უკრაინასთან ამხანაგური თამაში გვქონდა და აფხაზებს მათი ფეხბურთელების საქართველოს ნაკრებში თამაში შევთავაზე. დასახელდა აჯინჯალი, რადგან ძმებიდან ერთ-ერთი რუსეთის უმაღლეს ლიგაში იმ დროს კარგად თამაშობდა. ამ მოლაპარაკებას არძინბას თანაშემწე ესწრებოდა და მკითხა, ითამაშოს, მაგრამ ამის შემდეგ რუსეთის ნაკრებში გამოსვლის უფლება ექნებაო?

ამ კითხვის შემდეგ აჯინჯალის ჩამოყვანა ავტომატურად გამოირიცხა და მეორე საკითხი დავაყენე. გავახსენე ჩვენი მეგობრობა და შევთავაზე, თქვენს ჩემპიონს და "ცხუმს" შორის ამხანაგური მატჩი გავმართოთ-მეთქი. მიპასუხეს, აფხაზეთისა და საქართველოს ნაკრებები ერთმანეთს ისე შევახვედროთ, როგორც ორი დამოუკიდებელი ქვეყნის გუნდებიო და მივხვდი, ლაპარაკის გაგრძელება არ ღირდა. თუმცა დღემდე იმ აზრისა ვარ, რომ საქართველოს ნაკრებში აფხაზების მოწვევა ძალიან კარგი იქნება.

**- ცხინვალის რეგიონს უმაღლესში გუნდი ჰყავს, აფხაზეთიდან დევნილები კი საერთო კლუბის ჩამოყალიბებაში მოიკოჭლებთ.**

- კლუბს შესანახად მინიმუმ 300-400 ათასი ლარია საჭირო, ამდენის საშუალება კი აფხაზეთის მთავრობის ბიუჯეტს არ გააჩნია. სამწუხაროდ, სპონსორიც არ გამოჩნდა. სოხუმის "დინამოს" დაფინანსებისთვის "სოკარს" და კიდევ ბევრ კომპანიას მივმართე, ბევრი პროგრამა დავწერე, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს დევნილებს ჭირის დღესავით გვერიდებიან.

ისიც გვახარებს, "დინამო" გაგრელმა კაცმა რომ იყიდა და "გაგრაც" კარგად ფინანსდება. იმედია, ეს კლუბი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდება. "გაგრა" კერძო საკუთრებაა და ბიუჯეტიდან მისთვის ფულის გამოყოფა არ შეიძლება. კლუბის პრეზიდენტი ბესიკ ჩიხრაძე ღირსეული კაცია და დახმარება თავადაც არ უთხოვია, არც მეწილე სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ დავით კვირკველიასთან

# წყალი, წყალი...

## კვირკველიას თამაში მოსწყურდა

**საქართველოს ნაკრების მცველი დავით კვირკველია ზამთრის შესვენებისას სამშობლოში დაბრუნდა. ის ყაზანის „რუბინში" რომ აღარ ითამაშებს, გადაწყვეტილია, ამიტომ კარიერის სხვა გუნდში გააგრძელება მოუწევს. დათოს ამ საკითხზე ვესაუბრეთ.**

- ყაზანის „რუბინთან" 31 დეკემბერს მიმთავრდება კონტრაქტი. ამ გუნდში თამაში არ მიწევდა და ხელშეკრულების გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. უკვე გადავწყვიტე, რომ თამაშს სხვა კლუბში გავაგრძელებ.

**- მაინც რა იყო უთამაშებლობის მიზეზი და ამ საკითხზე გუნდის მთავარ მწვრთნელ ყურბან ბერდიევს თუ ელაპარაკეთ?**

- ისედაც კარგად ვხედავდი ყველაფერს და არ მილაპარაკია. ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გამიცდა, გამოვჯანმრთელდი, მაგრამ ჩვეულ ფორმაში არ ვიყავი, სათანადოდ ვერ ვთამაშობდი. ჩემ ნაცვლად ანსალდი ჩაჯდა ძირითად შემადგენლობაში.

**- სეზონი მახაჭყალის „ანჟიში" დაიწყეთ, მაგრამ ზაფხულში ყაზანში დაბრუნდით. „ანჟიში" დარჩენა არ შეგეძლოთ?**

- „რუბინმა" მხოლოდ ექვსი თვით გამანათხოვრა, საიჯარო ვადა რომ ამოიწურა, „ანჟის" მთავარ მწვრთნელ გაჯი გაჯიევს ჩემი დატოვება უნდოდა. კლუბის მენეჯერს ჩემზე „რუბინთან" მოლაპარაკებაც დაავალა, მაგრამ კლუბები საიჯარო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ და იძულებული გავხდი „რუბინში" დავბრუნებულიყავი.

**- „რუბინში" დაბრუნებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კარიერას ნოვოსიბირსკის „სიბირში" გააგრძელებდით. თუმცა ამ გუნდში არ გადასულხართ.**

- როცა „ანჟიში" ჩემი დარჩენა გამოირიცხა, „რუბინის" ხელმძღვანელობას ვთხოვე - თუ თამაში არ მომიწევს, სხვა გუნდში მაინც გამანათხოვრეთ-მეთქი. მაშინ იყო, „სიბირის" ვარიანტი რომ გამოჩნდა, მაგრამ უარი ვთქვი. ალბათ ჩათვალეს, რომ არ ვიუარებდი და გავრცელდა ეს ცნობა.

**- რას ფიქრობთ, კარიერას სად გააგრძელებთ?**

- არდადეგები მაქვს და ვისვენებ. ხვალიდან ინდივიდუალურად ვარჯიშს დავიწყებ. მართალი გითხრათ, ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ. არის ვარიანტები, ჩემი აგენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს და ყველაფერი მალე გაირკვევა. შესაძლოა ახალი ვარიანტიც გამოჩნდეს. კლუბებს, ცხადია, არ დავაკონკრეტებ, იმას კი გეტყვით, რომ სამი ვარიანტია, სამივე გუნდი რუსეთის პრემიერლიგაშია.

**- ერთი, ალბათ, მახაჩყალის „ანჟია". ამ გუნდის თავკაცმა გაჯიევმა პრესასთან გაქოთ...**

- ეს მეც გავიგე, მაგრამ ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისე კი, სასიხარულოა, როცა ის მწვრთნელი გაქებს, რომელთან ერთადაც გიმუშავია.

**- ჩვენი ინფორმაციით, სხვა ორი გუნდი გროზნოს „ტერეკი" და ნალჩიკის „სპარტაკია".**

- მე ვერაფრს დავაკონკრეტებ.

**- ის მაინც გვითხარით, თქვენი სატრანსფერო საკითხი როდის გაირკვევა?**

- წლის ბოლომდე ან იანვრის პირველ კვირაში ყველაფერი მეცოდინება.

**- ნაკრებზეც ვთქვათ. კლუბში უთამაშებლობა ეროვნულ გუნდშიც დაგეტყოთ...**

- შესარჩევი ციკლის ოთხი მატჩიდან ორში, საბერძნეთსა და ლატვიასთან ვითამაშე. სლოვენიასთან ამხანაგურ შეხვედრაშიც მივიღე მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვარ. მეტი შემიძლია, მაგრამ უთამაშებლობა მართლაც დამეტყო. იმედი მაქვს, ახალ კლუბში გადასვლის შემდეგ ეს პრობლემა ხელს აღარ შემიშლის და უკეთესად ვითამაშებ.



დავით კვირკველია

**- ნაკრებში მარცხენა ფრთაზე მცველადაც გითამაშიათ და ნახევარმცველადაც. რომელ პოზიციაზე ხართ უფრო პროდუქტიული?**

- უთამაშებელს ისე მინდოდა თამაში, როგორც სიცხისგან გათანგულს წყალი. კარში ვერ ჩავდგებოდი და ნებისმიერ პოზიციაზე სათამაშოდ მზად ვიყავი. თუ სად უფრო პროდუქტიული ვიქნები, ეს მწვრთნელმა უკეთ იცის. ასე რომ, სადაც დამაყენებენ იქ ვითამაშებ. რაც მთავარია და ძალიან მახარებს, ისაა, რომ ნაკრებში პროგრესია და გულშემატკივარი ტრიბუნაზე მობრუნდა. ეს ხალხი გაისადაც არაერთხელ უნდა გავახაროთ.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გერმანელმა ცხადაძეს შვილი მოსთხოვა

## ქართველის ინტერმა დაძაბულობა მოიხსნა

**კახა ცხადაძის "ინტერმა" ბოლო ტურის პრინციპულ მატჩში წარუმატებელი მატჩების სერია შეწყვიტა – ბაქოელებმა თანაქალაქელ "ბაკის" სტუმრად 2:1 მოუგეს. გერმანელ სპეციალისტ ვინფრიდ შეფერისთვის ეს ერთობ მნიშვნელოვანი მატჩი იყო, რადგან მეშვიდე ადგილზე იმყოფებოდა და თანაქალაქელებთან წაგებით ფინალური ექვსეულის მიღმა რჩებოდა, 3 ქულით კი "ინტერმა" მეოთხე ადგილზე აინაცვლა.**

**ცხადაძე მატჩის შემდეგ ერთი დღით თბილისში ჩამოვიდა და ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- მიმდინარე სეზონში ჩავარდნა რამ გამოიწვია?**

- ჩემპიონობის შემდეგ დროულად მობილიზება ვერ მოვახერხეთ. თუმცა მხოლოდ ეს არ არის მიზეზი – ევროსეზონი ადრე დაიწყო, ფეხბურთელებმა ძალების აღდგენა ვერ მოახერხეს და, რაც მთავარია, ახლა ჩვენ წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული ენერგიით თამაშობს. ჩემპიონთან მოგება ძვირად ფასობს. თუმცა ბოლო ტურში "ბაკისთან" მოგებით სატურნირო მდგომარეობა გავიუმჯობესეთ. დასამალი რაა, ზედიზედ 3 წაგების გამო გუნდში რთული ვითარება იყო, ამ 3 ქულით კი ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნდათ, რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. იმედი მაქვს, რომ ახლა გარდატეხა მოხდება და პირველი ეტაპის ბოლო შეხვედრას და მეორე ეტაპს ბევრად უკეთ ჩავატარებთ. წინ კი ბევრი თამაშია და, სულ მცირე, სამეულში მოხვედრა შეიძლება. ამას გარდა, აზერბაიჯანის თასის ფინალში გასვლის მშვენიერი შანსი გაგვიჩნდა, რადგან მეოთხედფინალში პირველი ლიგის გუნდი შეგვხვდა. თასის მოპოვება წლეულს ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

**- როგორც ვიცით, "თანამეგობრობის თასზე" გამარჯვებასაც გთხოვენ.**

- დიახ, მოგება გვინდა და, ალბათ, მიზნებიდან გამომდინარე, გავძლიერდებით. წელს ჩვენმა კონკურენტებმა ბევრი ძლიერი მოთამაშე დაიმატეს, ჩვენ კი ამის საშუალება არ გვქონდა.

**- ამ გაძლიერების პროცესს რომელიმე ქართველი ხომ არ შეეწირება?**

- არა მგონია, რადგან ყველას წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული.

**- რა იგულისხმეთ, როდესაც თქვით, გუნდში რთული ვითარება იყოო, ფეხბურთელებით არიან უკმაყოფილოები თუ თქვენით?**

- ყველანი უკმაყოფილონი ვიყავით, ზედიზედ ორი შეხვედრა წავაგეთ "მუღანთან" და "ყარაბახთან", აზალ-თან ფრედ ვითამაშეთ და მეხუთე ადგილზე დავქვეითდით. ეს ჩემპიონისთვის შეუფერებელი შედეგიც იყო და იყო ლეგიონერების ფაქტორიც, მათ ხომ მცირე ჩავარდნასაც არ პატიობენ. ასეა ყველგან და გამონაკლისი არც აზერბაიჯანია. ფეხბურთელები ძალიან დაიძაბნენ, თითქოს საკუთარი ძალების რწმენა გაუქრათ. ამიტომ ვამბობ, რომ ამ გამარჯვებამ სულზე მოგვისწრო. მატჩის შემდეგ ვამჩნევდი, რომ გამარჯვებაში დარწმუნებული ისევ ის ბიჭები იყვნენ, რომლებმაც გასულ სეზონში ჩემპიონობა მოიპოვეს. მეორე წრეში ვითარება აუცილებლად შეიცვლება. სხვათა შორის, ანთალიაში "ინტერი" და შოთა არველაძის "კაისერი" ერთ სასტუმროში დავბინავდებით, იქიდან კი პეტერბურგში, თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ გავემგზავრებით.

**- "კაისერთან" ამხანაგური მატჩი ხომ არ დაგეგმეთ?**

- არ დაგვიგეგმავს, რადგან მატჩების განრიგი წინასწარ იყო შედგენილი.

**- თანამეგობრობის თასს დავუბრუნდეთ. აზერბაიჯანული მედიის გაცნობისას გვრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსულ ტურნირს ლამის ოფიციალურის რანგში განიხილავენ.**

- აქამდე მართლაც ასეთი დამოკიდებულება იყო, მაგრამ ახლა ძველებური აჟიოტაჟი აღარ შეინიშნება. პირიქით, რატომღაც ბევრი ამბობს, "თანამეგობრობას" დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთო. პირველივე სეზონში აზერბაიჯანის ჩემპიონობა მოვიპოვე და ახლა პეტერბურგშიც რომ გავიმარჯვოთ, შეიძლება, ბევრს არ ესიამოვნოს... ეტყობა, ჩემი და ქართველების ფაქტორი მოქმედებს... თუმცა ტურნირში გამარჯვებას აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. არც მიკვირს, თბილისის "დინამომ" "თანამეგობრობაზე" ერთხელ გაიმარჯვა და დღემდე ამ ფაქტს სიამოვნებით ვიხსენებთ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ერთმანეთთან თავის გამოჩენას მაინც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და ამას ვერ წავშლით.

**- ალბათ, ფავორიტად იმიტომ მიგიჩნევენ, რომ ძირითადი შემადგენლობით ბევრი არ ითამაშებს.**

- რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონები ბოლო წლებში დუბლიორებს ათამაშებენ და ამის გამო ტურნირმა ძველებური მიმზიდველობა დაკარგა. წლეულს კი პეტერბურგში ჩასვლაზე მოლდოვის და ბელარუსის ჩემპიონებმა, "შერიფმა" და "ბატემ" თქვეს უარი და მათ ნაცვლად ამ ქვეყნებიდან სხვა გუნდები ითამაშებენ.

**- თქვენი ვაჟი ბაჩანა ცხადაძე მეორე ეტაპზე "ინტერში" დაბრუნდება თუ სხვა კლუბში გამოვა?**

- "ინტერში" დარჩება და ანთალიურ შეკრებაზე ჩვენთან ერთად გამოემგზავრება. ეს კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნაა. ბაჩანამ "სიმურგში" თავი გამოიჩინა და მიხვდნენ, რომ ტყუილად არ ამიყვანია. სხვათა შორის, შაბათის მატჩის დაწყებამდე "ბაკის" მთავარი მწვრთნელი ვინფრიდ შეფერი მელაპარაკა, მისი წაყვანა სურდა, მაგრამ ეს გამორიცხულია. ბაჩანას "ინტერი" არ უშვებს და გუნდის ხელმძღვანელები თვლიან, რომ პირველ ეტაპზეც უნდა დაგვეტოვებინა. ბაჩანა აზერბაიჯანში კი გაიხსნა, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი ხარვეზი აქვს გამოსასწორებელი და ბევრი უნდა იმუშაოს, სერიოზულ დონეზე რომ ითამაშოს.


კახა ცხადაძე

**მერაბ მამულაშვილი**

სპარტაკი

# იმედიანი გაზაფხულის მოლოდინი

საქართველოს სუპერთასზე მოასპარეზე „ოლიმპისა" და „ვიტ ჯორჯიას" გარდა ყველა დანარჩენი გუნდისთვის საფეხბურთო 2010 დასრულდა. თუმცა ზოგ გუნდს საკმაოდ ხანმოკლე შესვენება ელოდება: ერთ-ერთი პირველი, მეორე ეტაპისათვის მზადება რომ უნდა დაიწყოს, ცხინვალის „სპარტაკია". როგორც გუნდის მთავრმა მწვრთნელმა **ბადრი კვარაცხელიამ** გვითხრა, „სპარტაკი" 27 დეკემბერს შეიკრიბება და ახალ წლამდე ივარჯიშებს. „სადღესასწაულო პაუზაც" დიდხანს არ გასტანს — 3 იანვრიდან გუნდი კვლავაც მომზადებას განაგრძობს, ხოლო 10 იანვრიდან ორკვირიან შეკრებაზეც გაემგზავრება (სავარაუდოდ, საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ კურორტზე). იქიდან ჩამოსვლის შემდეგ დაგეგმილია რამდენიმე საკონტროლო მატჩის ჩატარება, 12 თებერვლიდან კი „სპარტაკისთვის" გადამწყვეტი, მეორე ეტაპი დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილში „სპარტაკის" ბოლო ადგილზეა, მაგრამ გუნდის მდგომარეობას უიმედო ნამდვილად არ ეთქმის. თავად განსაჯეთ: მასზე წინ მყოფ ორ გუნდს („კოლხეთი", „სამტრედია"), „სპარტაკი" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება. ეგ კი არა, მე-4 ადგილს ექვსი ქულა აშორებს! არადა, დაახლოებით ორთვენახევრის წინ „სპარტაკი", ფაქტობრივად, ყველას „გამოტირებული" ჰყავდა — რვა შეხვედრაში მოპოვებული 5 ქულით გუნდი უიმედო აუტსაიდერად მიიჩნეოდა. თუმცა ამის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: მომდევნო ათ მატჩში „სპარტაკმა" 11 ქულა მოაგროვა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალო კონკურენტებთან სხვაობაც საგრძნობლად შეამცირა. გუნდის ასეთი „მოფერიანება" კი, რაღა თქმა უნდა, სექტემბრის ბოლოს მომხდარ საკადრო ცვლილებას უკავშირდება: **გოჩა ჩიქოვანის** ნაცვლად „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელად ბადრი კვარაცხელია დაინიშნა, ვისაც ამ ამპლუაში საქართველოში მანამდე არსად ემუშავა. დებიუტს ურიგო ნამდვილად არ ეთქმის: იმის გარდა, რომ გუნდმა ორი უშუალო კონკურენტის („ბაია", „კოლხეთი") დამარცხება მოახერხა, სტუმრად „ვიტ ჯორჯიასაც" აჯობა. აქვე, რაღა თქმა უნდა, ამ გუნდის კიდევ ორი წარმატებული მატჩიც უნდა ვახსენოთ, როცა „დინამოსთან" და „ზესტაფონთან" შეხვედრებში საპატიო ფრეს მიაღწია. სხვათა შორის, ახალმა მწვრთნელმა სადებიუტო შეხვედრაშივე სერიოზული საკადრო რეფორმები განახორციელა და დუბლშემადგენლობიდან (სეზონის დასაწყისიდან რომ თავკაცობდა) ძირითადში ხუთი-ექვსი ყველასთვის უცნობი ჭაბუკი ფეხბურთელი დააწინაურა. თუმცა გადამწყვეტი ეტაპისთვის გუნდში კიდევ რომ უნდა მოხდეს გარკვეული ცვლილებები, ჩვენზე უკეთ „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელს მოეხსენება და კვარაცხელიას ამის თაობაზეც დავეკითხეთ: „ამ დროისთვის მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „სპარტაკიდან" 11 ფეხბურთელი წავიდა. მეკარე **ლუკა გალდავას**, მცველებს — **მიხეილ კორსანტიას, ბიძინა ცინცაძეს, გიორგი თავბერიძეს, ლევან სალარიძეს**, ნახევარმცველებს — **ვასილ ფურცელაძეს, დავით მამუდოვს, ლაშა ჩალაძეს**, თავდამსხმელებს — **ზურაბ ძაგანიას, გიორგი ბაბულაიძეს** და **ილია ბუზალაძეს** ჩვენთან ბევრი სათამაშო დრო ნამდვილად არ ჰქონდათ. თითქმის ყველა მათგანი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელია, თავის გამოჩენის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ იქნებ სხვა გუნდებში უფრო უკეთ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. გუნდიდან წავიდა მეკარეების მწვრთნელი **დავით გვარამაძეც**, რომელიც ქუთაისის „ტორპედოში" იმუშავებს. ამათ გარდა, სხვა სერიოზული პრობლემის წინაშეც ვდგავართ: **ნიკა მგელაძე** „ვიტ ჯორჯიას" საკუთრებაა და ჩვენთან იჯარით თამაშობდა (ანუ, კლუბებს შორის არის მოსალაპარაკებელი); ჩემთვის ცნობილია, რომ რამდენიმე ქართული გუნდია დაინტერესებული „სპარტაკის" სამი ფეხბურთელის (**ნიკოლოზ მაისურაძე, თეიმურაზ შონია, შოთა კაშია**) შეძენით. არადა, შონია და კაშია ჩვენი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეები არიან და მათი სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა არცთუ იოლი საქმე იქნება. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა, ალბათ, ყველა ღონეს იხმარს, რათა შონიამ და კაშიამ კვლავაც ჩვენს გუნდში გააგრძელონ ასპარეზობა. რაც შეეხება შევსებას, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შეკრებაზე, სულ მცირე, სამი-ოთხი ახალი ფეხბურთელი გვეყოლება, რომელთაგანაც ერთ-ერთი თავდამსხმელი იქნება. სამწუხაროდ, დამაგვირგვინებელ ფაზაში გვიჭირს. გოლის ალღოს მქონე ფორვარდი გვჭირდება და ამ ამპლუის რამდენიმე ფეხბურთელს ჩვენს გუნდში მოვიაზრებთ. სხვათა შორის, სახიფათო მომენტების გამოუყენებლობის ბრალიც არის, თასის გათამაშებას რომ გამოვეთიშეთ. „ვიტ ჯორჯიასთან" განმეორებით მატჩში სამი-ოთხი რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთ: გოლის გატანის ჩინებული შანსი ჰქონდათ **დეკანოიძესა** და **ბარაბაძეს**, ერთ ეპიზოდში ბურთი მოწინააღმდეგის კარის ძელს მოხვდა და ასე შემდეგ. რაღა თქმა უნდა, მატჩის საბოლოო შედეგზე უდიდესი გავლენა იქონია ორმა ფაქტორმაც: 100-პროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალეს და არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი წამყვანი ფეხბურთელის, **ვალერი ბოლქვაძის** არყოფნაც. ეს მოთამაშე „ვიტ ჯორჯიასთან" პირველ სათასო შეხვედრაში, შესაძლოა, გაძევებას იმსახურებდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მეტისმეტად მკაცრი სასჯელი იყო. ისე, შემიძლია თამამად ვთქვა: განმეორებით შეხვედრაში ბოლქვაძეს რომ ეთამაშა, ნახევარფინალში „სპარტაკი" გავიდოდა!

საერთოდ კი, განვლილ პერიოდს მთლიანობაში თუ შევაფასებთ, უკმაყოფილო ნამდვილად ვერ ვიქნები. ფეხბურთელთა უდიდესი ნაწილის გამოუცდელობა რომ არა, ალბათ, უფრო უკეთესი შედეგის ჩვენებაც შეიძლებოდა. რაც მთავარია, მეორე ეტაპს ოპტიმისტური განწყობით ვხვდებით და უმაღლეს ლიგაში დარჩენის რეალური შანსიც გაგვაჩნია".


ბადრი კვარაცხელია

**გია ტუხაშვილი**

ფეხბურთი ყველასათვის

# OPES-ი დევნილი ოჯახების ბავშვებს



ამას წინათ მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის რეგიონულმა ფედერაციამ წეროვანსა და მცხეთაში სახალისო ფეხბურთის „ოუფენ ფან ფუტბოლის" (OPES) პროგრამით შეჯიბრება მოაწყო დევნილთა ოჯახების ბავშვებისთვის მინიფეხბურთში. ჭაბუკებთან ერთად ტურნირში გოგონებიც მონაწილეობდნენ. შეჯიბრებას დაესწრნენ OPES-ის პროგრამის დირექტორი დანიიდან **ანდრეს ლევინსონი,** OPES-ის სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლობების ხელმძღვანელები.

**„ლელოს" კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ლეგიონი

# დვალიშვილი მეორე ხელის თითებზე გადავიდა

## არველაძემ, მე უკეთ ვითამაშებდიო



შოთა არველაძე



მარცხნივ ლადო დვალიშვილი

ინგლისის ჩემპიონშიპში **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგის" მატჩი კი გადაურჩა დიდთოვლობას, მაგრამ ქართველს სტუმრად „დერბის" ძლევაში (2:1) წვლილი არ შეუტანია - „რედინგის" თავკაცმა **ბრაიან მაკდერმოტმა** სათადარიგოთა სკამს არ გააცილა. „რედინგი" 30 ქულით მე-7 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ საპრემიერლიგო პლეი ოფში 6 გუნდი გადის. საფრანგეთის ლიგა 2-ში **გიორგი მაკარიძის** „ლემანის" შეხვედრა „ლავალთან" გადაიდო, თუმცა არა გვგონია, **დიდიე ოვონოს** ნაცვლად კვლავ ქართველს (როგორც ერთი კვირის წინ თასზე) ეთამაშა.

**ლევან კობიაშვილმა** და მისმა „ჰერტამ" სტუმრად „აუგსბურგთან" ომი გადაიტანეს - 4 ფეხბურთელი გააძევეს მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა. გუნდის ქართველმა ვიცე-კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო. ტრადიციულად, გერმანელები არ იშურებენ დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს - კობიაშვილი 62-ჯერ შეეხო ბურთს, 37 პასიდან 23 ზუსტი გამოუვიდა (62%) და კარისკენ ერთხელ დაარტყა. „შპორტალმა" მისი თამაში 4 ბალით შეაფასა, რაც კლუბში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი ნიშანია. ლიდერებს, რომელთა თამაშს 25 ათასზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო, 33-33 ქულა აქვთ. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" (16 ქულა 16 თამაშიდან) დღეს ენვევა ბერლინს და „უნიონს" შეხვდება.

იტალიაში სერია ბ-ს „ემპოლი" ტურინში „ტორინოსთან" 1:2 დამარცხდა, **ლევან მჭედლიძე** კვლავ არ ყოფილა მატჩის განაცხადში.

ჰოლანდიაში **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესი" „ბრედას" ესტუმრა და 10 კაცით დარჩენილ მეტოქეს დაუზავდა - 1:1. **გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა, მან ყვითელი ბარათი მიიღო. „ვიტესი" 18 ქულით მე-15 ადგილზეა.

თურქეთში მოგების გემო გაიხსენა **შოთა არველაძის** „კაისერისფორმა", რომელმაც შინ „ბუკასფორი" 2:0 დაამარცხა. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** ამ შეხვედრაშიც შეუცვლელად ითამაშა. *„შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტი შეგვეძლო. ასე მგონია, მე უკეთ ვითამაშებდი. მძიმე ბრძოლაში სამი ქულა მოვიპოვეთ და ეს კარგია"*, - განაცხადა „კაისერის" ქართველმა თავკაცმა. მისი გუნდი თურქულ სუპერლიგაში 32 ქულით მე-4 ადგილზეა.

ისრაელში სეზონში მე-5 გოლი გაიტანა **ლადო დვალიშვილმა**. „ლიგატ ჰაალის" ლიდერმა „მაქაბიმ" შინ 3:0 მოუგო „ნეთანიას" და მესამე გოლი ქართველის ანგარიშზეა. შეგახსენებთ, რომ შარშან დვალიშვილმა 16 გოლი გაიტანა ჩემპიონატში. სტუმართა გუნდში სათადარიგო იყო **გაგა ჩხეტიანი. ზურაბ მენთეშაშვილმა** 90 წუთი ითამაშა, ხოლო მისი „აშკელონი" სტუმრად 2:3 დამარცხდა „აშდოდთან". ქართველს ზედიზედ მეორე ტურია, ყვითელი ბარათი არ მიუღია, რაც ამ სეზონში სულ მეორედ მოხდა.

საბერძნეთში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა" 2:0 აჯობა „პანსერაიკოსს". ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა (გაფრთხილება). კრეტელებმა კი ცხრილის ფსკერიდან თანდათან შუაში აინაცვლეს.

ადრე თუ ქართველი ლეგიონერები აზერბაიჯანში მაინც გამოირჩეოდნენ უხვგოლიანობით, ახლა ჩვენს სამეზობლოში ტური ტურს ისე მისდევს, რომ ჩვენებურთა ლამის 20-კაციან კოჰორტას გოლი ვერ გააქვს.

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო **კახა ცხადაძის** „ინტერმა", რომელმაც დერბიში „ბაქი" 2:1 დაამარცხა. „ინტერის" სასტარტოში ოთხი ჩვენებური იყო: **ილია კანდელაკი, დავით ოდიკაძე, ვალერი აბრამიძე** და **კახაბერ მჟავანაძე**. ამათგან მხოლოდ ოდიკაძე შეცვალეს (84-ე წუთზე), **გიორგი ლომაია** სათადარიგო იყო. „ინტერი" 31 ქულით მე-4 ადგილზეა.

აზალ-ისა და „გაბალას" მატჩში (2:2) ქართველთა დუელი მეორე ტაიმში შედგა. მასპინძელმა **ნუგზარ კვირტიამ** 90 წუთი ითამაშა, სტუმარმა **გოგა ბერაიამ** - მე-2 ტაიმი. აზალ-ი 34 ქულით მესამეა, „გაბალა" (30 ქულა) - მე-6. „განჯა" შინ ლიდერ „ნეფთჩისთან" განადგურდა - 0:4. ნაგებულთა სასტარტოში **ზურაბ ძამსაშვილმა** ითამაშა, **გიორგი სეთურიძე** კი მოედანზე 70-ე წუთზე გამოჩნდა. ამ ტურში „ყარაბახში" არ უთამაშია **გიორგი ადამიას. რევაზ ძოძუაშვილის** „თურანი" შინ „სიმურგს" დაუზავდა - 1:1. **გიორგი ჭედია** ძოძუაშვილმა 68-ე წუთზე შეცვალა. „თურანი" 12 ქულით მე-10 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ვინ? იკითხა უკრაინამ. ლიპი! თქვა კალაძემ



კახა კალაძე

უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდისთვის მაღალი დონის მწვრთნელს ეძებს. დროებით კი ეროვნულ ნაკრებს **იური კალიტვინცევი** ხელმძღვანელობს. უკრაინული მედია ჩვენი ნაკრების კაპიტნის **კახა კალაძით** აზრით დაინტერესდა. კალაძემ უკრაინელებს ნაკრების თავკაცად **მარჩელო ლიპის** დანიშვნა ურჩია.

*„მარჩელო ლიპი მაღალი დონის სპეციალისტია. საკლუბო და სანაკრებო დონეზე ბევრი ტიტული და ხმაურიანი წარმატება მოუპოვებია. თუ ლიპი დათანხმდება, უკრაინის ნაკრები ჩაიბაროს, მაშინ ეს დიდი საქმე იქნება. უკრაინის ნაკრებში საკმარისად არიან კარგი ფეხბურთელები და ლიპის ხელმძღვანელობით გუნდი გაცილებით მეტს მიაღწევს"*, - კალაძის ეს სიტყვები ვებგვერდმა terrikon.com-მა გამოაქვეყნა.

**დავით ცაბაძე**

# სეთურიძემ განჯა განსაჯა

## აზერბაიჯანიდან ტორპედოში?

**გიორგი სეთურიძე** აზერბაიჯანიდან წამოსვლას აპირებს. საქართველოს ნაკრების ყოფილი კანდიდატი ბოლო ორი წელია, ჩვენი მეზობლების პირველობაზე თამაშობს, გასულ წელს "სტანდარდში" გამოდიოდა, წლეულს კი - "განჯაში", რომელიც ამჟამად მერვე ადგილზეა და ფინალურ ექვსეულში მოხვედრის იმედი გადაეწურა.

სპორტული და სხვა სახის მოტივაციათა დაკარგვის გამო გიორგიმ "განჯას" დატოვება გადაწყვიტა. გიორგის მეუღლე გერმანელია, ცოლ-შვილთან ხანგრძლივი განშორება კი დისკომფორტს უქმნის და ისედაც ცხადია, გერმანიაში თამაში ურჩევნია.

ამის შანსი ზაფხულში ჰქონდა კიდეც: სეთურიძე იენაში ორი წლის წინ ჩაირიცხა, შემდეგ რუსთავის "ოლიმპში" ითამაშა და აზერბაიჯანს მიაშურა. "კარლ ცაისში" წლეულსაც მიიწვიეს, მესამელიგელთა რიგებში ხუთი ტესტ-მატჩი ჩაატარა და მთავარ მწვრთნელ **ვოლფგანგ ფრანკს** თავიც მოაწონა, მაგრამ გერმანელებმა დაბალი ანაზღაურება შესთავაზეს და დარჩენა არ ისურვა. "განჯაში" ამის შემდეგ მოხვდა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, გიორგის კი აზერბაიჯანში გაჩერება კატეგორიულად აღარ სურს. თავდაპირველად ძირითადში უპრობლემოდ ხვდებოდა, მაგრამ ბოლო დროს მთავარი მწვრთნელი **ფუად ისმაილოვი** ადგილობრივს ენდობა და ამან სეთურიძის მოთმინების ფიალა აავსო.



გიორგი სეთურიძე

მართალია, კონტრაქტის ვადა არ გასრულებია, მაგრამ ეტაპის ჩამთავრების შემდეგ გიორგი კლუბის პრეზიდენტთან გათავისუფლების მოთხოვნით დალაპარაკებას აპირებს. სეთურიძეს გერმანიაშიც აქვს ვარიანტი და საქართველოშიც. შევიტყვეთ, რომ მას ქუთაისის "ტორპედოში" გადასვლას სთავაზობენ. ქუთაისელები 24 წლის ნახევარმცველს კარგი პირობებითა და ამბიციური მიზნებით იზიდავენ – მიმდინარე სეზონში "ტორპედოს" ევროსაგზურისთვის ბრძოლა სურს, საამისოდ კი კლუბის ხელმძღვანელები გაძლიერებას აპირებენ.

ერთი თვის წინ გიორგის მიწვევა რუსთავის "ოლიმპსაც" სურდა, მაგრამ ფეხბურთელი ამის შესახებ **ზურაბ ჯაფარიძეს** მოელაპარაკა, რომელმაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტი **ჯოზეფ კეისთან** უთანხმოების გამო დატოვა. ამდენად, ამ მოლაპარაკებამ ძალა დაკარგა.

შეგახსენებთ, რომ "განჯაში" კიდევ ორი ქართველი თამაშობს – ნახევარმცველი **ზურაბ ძამსაშვილი** და თავდამსხმელი **ლევან მდივნიშვილი**.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

# ასათიანს ევროპა შემოაგარეს

## ვერსიების სია და ჯანაშიას რჩევა



მალხაზ ასათიანი

კარიერის შვიდწლიანი მონაკვეთი დასრულდა: საქართველოს ნაკრების მცველი **მალხაზ ასათიანი** მოსკოვის „ლოკომოტივს" დაემშვიდობა. მალხაზის სატრანსფერო ფასი 3.8 მილიონი ევროა, მაგრამ მის მსურველ კლუბს თანხის გაღება არ მოუწევს, რადგან ასათიანი თავისუფალი აგენტი გახდა. 2003 წლიდან მოყოლებული, მან „ლოკომოტივში" ჩემპიონატის 125 მატჩში 6 გოლი გაიტანა. 2008-09 წლებში, რამდენიმე თვით, კიევის „დინამოში" იყო განათხოვრებული და ისევ რკინიგზელთა გუნდს დაუბრუნდა.

რა თქმა უნდა, საინტერესოა, სად გააგრძელებს კარიერას ასათიანი. ამის შესახებ არაერთი ვერსია გავრცელდა. ზოგი ინფორმაციით, მისით ფრანგული „სოშო" და ინგლისური „ვესტ ბრომვიჩი" არიან დაინტერესებულები, ამ ორიდან კი, „სოშო" უფრო მეტადო, ამტიცებენ. გავიგეთ ისიც, რომ მალხაზის გადაბირება მოსკოვის „ტორპედოს" უნდა. უკრაინული ვერსიით კი, კიევის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **იური სიომინი** გახდება და ასათიანსა და **როდოლფოს** მიიწვევს. მოსკოვის „ლოკომოტივისა" და ჩვენი ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ზაზა ჯანაშია** კი რკინიგზელთა გუნდის ახალ თავკაც **იური კრასნოჟანს** ურჩევს, რომ ასათიანზე არანაკლები დონის მცველი დაიმატოს, თორემ დაცვაში პრობლემები შეექმნება.

**დავით ცაბაძე**

# ადამია იახშის ელის

ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეულმა კიდევ ერთმა ფეხბურთელმა მიაშურა აზერბაიჯანს. თასის მფლობელ „ვიტ ჯორჯიას" შემტევი ნახევარმცველი **ჯაბა ლიპარტია** ბაქოშია და იქაური „ყარაბაღის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. კლუბი ლიპარტიას ორწლინახევრიან კონტრაქტს სთავაზობს. ჯაბა 2005 წლიდან გამოდის „ვიტ ჯორჯიაში" და ამ კლუბთან კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასრულებია. ჯაბას ყაზახური კლუბიც ეპატიჟებოდა, მაგრამ იქ თამაშს მეზობელ აზერბაიჯანში გადასვლა ამჯობინა. როგორც გავიგეთ, „ყარაბაღსა" და ქართველს შორის მოლაპარაკებები დღეს უნდა დასრულდეს.

„ყარაბაღში" ერთი ჩვენებური უკვე თამაშობს. ლიპარტია გუნდის მწვრთნელებს **გიორგი ადამიამ** ურჩია. ჯაბას აზერბაიჯანში ტესტირება არ მოუწევს, პირდაპირ კონტრაქტს სთავაზობენ. 23 წლის ლიპარტიამ ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიას" რიგებში 18 მატჩში 6 გოლი გაიტანა. „ყარაბაღში" ჯაბას ჩარიცხვის შემთხვევაში ამ გუნდს შეტევაში, ადამია-ლიპარტიას ტანდემი ეყოლება. აზერბაიჯანის ჩემპიონატში „ყარაბაღი" 30 ქულა აქვს და „გაბალასთან" ერთად მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფს. ზამთრის შესვენებამდე გუნდებს 23 დეკემბრის ტურიღა დარჩათ ჩასატარებელი.

**დავით ცაბაძე**

# გული გულად, ფული ფულად

## ვაი ექიმებისგან და არა მხოლოდ... გიორგი გუგავა უყურადღებობას განიცდის

წელიწადი და სამი თვე – ზუსტად ამდენი გაუცდა ექიმების არასწორი დიაგნოზის გამო **გიორგი გუგავას**. მას **ოთარ გაბელია** ახალგაზრდულ ნაკრებში შესარჩევი ციკლის დასაწყისში იწვევდა და ოთხ შეხვედრაში (ოფიციალურ-ამხანაგურებში) ორი გოლი გაიტანა, მათ შორის, გასული წლის სექტემბერში თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების კარში. მოკლედ, უნიჭო ნაღდად არ არის, მაგრამ მკურნალობა გაეწელა და, მისი ნათქვამიდან გამომდინარე, უქმობა კიდევ გაუგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ გუგავამ ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბებში წელიწადნახევარი ითამაშა, ჯერ "გრანადაში", შემდეგ კი - "არმიას დე არენასში". ტრავმიანობის მომაბეზრებელი სერიალი კი გასულ წელს დუბლინში დაიწყო, როდესაც ირლანდიასთან მატჩისას 22 წლის ნახევარმცველს კუნთი გაეჭიმა.

*"ექიმების გადამკიდეს თამაშის გაგრძელება საეჭვო გამიხდა. დუბლინში ირლანდიასთან მატჩის დროს კუნთი გამეჭიმა და ყურადღება არ მივაქციე. ესპანეთში დაბრუნებულს ვარჯიშზე კუნთი გამიწყდა. სამკურნალოდ თბილისში ჩამოვედი და ორი თვის შემდეგ ვარჯიშის დაწყება მირჩიეს, რადგან ტკივილები აღარ მაწუხებდა. მაგრამ არასწორად მიმკურნალეს, მოედანს ნაადრევად დავუბრუნდი და კარში დარტყმისას ოთხთავა კუნთი გამიწყდა. მერე გაირკვა, რომ კუნთი ჯერ სუსტი იყო, არსებობდა საფრთხე, აღარ გაზრდილიყო და თამაშს ვინ ჩივის, დავხეიბრდებოდი.*

*ნავედი მეორე წრეზე, ოთხი თვის წინ დავიწყე გამოკვლევა, მკურნალობა, ნემსები, წყლის პროცედურები, ტრენაჟორები, ამასობაში სამი თვე გავიდა, ინდივიდუალურად ვარჯიში განვაახლე და ორი კვირა პრობლემა არ მქონია. ამ დროს "ვიტ ჯორჯიაში" მიმიწვიეს და, როდესაც გუნდში უნდა მივსულიყავი, კუნთი ამტკივდა. გავგიჟდი, ელემენტარული ტრავმა ვერ მოვიშუშე. კლუბში ისევ მელოდნენ, ცოტა ხანი დავისვენე, ვივარჯიშე და ისევ ამტკივდა. "ვიტ ჯორჯიასთან" უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი.*

*ამის შემდეგ პარადოქსული პასუხი გამცეს, ყველა მეთოდი ვსინჯეთ და რადგან არ გაამართლა, ოპერაცია გჭირდებაო. სად არ ვიყავი, ოთხი ექიმი გამოვიცვალე, 15 ათასი ლარი დავხარჯე, ყველა ამბობდა, ოპერაცია არ გჭირდებაო, წელიწადი და ორი თვე ვერაფერი მიშველეს და ახლა მეუბნებიან, ოპერაცია უნდა გაიკეთოო?!*

*მათი უცოდინრობის გამო ესპანეთში სასურველი ვარიანტი დავკარგე: მენეჯერი მპირდებოდა, მადრიდის "ატლეტიკოს" დუბლებში, "მალაგაში" ან "ალმერიაში" გასინჯვაზე წამიყვანდა. ეს ამბავი გასული წლის დეკემბერში წყდებოდა და ოქტომბერში ნატკენი კუნთის მორჩენა რა პრობლემა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ევროპელებისთვის არის იოლი მოსაგვარებელი, ქართველი ექიმების გადამკიდემ კი ჯერ არ ვიცი, ოპერაციას როდის გავიკეთებ და მკურნალობა-რეაბილიტაციისთვის რა დრო დამჭირდება. ესპანეთში ოპერაცია კი ძალიან ძვირია.*

*ახლა ჰაერში ვარ გამოკიდებული. ამ ხნის განმავლობაში არავინ დამკავშირებია და ჩემი მდგომარეობით არავინ დაინტერესებულა. არადა, ნაკრებში დავშავდი და არა სადღაც ორღობეში. რაღა დაგიმალოთ და, უყურადღებობას ძალიან განვიცდი. ვიცი, ჩემნაირად კიდევ ბევრი ფეხბურთელია, დაშავებული რომ დაივიწყეს. ბევრს სამკურნალოდ ფული არ ჰქონდა და ჩემზე ბევრად ნიჭიერმა ბიჭებმა კარიერა ნაადრევად დაასრულეს"*, - გულდაწყვეტით ამბობს გუგავა.

**მერაბ მამულაშვილი**

# თოვლი მოდის, არემარე...



მატჩები ასეთ პირობებში ჩატარდა (იფსვიჩი-ლესტერი)

ინგლისში საშინელი ამინდია – თოვლი, ქარბუქი. ამიტომაც გადაიდო უამრავი თამაში როგორც პრემიერლიგაში, ასევე ქვედა დივიზიონებში. გადაიდო მთავარი შეხვედრაც: „ჩელსის“ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ უნდა ემასპინძლა. ქვეყნის ჩემპიონი „იუნაიტედის“ ძლევით კრიზისული პერიოდის დასრულებასა და ტიტულისთვის ბრძოლაში კვლავ მოწინავე პოზიციის დასაბრუნებლად ემზადებოდა, მაგრამ „მოღრუბლული მუშტის“ დაშვება მოუხდა.

დასავლეთლონდონელთა კლუბის ვებგვერდზე წერია: *„სტემფორდ ბრიჯზე“ კვირის თამაში დედაქალაქის პოლიციასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან კონსულტაციის შემდეგ გადაიდო. ფანებს შეუძლიათ გადახდილი ფულის დასაბრუნებლად ბილეთები სალაროებს გაუგზავნონ. იმისათვის, რომ თქვენი ბილეთი ნამდვილად მოვიდეს დანიშნულების ადგილას, გირჩევთ ისარგებლოთ „სამეფო ფოსტით“. ამასთან, გაცნობებთ, რომ ყველა ბილეთი, რომელსაც ფანები დაიტოვებენ, გამოდგება შეხვედრის იმ დღეს, როდესაც გადადებული შეხვედრა ჩატარდება“.*

ავდარმა პრემიერლიგის მხოლოდ ორი შეხვედრა ვერ ჩაშალა და ქვემოთ მათ მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებთ. პირველი გახლავთ „სანდერლენდისა“ და „ბოლტონის“ მატჩი, რომელიც **დენი უილბეკის** მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლის წყალობით მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. შედეგად, ცხრილში „სანდერლენდი“ „ბოლტონს“ გადაახტა და ერთხელაც დაადასტურა, რომ მომავალ სეზონში ევროლიგაში სურს თამაში. „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ ნაქირავებმა თავდამსხმელმა ეგრეთ წოდებული გაწოლილი თავურით მიაღწია მიზანს. ამ ეპიზოდში ბურთი მისთვის ხელსაყრელი ადგილისკენ იმიტომ გადავარდა, რომ **დარენ ბენტის** დარტყმული მეკარე **იუსი იაასკელაინენმა** მოიგერია მისი მიმართულებით. მოედნის გადაღმა კი იაასკელაინენის კოლეგამ **კრეიგ გორდონმა** 45-ე წუთზე დიდებული რეაქცია გამოამჟღავნა და **ზეტ ნაითს** გოლი არ გაატანინა. აღსანიშნავია, რომ „სანდერლენდს“ უფრო დიდი სხვაობითაც შეეძლო მოგება, მაგრამ 70-ე წუთზე უილბეკის დარტყმული ძელს მოხვდა და ხაზს გარეთ გადმოვარდა, არადა, შეიძლებოდა შიგნითაც შევარდნილიყო.

*„აქ იმიტომ გადმოვედი, რომ რეგულარულად ვითამაშო და გოლები გავიტანო. ძალიან კმაყოფილი ვარ. შევეცდები, მომავალშიც ასე გავაგრძელო. პრემიერლიგაში, რასაკვირველია, ყველა შეხვედრა ძალიან რთულია, მაგრამ „ბოლტონთან“ მოგება და ცხრილში მასზე წინ გადასვლა ძალიან სასიხარულო იყო“* - თქვა უილბეკმა.

*„მთელ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ მომიწია სერიოზულად ჩართვამ, მაგრამ რთული დარტყმა მოვიგერიე და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებაში წვლილი შევიტანე“* - ეს კი მეკარე კრეიგ გორდონმა თქვა.

და მეორე შეხვედრა, რომელიც ქარბუქმა დაუზუსტებელ მომავალში არ გადადო, გახლდათ „ბლექბერნისა“ და „ვესტ ჰემის“ 1:1. აუტსაიდერი „ვესტ ჰემი“ ამ შეხვედრაშიც მარცხდებოდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა 21 წლის **ჯუნიორ სტანისლასმა** „ბლექბერნის“ მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელ **სტივი კინს** თავის პირველ შეხვედრაში არ გაამარჯვებინა – მან **რაიან ნელსენის** მიერ 51-ე წუთზე გატანილი... უფრო სწორად, შეტენილი გოლი გაქვითა. ამ შეხვედრაში „ბლექბერნის“ ყმაწვილი მცველი **ფილ ჯონსი** ისე დაშავდა, რომ შეიძლება მთელი დარჩენილი სეზონი გაუცდეს. 18 წლის ბიჭი მოედანზე სულ 10 წუთის შესული იყო, როდესაც **კარლტონ კოულთან** შეჯახების შემდეგ ძალიან მოუხერხებლად დაეცა.

„ვესტ ჰემის“ თავკაცმა **ავრამ გრანტმა** მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა: *„ვფიქრობ, დღეს სამ ქულას ვიმსახურებდით. ჩვენ აშკარა საგოლე მომენტებიც შევქმენით და ნახევარმომენტებიც. პლუს ძელსაც გავარტყით ბურთი. ჩემი ბიჭების უტეხი სულითა და შემართებით ძალიან კმაყოფილი ვარ“.*

## ახალწვეული

### ვენგერს შეგირდი მიემატა

„არსენალმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 18 წლის იაპონელი თავდამსხმელი **რიო მაიაჩი** იანვრიდან „ემირეიტ სთედიუმზე“ ითამაშებს. სანამ ლონდონს გაეშურება, ყმაწვილკაცი სრულიად იაპონიის უმაღლეს სასწავლებელთა ჩემპიონატში „ჩუკუოდაი ჩუიკოს“ ღირსებას დაიცავს.

„მეთოფეთა“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** კლუბის ვებ-საიტზე დაწერა:

*„კმაყოფილი ვარ, რიო ახალი წლიდან „არსენალის“ ფეხბურთელი რომ გახდება. მან ჩვენთან ერთად გასულ ზაფხულს ივარჯიშა და ისეთი თვისებები გამოამჟღავნა, რომელმაც ბევრი დიდი კლუბის ყურადღება მიიპყრო. დიდი ენთუზიაზმით შევუწყობ ამ ბიჭს ხელს მისი შესაძლებლობების სრულ რეალიზაციაში“.*

### მომდევნო ტური

26 დეკემბერი: **ფულჰემი-ვესტ ჰემი, ბლექბერნი-სტოკი, ბლექპული-ლივერპული, ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი, ევერტონი-ბირმინგემი, მანჩესტერ იუნაიტედი-სანდერლენდი, ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი, ვულვერჰემპტონი-უიგანი, ასტონ ვილა-ტოტენჰემი;** 27 დეკემბერი: **არსენალი-ჩელსი.**

### სანდერლენდი-ბოლტონი 1:0

**სანდერლენდი (4-4-2):** გორდონი – ონუოჰა, მენსა (22. ალ მუჰამადი), ბერდსლი, ა. ფერდინანდი – ჰენდერსონი, კატერმოული, უილბეკი, რიჩარდსონი – ბენტი, ასამოა გიანი (74. ზენდენი).

**ბოლტონი (4-4-2):** იაასკელაინენი – რიკეტსი, გ. კეჰილი, რობინსონი, ნაითი – მ. პეტროვი (63. კლასნიჩი), ჰოლდენი, ტეილორი (83. როდრიგო), მუამბა (83. კოენი) – ელმანდერი, კ. დევისი

**გოლი:** 1:0 უილბეკი (32)

**გაფრთხილება:** კატერმოული – გ. კეჰილი, ჰოლდენი, მუამბა

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 8-13; **კარში დარტყმა:** 13-13 (5-3); **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 35 101

### ბლექბერნი-ვესტ ჰემი 1:1

**ბლექბერნი (4-4-2):** რობინსონი – სალგადო, სამბა (57. ფ. ჯონსი/ 67. ჰენლი), ჟივე, ნელსენი – ე.ჰ. დიუფი, ემერტონი, დანი, პედერსენი – მ.ბ. დიუფი, რობერტსი (10. მვარუვარი).

**ვესტ ჰემი (4-5-1):** ბოფინი – ბენ-ჰაიმი, ტომკინსი, გებიდონი, აპსონი – დაიერი (82. მაკკარტი), პარკერი, ბარერა (57. სტანისლასი), ბოა მორტე, სპექტორი (57. კ. კოული) - პიქვიონი.

**გოლები:** 1:0 ნილსენი (51), 1:1 სტანისლასი (78)

**გაფრთხილება:** ემერტონი, ჟივე – ბენ-ჰაიმი, ტომკინსი, ბოა მორტე

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 12-10; **კარში დარტყმა:** 11-10 (3-2); **თამაშგარე:** 3-6; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 21 934

*არსენალი-სტოკი, ბირმინგემი-ნიუკასლი, უიგანი-ასტონ ვილა, ლივერპული-ფულჰემი, ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი, ბლექპული-ტოტენჰემი და ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 16 | 10 | 2 | 4 | 34:18 | 32 |
| 2. სიტი | 17 | 9 | 5 | 3 | 24:13 | 32 |
| 3. იუნაიტედი | 15 | 8 | 7 | 0 | 35:16 | 31 |
| 4. ჩელსი | 17 | 9 | 4 | 4 | 31:12 | 31 |
| 5. ტოტენჰემი | 17 | 7 | 6 | 4 | 25:22 | 27 |
| 6. სანდერლენდი | 18 | 6 | 9 | 3 | 21:18 | 27 |
| 7. ბოლტონი | 18 | 6 | 8 | 4 | 30:25 | 26 |
| 8. ნიუკასლი | 17 | 6 | 4 | 7 | 27:26 | 22 |
| 9. ლივერპული | 17 | 6 | 4 | 7 | 21:22 | 22 |
| 10. ბლექპული | 16 | 6 | 4 | 6 | 24:29 | 22 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:29 | 22 |
| 12. ბლექბერნი | 18 | 6 | 4 | 8 | 23:28 | 22 |
| 13. სტოკი | 17 | 6 | 3 | 8 | 21:22 | 21 |
| 14. ასტონ ვილა | 17 | 5 | 5 | 7 | 19:28 | 20 |
| 15. ევერტონი | 17 | 3 | 9 | 5 | 18:20 | 18 |
| 16. ბირმინგემი | 17 | 3 | 9 | 5 | 17:20 | 18 |
| 17. ფულჰემი | 17 | 2 | 10 | 5 | 16:20 | 16 |
| 18. უიგანი | 17 | 3 | 7 | 7 | 13:28 | 16 |
| 19. ვულვზი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:30 | 15 |
| 20. ვესტ ჰემი | 18 | 2 | 7 | 9 | 16:31 | 13 |

**ბომბარდირები:** 11 – ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 10 – ტევესი (მანჩესტერ სიტი), ქეროლი (ნიუკასლი); 8 –კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი), ნოლანი (ნიუკასლი); 7 – ბენტი (სანდერლენდი), შამახი (არსენალი), დროგბა (ჩელსი), მალუდა (ჩელსი); 6 – დევისი (ბოლტონი), კალუ (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი).

## ჩემპიონატი

### XXII ტური

**დონკასტერი-მიდლზბრო 2:1**

**გოლები:** 0:1 მაკდონალდი (4), 1:1 ჰეიტესი (22), 1:2 სტოკი (90)

**ქივენთრი-ნორვიჩი 1:2**

**გოლები:** 0:1 ჰოლტი (64), 1:1 კინგი (73), 1:2 ჰოლტი (87)

**დერბი-რედინგი 1:2**

**გოლები:** 0:1 ლონგი (43), 1:1 კომონსი (61), 1:2 ლონგი (88)

**ჰალი-ბრისტოლი 2:0**

**გოლები:** 1:0 სიმპსონი (13), 2:0 სიმპსონი (62)

**ლიდსი-ქუინზ პარკი 2:0**

**გოლები:** 1:0 გრადელი (25), 2:0 გრადელი (70)

**ნოტინგემი-კრისტალ პალასი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჩემბერსი (31), 2:0 თადჯი (46), 3:0 მაკკლირი (85)

**შეფილდი-სუონსი 1:0**

**გოლები:** 1:0 ევანსი (44)

**იფსვიჩი-ლესტერი 3:0**

**გოლები:** 1:0 ნორისი (6), 2:0 სკოტლენდი (27), 3:0 სკოტლენდი (39)

*უოტფორდი-პრესტონი, პორტსმუთი-სკანთორპი, მილუოლი-ბარნსლი, კარდიფი-ბარნლი გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 21 | 11 | 8 | 2 | 36:14 | 41 |
| 2. ლიდსი | 22 | 11 | 5 | 6 | 39:35 | 38 |
| 3. კარდიფი | 21 | 11 | 4 | 6 | 35:22 | 37 |
| 4. სუონსი | 22 | 11 | 4 | 7 | 28:19 | 37 |
| 5. ნორვიჩი | 22 | 10 | 6 | 6 | 35:30 | 36 |
| 6. კოვენთრი | 22 | 10 | 4 | 8 | 29:25 | 34 |
| 7. რედინგი | 21 | 7 | 9 | 5 | 30:23 | 30 |
| 8. ნოტინგემი | 20 | 7 | 9 | 4 | 24:17 | 30 |
| 9. დერბი | 22 | 9 | 3 | 10 | 35:29 | 30 |
| 10. უოტფორდი | 21 | 8 | 6 | 7 | 38:33 | 30 |
| 11. დონკასტერი | 21 | 8 | 6 | 7 | 33:35 | 30 |
| 12. ბარნლი | 20 | 7 | 8 | 5 | 32:26 | 29 |
| 13. ბარნსლი | 20 | 8 | 5 | 7 | 25:29 | 29 |
| 14. მილუოლი | 21 | 7 | 7 | 7 | 25:22 | 28 |
| 15. პორტსმუთი | 20 | 8 | 4 | 8 | 28:27 | 28 |
| 16. ლესტერი | 22 | 8 | 4 | 10 | 31:38 | 28 |
| 17. იფსვიჩი | 22 | 8 | 3 | 11 | 25:30 | 27 |
| 18. ჰალი | 21 | 6 | 8 | 7 | 19:23 | 26 |
| 19. ბრისტოლი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:30 | 26 |
| 20. შეფილდ იუნ | 21 | 7 | 4 | 10 | 17:28 | 25 |
| 21. მიდლსბრო | 22 | 6 | 3 | 13 | 21:32 | 21 |
| 22. კრ. პალასი | 22 | 6 | 3 | 13 | 24:40 | 21 |
| 23. სკანთორპი | 20 | 6 | 2 | 12 | 23:35 | 20 |
| 24. პრესტონი | 21 | 5 | 4 | 12 | 25:39 | 19 |

**ბომბარდირები:** 13 – ბოთროიდი (კარდიფი); 12 – კომონსი (დერბი); 11 - ბეკიო (ლიდსი); 10 - გრემი (უოტფორდი); 9 - ჰოლტი (ნორვიჩი), იუელუმო (ბარნლი), მაკგუგანი (ნოტინგემი), ტაარაბტი (ქუინზ პარკი); 8 – მეკი (ქუინზ პარკი), კინგი (ლესტერი), მორისონი (მილუოლი), სინკლერი (სუონსი); 7 –ჰემილი (ბარნსლი), შარპი (დონკასტერი), პერკინი (პრესტონი), ჰეიტერი (დონკასტერი).

## პირველი ლიგა

### XX ტური

ექსეტერი-შეფილდ უენსდი 5:1. *დანარჩენი თამაშები გადაიდო*

## მეორე ლიგა

### XX ტური

*ტური გადაიდო*

## კონფერენსი

### XXII ტური

ფლიტვუდი-ნიუპორტი 1:1. *დანარჩენი შეხვედრები გადაიდო*

## შოტლანდია. პრემიერლიგა. XVI ტური

# ნაუგებელი წლისთავი

### ჰართსი-ინვერნესი 1:1

**გოლები:** 0:1 მანრო (17), 1:1 კაილი (25)

### კილმარნოკი-ჰიბერნიანი 2:1

**გოლები:** 1:0 კელი (9), 2:0 კელი (43), 2:1 რიორდანი (55)

*დანარჩენი შეხვედრები გადაიდო*

უამინდობაა შოტლანდიაშიც. ინგლისისა არ იყოს, სქოთთა პრემიერლიგაშიც ორად ორი თამაში გადაურჩა ავდარს. „კილმარნოკისა“ და „ჰიბერნიანის“ შეხვედრაში **ლაიამ კელიმ** მასპინძელთა გუნდთან თავისი ახალი კონტრაქტი ორი გოლით აღნიშნა - „კილმარნოკი“ მეხუთე ადგილზე გადავიდა. შოტლანდიაში გადაბარგებულმა ინგლისელმა ნახევარმცველმა გუნდთან კიდევ ორწელიწადნახევრიანი თანამშრომლობა ისურვა. მის ორ გოლს „ჰიბსის“ მოთამაშეთაგან ერთადერთი **დერეკ რიორდანმა** უპასუხა შორიდან მიზანში დარტყმულით. რიორდანმა მიმდინარე სეზონში თავისი მეშვიდე გოლი გაიტანა.

„ჰართსის“ და „ინვერნესის“ მატჩი 1:1 დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჰართსმა“ ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ ქულები დაკარგა და მეორე ადგილზე ვერ გადავიდა. და „ინვერნესისთვის“ იცით, ეს შედეგი რას ნიშნავდა? მწვრთნელი **ტერი ბატჩერი** ასე ამბობს:

*„ჩემმა ბიჭებმა წარმოუდგენელ შედეგს მიაღწიეს. 2010 წელს გუნდი სტუმრად არ დამარცხებულა და თუ ადრინდელ შედეგებსაც ჩავხედავთ, გამოდის, რომ წელიწადს გადავაჭარბეთ“.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 15 | 12 | 2 | 1 | 35:16 | 38 |
| 2. სელტიკი | 15 | 11 | 2 | 2 | 35:12 | 35 |
| 3. ჰართსი | 17 | 10 | 3 | 4 | 30:15 | 33 |
| 4. ინვერნესი | 17 | 7 | 6 | 4 | 28:20 | 27 |
| 5. კილმარნოკი | 16 | 7 | 2 | 7 | 26:19 | 23 |
| 6. მოზერუელი | 15 | 7 | 2 | 6 | 23:18 | 23 |
| 7. დანდი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:20 | 19 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 16 | 5 | 3 | 8 | 12:23 | 18 |
| 9. ჰიბერნიანი | 16 | 4 | 3 | 9 | 18:27 | 15 |
| 10. სტ. მირენი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:28 | 13 |
| 11. ჰემილტონი | 15 | 2 | 4 | 9 | 11:29 | 10 |
| 12. აბერდინი | 16 | 3 | 1 | 12 | 15:36 | 10 |

**ბომბარდირები:** 19 – მილერი (რეინჯერსი); 11 – რუნი (ინვერნესი), სემონი (კილმარნოკი); 10 - ბლექმენი (მოზერუელი); 9 – ჰუპერი (სელტიკი); 7 – გუდვილი (დანდი), რიორდანი (ჰიბერნიანი), სკაცელი (ჰართსი); 6 –ჰიგდონი (სენტ მირენი), ტემპლტონი (ჰართსი); 5 - ნეისმითი (რეინჯერსი), სტოკსი (სელტიკი), ჰეიესი (ინვერნესი), კაილი (ჰართსი).

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


ლაიამ კელიმ დუბლი შეასრულა

# ხუთი ზალპით მოგებული დერბი და...

## მადლიერი კორნელია ელ-პრატი

„კორნელია ელ-პრატი“ არასოდეს ივიწყებს ცუდს და... არც კარგს - ბარსელონური დერბის წინ, როცა ჯერი სტუმართა გუნდის წარდგენაზე და მის 8-იანზე, **ანდრეს ინიესტაზე** მიდგა, სტადიონი წამით გაირინდა, შემდეგ კი უკლებლივ ყველა გულშემატკივარი წამოდგა და ერთწუთიანი ოვაცია გაუმართა „მოსისხლე მტრის“ ფეხბურთელს. მაშინ როცა, „ბარსელონას“ სხვა ფეხბურთელებსა და მწვრთნელ **ხოსეპ გვარდიოლას** თავგამოდებით უსტვინეს. ალბათ, ყველას გახსოვთ, მუნდიალის ფინალში გადამწყვეტი გოლის გატანის შემდეგ ინიესტამ მაისურზე წარწერით გოლი „ესპანიოლის“ კაპიტან **დანი ხარკეს** ხსოვნას რომ უძღვნა. სწორედ ანდრესის ეს ჟესტი ახსოვთ „ესპანიოლის“ გულშემატკივრებს. სხვათა შორის, ის მაისურა 11 ნოემბერს „ბარსელონამ“ ოფიციალურად გადასცა „ესპანიოლს“ სახსოვრად.

ამ ამაღელვებელი მომენტიდან, ფეხბურთს რომ ასე ამშვენებს, თავად თამაშზე გადავიდეთ, მაგრამ რა ვთქვათ ალარ ვიცით - ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საკლუბო ტურნირია, მაგრამ „ბარსელონასთვის“ ის უკვე ვიწრო ასპარეზია, კატალონიურმაა კლუბმა უკვე კარგა ხანია გაუსწრო ლა ლიგის სტანდარტებს. ვაგლახ, თვისობრივად უკეთესი ლიგა მსოფლიოში აღარ არსებობს. დერბიში გვარდიოლას ბიჭების მორიგი შოუ ვიხილეთ, მორიგი ხუთი გოლი მეტოქის კარში. **პედროსა** და **დავიდ ვილიას** დუბლებს, **ჩავის** გასროლას „ესპანიოლმა“ მხოლოდ **პაბლო ოსვალდოს** დიდებული გოლით უპასუხა - 1:5.

„ბარსელონამ“ 2010 წლის ბოლო მატჩი უმაღლეს დონეზე ითამაშა. 20 წუთიც კი არ იყო დერბიში გასული, რომ ჩემპიონი დანინაურდა - **პუიოლთან** ორთაბრძოლაში შემტევი **კალეხონი** დაშავდა, მაგრამ თამაში არც მსაჯს და არც „ბარსელონას“ არ გაუჩერებია, სწრაფ კონტრშეტევას კი **ლეო მესისა** და პედრო როდრიგესის „შვეული“ კედელი მოჰყვა, რომელიც პედრომ შესანიშნავი დარტყმით დააგვირგვინა. ათიოდე წუთში ჩავიმ მეორე ცდაზე დაამწუხრა „ესპანიოლის“ გოლკიპერი **კარლოს კამენი** და გუნდები ამ ანგარიშით გავიდნენ დასასვენებლად.

პედრო როდრიგესი თვალსა და ხელს შუა გაიზარდა ნამდვილ მრისხანე ფორვარდად, ჯერ კიდევ შარშან მას ყველა პედრიტოს ეძახდა, არადა ახლა „ბარსას“ შეუცვლელი ნევრია. სწორედ მან დერბის სტარტიდან ერთი საათის თავზე დაუკარგა აზრი, ანგარიში 3:0 გახადა. მართალია, მასპინძელთა იტალიელმა შემტევმა ჩინებული გარღვევით ერთი გოლი მაშინვე გაქვითა, მაგრამ ცხადი იყო, „ესპანიოლი“ ამ თამაშს ველარ გადაარჩენდა. ამის შემდეგ ორჯერ იყოჩალა „ელ გუახემ“, ვილიას გოლები წყლის წვეთებივით ჰგავდა ერთმანეთს. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი მაინც მესი იყო სამი საგოლე პასით. „ბარსელონამ“ ზედიზედ მე-10 მატჩი მოიგო სტუმრად, ეს კი ლიგის ახალი რეკორდია. „ბარსელონამ“ წელიწადი პირველ ადგილზე დაასრულა...

**ხოსეპ გვარდიოლა:** *„ჩვენ ახლახან ყველაზე მძიმე მატჩი მოვიგეთ ამ სეზონში სტუმრად. მოვუგეთ ძალიან კარგ გუნდს. დღეს დიდებული დღეა ჩვენთვის. მატჩის დინამიკა მუდამ ჩვენს ხელშია და ნებისმიერ დროს შეგვიძლია მოვუმატოთ. გამარჯვებების მიზეზი მარტივია - ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს. ეს გუნდი აგრძელებს ჩემს სასიამოვნოდ გაკვირვებას. მე ამ ბიჭებით აღფრთოვანებული და ამაყი ვარ. მოხარული ვარ, ინიესტას ასე კარგად რომ დახვდნენ, ანდრესმა ეს დაიმსახურა“.*

2010 წელი მესამე ადგილზე ჩაამთავრა „ვილიარეალმა“. „წყალქვეშა ყვითელმა ნავმა“ შინ შანსი არ დაუტოვა „მალიორკას“ - 3:1. ანგარიში **სანტი კასორლამ** გახსნა, რომელმაც **ჯუზეპე როსის** პასით საჯარიმოს ცენტრიდან ბალეარელთა კარის ცხრიანი დალაშქრა. მალე სტუმრებმა **ჯონათან დე გუზმანის** წყალობით გაათანაბრეს, ჰოლანდიელმა **ვებოს** ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. 35-ე წუთზე იმავე ვებომ უარყოფითი კუთხით გამოიჩინა თავი, საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, პენალტი კი როსიმ გაიტანა. დაიწყო მეორე ტაიმი და „ელ სუბმარინოს“ სწრაფმა კონტრშეტევამ „ელ მადრიგალზე“ ინტრიგა მოკლა - **ბორხა ვალერომ** მარჯვნივ **ნილმარი** მოძებნა და ბრაზილიელმაც არ დაალალატა თავისიანები.

ბასკებს ვალენსიაში გამარჯვება ძვირი დაუჯდათ - მართალია, „ბილბაომ“ **იგორ გაბილონდოს** საუცხოო თამაშის წყალობით სტუმრად 2:1 დაამარცხა „ლევანტე“, მაგრამ ბილბაოელთა ლიდერ **ფერნანდო ლორენტეს** ტრავმის გამო მოედნიდან გასვლა მოუხდა. ანგარიში გაბილონდომ გახსნა კარგად შესრულებული საჯარიმო დარტყმით, რასაც მასპინძლებმა **კაისედოს** გოლით უპასუხეს. „ატლეტიკმა“ სამი ქულა კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ მოიპოვა, გაბილონდოს პასით თავურით **ხავი მარტინესმა** ივარგა. „დეპორტივო“-„სპორტინგის“ გალისიურ-ასტურიული დაპირისპირება 1:1 დასრულდა. მასპინძელთა მექსიკელი ლიდერი **ანდრეს გუარდადო** შუშის ფეხბურთელია - წელიწადში მან მეხუთე სერიოზული ტრავმა მიიღო, არადა გუარდადო ორთვიანი პაუზის შემდეგ პირველად თამაშობდა. „ვალენსიამ“ სასწაულებრივ მოიგო „ანოეტაზე“, მატჩის 90 წუთი დასრულებული იყო, როცა „რეალ სოსიედადის“ მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვა, **კლაუდიო ბრავომ** ბურთი ხეირიანად ვერ მოიცილა, ის ფეხთ **არიც ადურისმა** მოიგო და ბასკმა ბასკთა კარი დალაშქრა - 2:1.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ძნელ მატჩს ველოდით და შედეგით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. თანაბარი თამაში იყო და ბურთს, როგორც მსურდა, ისე ვერ ვაკონტროლებდით, ბევრი შანსიც არ გვქონია. ასე რომ, პირველივე შესაძლებლობა უნდა გამოგვეყენებინა. სესარმა კვლავ ტრავმა მიიღო, თუმცა მისი გვჯერა და დაველოდებით. თუ ძველებურად თამაშს ველარ შეძლებს, მოია და გუაიტა გვყავს, რომელმაც თავი კარგად წარმოაჩინა“.*

ესპანურ თემას არა, მაგრამ ტურის მიმდინარეობას, რომ ოდნავ გავცდეთ, გეტყვით, რომ შაბათს „ატლეტიკომ“ ოფიციალურად გამოაცხადა ბრაზილიელი **ელიას მენდესის** დამატების შესახებ. 25 წლის მენდესი „კორინთიანსში“ თამაშობდა. ნახევარმცველი დღეს „ატლეტიკოსთან“ 4,5-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, თუ სამედიცინო შემოწმებას არ ჩააფლავებს.

გუშინ ყველაზე ბოლოს მოედანზე „რეალი“ და „სევილია“ გავიდნენ. ყველასთვის მოულოდნელად, გამოჯანმრთელება მოასწრო **სერხიო რამოსმა** და ამით **მოურინიოს** გუნდს დაცვაში **მარსელოს** არყოფნით შექმნილი პრობლემა მოუხსნა. პირველ ტაიმში „რეალი“ სრულ სათამაშო უპირატესობას ფლობდა (ბურთის ფლობა - 65%), მაგრამ სევილიელთა იშვიათი კონტრშეტევები უფრო მწვავე იყო. თუნდაც **ნავაროს** თავური ან ტაიმის მიწურულს „სამეფო კლუბის“ კარში შესრულებული საჯარიმო, რომელიც **კასილიასმა** და **პეპემ** საერთო ძალისხმევით მოიგერიეს.

ჯერ კიდევ შესვენებისას დაიძაბა მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის სიტუაცია, თუმცა მეორე ტაიმში ამ დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია - მეორე ტაიმში **კლოს გომესმა** ფეხბურთელებს 9 ყვითელი და 2 წითელი ბარათი უჩვენა. „რეალმა“ მაინც მოიგო, თანაც რიცხობრივ უმცირესობაში ყოფნისას გაიტანა - ყველაფერი მაღალ დონეზე მადრიდელთაგან საუკეთესო **ანხელ დი მარიამ** შეასრულა, რომელმაც თავბრუ დაახვია **ანდრეს პალოპს**. წელიწადი „სამეფო კლუბმა“ ლიდერთან 2-ქულიანი ჩამორჩენით დაასრულა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

### მომდევნო ტური

2 იანვარი: **ვილიარეალი-ალმერია, ხეტაფე-რეალი, სევილია-ოსასუნა, სარაგოსა-რეალ სოსიედადი, ვალენსია-ესპანიოლი, ბარსელონა-ლევანტე, ბილბაო-დეპორტივო, სპორტინგი-მალაგა, ატლეტიკო-რასინგი, მალიორკა-ერკულესი.**



დი მარიას გოლმა რეალს 3 ქულა მოუტანა

### ლევანტე-ბილბაო 1:2

**ლევანტე (4-2-3-1):** მ. რეინა - ხ. ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი, პალიარდო (75. სერხიო) - ნადალი (62. მუნიოსი), რ. სუარესი (73. სტუანი), ხუანლუ - ფ. კაისედო.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ოსიო, უსტარიცი, კასტილიო - გურპეგი, ორბაისი (86. იტურასპე), ხ. მარტინესი - დ. ლოპესი (52. სუსაეტა), ფ. ლორენტე (18. ტოკერო), გაბილონდო.

**გოლები:** 0:1 გაბილონდო (9), 1:1 კაისედო (20), 1:2 ხ. მარტინესი (73)

**გაფრთხილება:** ხუანფრანი, ბალესტეროსი - ოსიო, ტოკერო, გურპეგი, სუსაეტა

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 15-9 (2-6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 10 000

### დეპორტივო-სპორტინგი 1:1

**დეპორტივო (5-4-1):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, აიტამი, ლოპო, რინდაროი - ხ. დომინგესი, ვალერონი (82. საული), რ. პერესი, გუარდადო (30. ხ. როდრიგესი) - ადრიანი (75. რიკი).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, ანხელი - რივერა, ეგურენი (79. დე ლას კუევასი) - ლ. მორანი (61. ბილიჩი), ნ. ნოვო (79. აიოსე), დ. კასტრო - ბარალი.

**გოლები:** 1:0 აიტამი (12), 1:1 დ. კასტრო (88)

**გაფრთხილება:** ლოპო, რ. პერესი, არანსუბია, ხ. როდრიგესი - ლ. მორანი, ბოტია

**კუთხური:** 3-9; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12-10 (6-3); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 13 000

### ვილიარეალი-მალიორკა 3:1

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, მუსაჩიო, კაპდევილა - კანი, ბ. ვალერო, ბრუნო, კასორლა (79. მ. სენა) - ნილმარი (75. მ. რუბენი), როსი (83. ალტიდორი).

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, აიოსე - ხ. ვიქტორი, მარტი (61. ნსუე) - პერეირა, დე გუზმანი, კასტრო (75. ვიქტორი) - ვებო.

**გოლები:** 1:0 კასორლა (11), 1:1 დე გუზმანი (27), 2:1 როსი (35-პენ), 3:1 ნილმარი (51).

**გაფრთხილება:** მუსაჩიო - ნუნიეში, ვებო, ხ. ვიქტორი, რამისი, აიოსე

**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 8-24; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 14-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 20 000

### ესპანიოლი-ბარსელონა 1:5

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა (63. ამატი), ფორლინი, რუისი, დიდაცი (80. დ. გარსია) - ბაენა, ხ. მარკესი - ლ. გარსია (61. დატოლო), ვერდიუ, კალეხონი - ოსვალდო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი (78. მასკერანო), ინიესტა (85. კეიტა) - მესი, ვილია, პედრო (88. კრკიჩი).

**გოლები:** 0:1 პედრო (18), 0:2 ჩავი (29), 0:3 პედრო (59), 1:3 ოსვალდო (62), 1:4 ვილია (75), 1:5 ვილია (83)

**გაფრთხილება:** კამენი, ბაენა, ოსვალდო, ხ. მარკესი, რუისი - ბუსკეტსი, პიკე, დ. ალვეში

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 5-8; **კარში დარტყმა:** 7-19 (5-10); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 40 000

### რეალ სოსიედადი-ვალენსია 1:2

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ანსოტეგი, მ. გონსალესი, დე ლა ბელა - რივასი, არანბურუ - ჩ. პრიეტო, ზურუტუზა (83. სარპონგი), გრიზმანი - ხ. ლორენტე (71. ტამუდო).

**ვალენსია (4-4-2):** სესარი (51. გუაიტა) - ბრუნო, რ. კოშტა, დ. ნავარო (53. სტანკევიჩიუსი), მატიო - ხოაკინი, მადურო, ტ. კოსტა, მატა (72. ვისენტე) - სოლდადო, ადურისი.

**გოლები:** 1:0 ჩ. პრიეტო (23-პენ), 1:1 ტ. კოსტა (45), 1:2 ადურისი (91)

**გაფრთხილება:** რივასი, ჩ. პრიეტო, დე ლა ბელა - დ. ნავარო, სოლდადო, ბრუნო, ტ. კოსტა

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 10-10; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 12-15 (2-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 25 900

### ოსასუნა-სარაგოსა 0:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - ნეკუნამი, ვადოცი (68. ლოლო) - ხუანფრანი, სორიანო, მასუდი - ლეკიჩი (68. არანდა).

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლეო ფრანკო - დიოგო, იაროშიკი, კონტინი, პარედესი - პონსიო, პინტერი - ლაფიტა, ანდერი (90. ედმილსონი), ბერტოლო (46. ხ. ლოპესი) - სინამა-პონგოლე (79. მ. პერესი).

**გაფრთხილება:** ფლანიო, სერხიო - პინტერი, პონსიო

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 15-10 (5-1); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 18 000

### ალმერია-ხეტაფე 2:3

**ალმერია (4-4-2):** დ. ალვეში - ხუანმა ორტისი, კ. გარსია, აკასიეტე (84. გოიტომი), იაკობსენი - პიატი, მბამი, კორონა (61. ვალერი), კრუსატი (72. ხოსე ორტისი) - ულოა, კ. უჩე.

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი, რაფა, მარკანო, მანე - ბოატენგი, პარეხო (85. კასკერო) - პ. რიოსი (90. არისმენდი), მანუ, გავილანი (78. ვ. სანჩესი) - მიკუ.

**გოლები:** 1:0 კ. უჩე (7), 2:0 ულოა (24), 2:1 მანუ (29), 2:2 მიკუ (48), 2:3 ბოატენგი (70)

**გაფრთხილება:** ულოა, ხუანმა ორტისი, კრუსატი - მარკანო, გავილანი, პარეხო, ვ. სანჩესი

**კუთხური:** 9-9; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 16-22 (6-9); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 12 000

### მალაგა-ატლეტიკო ?:?

**მალაგა (4-4-2):** რუბენი - ხ. გამესი, სტადსგაარდი, როსარიო, მ. ტორესი (46. პორტილიო) - ელიზეუ, ი. გონსალესი (46. ფერნანდო), ხუანიტო, დუდა - რონდონი, ს. ფერნანდესი (61. ქუინსი).

**ატლეტიკო (4-3-3):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, დომინგესი, ფ. ლუიში - ტიაგო, ასუნსაო, რ. გარსია (86. ვალერა)- რეიესი (79. ფ. მერიდა), აგუერო (70. დ. კოშტა), სიმაო.

**გოლები:** 0:1 ტიაგო (22), 0:2 დომინგესი (66), 0:3 ტიაგო (69)

**გაფრთხილება:** მ. ტორესი, ხ. გამესი - ფ. ლუიში, რ. გარსია

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 21-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-11 (3-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 100

### რეალი-სევილია 1:0

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, პეპე, რ. კარვალიო, არბელოა - ხედირა (61. პ. ლეონი), ლ. დიარა - დი მარია, იოზილი (77. ალბიოლი), რონალდო - ბენზემა (60. გრანერო).

**სევილია (4-4-2):** პალოპი - დაბო, კასერესი, ესკუდე, ფ. ნავარო - კონკო (87. აკოსტა), ზოკორა (84. ალფარო), რომარიკი, დ. კაპელი (84. ხოსე კარლოსი) - ლ. ფაბიანო, ნეგრედო.

**გოლი:** 1:0 დი მარია (77)

**გაფრთხილება:** რ. კარვალიო, დი მარია, ლ. დიარა, პეპე, იოზილი, პ. ლეონი, ს. რამოსი - ზოკორა, კასერესი, აკოსტა

**გაძევება:** რ. კარვალიო (63), დაბო (90)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 10-5 (5-2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 68 000

**რასინგი-ერკულესი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 14 | 1 | 1 | 51-9 | 43 |
| 2. რეალი | 16 | 13 | 2 | 1 | 39-12 | 41 |
| 3. ვილიარეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 30-14 | 33 |
| 4. ვალენსია | 16 | 8 | 4 | 4 | 24-19 | 28 |
| 5. ესპანიოლი | 16 | 9 | 1 | 6 | 18-22 | 28 |
| 6. ატლეტიკო | 16 | 8 | 2 | 6 | 27-19 | 26 |
| 7. ხეტაფე | 16 | 8 | 2 | 6 | 26-22 | 26 |
| 8. ბილბაო | 16 | 8 | 1 | 7 | 25-27 | 25 |
| 9. სოსიედადი | 16 | 7 | 1 | 8 | 22-26 | 22 |
| 10. მალიორკა | 16 | 6 | 3 | 7 | 16-20 | 21 |
| 11. სევილია | 16 | 6 | 2 | 8 | 21-27 | 20 |
| 12. დეპორტივო | 16 | 4 | 6 | 6 | 13-19 | 18 |
| 13. ერკულესი | 15 | 5 | 3 | 7 | 18-22 | 18 |
| 14. რასინგი | 15 | 5 | 2 | 8 | 13-23 | 17 |
| 15. ოსასუნა | 16 | 4 | 5 | 7 | 15-20 | 17 |
| 16. ლევანტე | 16 | 4 | 3 | 9 | 18-26 | 15 |
| 17. ალმერია | 16 | 2 | 7 | 7 | 15-25 | 13 |
| 18. მალაგა | 16 | 4 | 1 | 11 | 20-35 | 13 |
| 19. სპორტინგი | 16 | 2 | 6 | 8 | 13-24 | 12 |
| 20. სარაგოსა | 16 | 1 | 7 | 8 | 14-27 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - რონალდო (რეალი), მესი (ბარსელონა); 11 - ვილია (ბარსელონა); 10 - ფ. ლორენტე (ბილბაო), ნილმარი (ვილიარეალი); 9 - როსი (ვილიარეალი); 8 - ტრეზეგე (ერკულესი); 7 - იგუაინი (რეალი), აგუერო (ატლეტიკო), კაისედო (ლევანტე).

### სეგუნდადივიზიონი

### XVII ტური

**ხერესი-ხირონა** 3:1

**გოლები:** 0:1 დესპოტოვიჩი (24), 1:1 მორენო (51), 2:1 მორენო (82), 3:1 კაპი (84)

**ელჩე-რაიო ვალეკანო** 1:1

**გოლები:** 0:1 აგანსო (29), 1:1 ხენერელო (66-პენ)

**გაძევება:** ალბაკარი (55. ელჩე), კოკე (65. რაიო ვალეკანო)

**ალკორკონი-ვილიარეალი B** 1:2

**გოლები:** 0:1 ბორდასი (6), 1:1 სალესი (32), 1:2 ბორდასი (78)

**უესკა-გრანადა** 0:0

**გაძევება:** ეჩაიდე (88. უესკა)

**ხიმნასტიკი-უელვა** 0:0

**ტენერიფე-ბეტისი** 0:3

**გოლები:** 0:1 ემანა (7), 0:2 რ. კასტრო (18), 0:3 ემანა (33)

**კორდობა-ვალიადოლიდი** 1:0

**გოლი:** 1:0 კალეხონი (81)

**ნუმანსია-ალბასეტე** 0:1

**გოლი:** 0:1 ა. ლოპესი (82)

**სელტა-სალამანკა** 1:0

**გოლი:** 1:0 ტრაშორასი (44)

**გაძევება:** მურილიო (48. სელტა), იუსტე (82. სალამანკა)

**კარტახენა-ლას პალმასი** 5:2

**გოლები:** 1:0 კალა (1), 2:0 ტ. მორალი (16), 3:0 ვიქტორი (19), 3:1 კარილი (44), 3:2 გერერო (57), 4:2 ლაფუენტე (61), 5:2 ტოჩე (66)

**ბარსელონა B-პონფერადინა** 1:1

**გოლები:** 1:0 საული (80), 1:1 ხ. ლოპესი (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 17 | 12 | 3 | 2 | 41-16 | 39 |
| 2. ვალეკანო | 17 | 10 | 4 | 3 | 28-16 | 34 |
| 3. სელტა | 17 | 9 | 6 | 2 | 29-16 | 33 |
| 4. კარტახენა | 17 | 8 | 4 | 5 | 27-21 | 28 |
| 5. ხერესი | 17 | 8 | 3 | 6 | 27-24 | 27 |
| 6. ბარსელონა B | 17 | 7 | 6 | 4 | 26-24 | 27 |
| 7. ელჩე | 17 | 6 | 7 | 4 | 16-15 | 25 |
| 8. სალამანკა | 17 | 7 | 3 | 7 | 19-20 | 24 |
| 9. ვილიარეალი B | 17 | 7 | 3 | 7 | 21-27 | 24 |
| 10. გრანადა | 16 | 6 | 5 | 5 | 30-20 | 23 |
| 11. ვალიადოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 24-24 | 22 |
| 12. ნუმანსია | 17 | 6 | 3 | 8 | 21-22 | 21 |
| 13. ლას პალმასი | 17 | 5 | 6 | 6 | 27-32 | 21 |
| 14. კორდობა | 17 | 4 | 8 | 5 | 22-23 | 20 |
| 15. უელვა | 17 | 3 | 10 | 4 | 16-18 | 19 |
| 16. ხირონა | 17 | 4 | 6 | 7 | 22-24 | 18 |
| 17. უესკა | 17 | 3 | 9 | 5 | 12-17 | 18 |
| 18. ალკორკონი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-26 | 18 |
| 19. ალბასეტე | 17 | 3 | 8 | 6 | 15-19 | 17 |
| 20. პონფერადინა | 17 | 3 | 6 | 8 | 13-29 | 15 |
| 21. ხიმნასტიკი | 17 | 2 | 7 | 8 | 13-22 | 13 |
| 22. ტენერიფე | 16 | 3 | 4 | 9 | 12-26 | 13 |

**ბომბარდირები:** 13 - გეიხო (გრანადა); 12 - რ. კასტრო (ბეტისი), ქუინი (ალკორკონი); 10 - არმენტეროსი (რაიო ვალეკანო), ხ. გუერა (ვალიადოლიდი); 9 - ემანა (ბეტისი), ტოჩე (კარტახენა); 8 - ხოსე მარი (ხერესი).


მილანი ექსმილანელმა დაამხუნრა

# ლიდერი რომამ შეაჩერა

## ბოლო წუთის სინდრომი

XVII ტურის ცენტრალური პაექრობა „სან სიროზე“ გაიმართა, სადაც „მილანმა“ „რომას“ უმასპინძლა და მარცხი იწვნია. დიახ, ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი და ლიდერი „ჯალოროსიმ“ შეაჩერა, გუნდმა, რომელიც სკუდეტოსთვის აპირებს ბრძოლას და ამაზე დედაქალაქელები უკვე ღიად საუბრობენ. თამაშამდე **კლაუდიო რანიერი** ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმუქრებოდა, ზუსტად ვიცი, როგორ უნდა დავამარცხო „მილანიო“. მართლაც ცოდნია - **მარკო ბორიელოს** მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა და „რომამ“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. სიმბოლურია, რომ შედეგიანი დარტყმის ავტორი ბორიელო გახლავთ, ფეხბურთელი, რომელიც გასულ სეზონში „მილანში“ ასპარეზობდა. მარკო ცენტრფორვარდი იყო, გოლებიც გაჰქონდა, თუმცა მისი **ზლატან იბრაჰიმოვიჩით** ჩანაცვლება გულშემატკივრებმა და თუნდაც ჟურნალისტებმა ცალსახად დადებითად შეაფასეს. პრინციპში, ეს ასეც გახლავთ, რადგან ზლატანს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ გუნდი ჩემპიონატის ლიდერია და გაცილებით წარმატებით ასპარეზობს, ვიდრე გასულ სეზონში. თუმცა, კონკრეტულად შაბათის პაექრობაში ფორტუნამ ბორიელოს და მის „რომას“ გაუღიმა.

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. მილანელებმა 14-ჯერ დაარტყეს კარის მიმართულებით, მაშინ როდესაც რომაელებმა მხოლოდ ექვსჯერ სცადეს ბედი. ლომბარდიელებს პირველივე წუთებზე შეეძლოთ გოლის გატანა - **რობინიო** მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, კარგად აუარა გვერდი ორ მცველს და შორეულ კუთხეში დაარტყა, თუმცა ბურთი მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარის ჩარჩოს. გატანა შეეძლო **ჯენარო გატუზოსაც**, მრავალსვლიანი კომბინაციის ბოლო აკორდი სწორედ რინოსთვის დასარტყმელად დაგორებული პასი და მისი უზუსტო მცდელობა გახლდათ. რომაელთა კიპერი **ანდრეა პირლომაც** შეაწუხა, მისი დარტყმული ზუსტი კი გამოდგა, მაგრამ ნაკლებად სახიფათო. აქვე ვთქვათ, რომ პირლო პირველივე ტაიმში დაშავდა და მის ნაცვლად თამაშში **კლარენს ზეედორფი** ჩაერთო. თამაშის სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა - თავისი შანსი ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც გაუშვა ხელიდან და ამოქმედდა პრინციპი: ვერ გაიტან, გაგიტანენ - რომაელთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა **ჟერემი მენეზმა** მეტოქე გუნდის მარჯვენა ფრთა გაარღვია და საჯარიმოში სახიფათო დაბალი გადაცემა გააკეთა, რასაც მილანელთა საჯარიმოში დიდი არეულობა მოჰყვა - ყველაზე უკეთ ვითარებაში მარკო ბორიელო გაერკვა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა. **მასიმილიანო ალეგრის** ისღა დარჩენოდა, **რონალდინიო** ჩაერთო თამაშში, თუმცა ნახდენილ საქმეს ვერც ბრაზილიელმა უშველა. ერთხელ კი ჰქონდა გატანის შესაძლებლობა, საჯარიმოში მყოფმა ბურთი აკენწლა და ვარდნაში ეფექტურად დაარტყა, მაგრამ არაზუსტად. ყველაზე კარგი შანსი კი იბრაჰიმოვიჩმა გაატანა ქარს - სიღრმიდან გაკეთებული ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ შვედი მეკარესთან პირისპირ დარჩა და მისთვის უჩვეულოდ, ბურთი კარს ზემოდან გადააჭარა. ეს იყო და ეს, რომაელებმა სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში და შობაახალ წელს შესანიშნავ განწყობაზე შეხვდებიან.

იტალიელმა ჟურნალისტებმა „მილანი“ გვარიანად გააკრიტიკეს. მასიმილიანო ალეგრის გუნდმა საკუთარ მოედანზე „იუვენტუსთანაც“ წააგო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მილანელებს დიდი თამაშების მაღალ დონეზე ჩატარება უჭირთ. თავად ალეგრის შემდეგი პოზიცია აქვს: *„დიახ, საკუთარ კედლებში „იუვესთანაც“ დავმარცხდით და „რომასთანაც“, მაგრამ ვფიქრობ, რომ სეზონის პირველი ნახევარი მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე ვართ და კონკურენტებს მინიმუმ სამი ქულით ვუსწრებთ. რაც შეეხება „რომასთან“ პაექრობას, სრულ უპირატესობას ვფლობდით, თუმცა არ გაგვიმართლა და ერთადერთი გოლი ჩვენს კარში გავიდა. ყურადღებით უნდა გავარჩიოთ ეს თამაში, რათა დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ. იბრამ ყვითელი ბარათი მიიღო და მომდევნო პაექრობის გამოტოვება მოუწევს. არადა, სარდინიაში „კალიარის“ წინააღმდეგ რთული ბრძოლის გადატანა მოგვიწევს“.*

კმაყოფილებას ვერ მალავდა რანიერი, რომელმაც შეგირდებიდან **ადრიანო** გამოყო და მისი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა: *„ლიდერის მისსავე მოედანზე დამარცხება ბევრს ნიშნავს და სიმართლე გითხრათ, უზომოდ გახარებული ვარ. გეთანხმებით, რომ ძირითადად თავდაცვით ვიყავით დაკავებულნი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ „მილანთან“ გვქონდა ჯახი, გუნდთან, რომელიც სრულიად დამსახურებულად იმყოფება ცხრილის სათავეში. ამ გამარჯვებით კიდევ უფრო დავუახლოვდით ლიდერებს და ვფიქრობ, სკუდეტოსთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ. მინდა ადრიანო შევაქო, რომელიც შესანიშნავად აკონტროლებდა ბურთს და თანაგუნდელებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა. ვფიქრობ, ახალი წლიდან ის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი გახდება გუნდისთვის და მოედანზე გაცილებით მეტ დროს დაყოფს“.*

„მილანის“ წაფორხილებით „იუვენტუსმა“ ვერ ისარგებლა და „კიევოსთან“ გასვლით პაექრობაში მხოლოდ ერთი ქულა აიღო. **ლუიჯი დელ ნერიმ** გადაწყვიტა, რომ ორიგინალური გადაწყვეტილება მიეღო, ყველა უნდა გაეკვირვებინა და ძირითად შემადგენლობაში ვინმე **ჯანდომატო** გაამწესა. ახალგაზრდა ფეხბურთელს თავი არ დაუზოგავს, ძალიან მონდომებული იყო და მეორე ტაიმის სტარტზე წითელ ბარათსაც გამოჰკრა ხელი. ამის შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და თამაშმა ტურინელთა მხარეს გადაინაცვლა, რამაც შედეგი შეხვედრის უკანასკნელ წუთზე გამოიღო. სანამ „კიევოს“ გოლზე ვიტყოდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიში **ფაბიო კვალიარელამ** ვარდნაში, ულამაზესი დარტყმით გახსნა. რაც შეეხება საპასუხო გოლს, ვერონელებმა ორჯერ მოიგეს მეტოქის საჯარიმოში საჰაერო ორთაბრძოლა, რის შემდეგაც ბურთი **სერჯო პელისიერის** მიუგორდა და მანაც ზუსტი დარტყმით შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა. ბუნებრივია, ვერონელები ცას ეწიენ სიხარულისგან., ლუიჯი დელ ნერის კი მატჩის შემდგომ დანა პირს არ უხსნიდა.

სამაგიეროდ, „ლაციომ“ და „ნაპოლიმ“ მოახერხეს სამ-სამი ქულის მოპოვება და ლიდერთან მიახლოება. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ორივე გუნდმა მატჩის უკანასკნელ წუთებზე გატანილი გოლის წყალობით მიაღწია სანადელს. „ლაციო“ მალევე დაწინაურდა „უდინეზესთან“ შეხვედრაში და თითქოს იოლად უნდა მოეგო, თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა - ფრიულელებმა ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში და ქულის მოპოვებასთან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ მათივე მცველის დაუდევრობის გამო, სამივე ქულა რომში დატოვეს. 88-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც რომაელებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვეს - საჯარიმოში ჩაკიდულ ბურთს **ზაპატამ** დაჰკრა თავური და საკუთარი კიპერი უშანსოდ დატოვა.

რაც შეეხება „ნაპოლის“ - **ედისონ კავანის** გულშემატკივრებისგან ძეგლი თუ არა, ერთი პატარა ბიუსტი ნამდვილად ეკუთვნის. ურუგვაელმა ფორვარდმა კიდევ ერთხელ იყოჩაღა და შეხვედრის უკანასკნელ წუთზე „ლეჩეს“ გამარჯვების გოლი გაუტანა. შეგახსენებთ, რომ სწორედ მისმა შედეგიანმა დარტყმამ გაიყვანა ნეაპოლური გუნდი ევროპის ლიგის პლეიოფში. „სტიაუასთან“ მატჩის უკანასკნელი წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ედისონმა რუმინელებს გადამწყვეტი გოლი გაუტანა და აი, ზუსტად იგივე გაიმეორა „ლეჩესთან“ პაექრობაში. ბრავო კავანი, „ნაპოლი“ კი 2011 წელს მეორე ადგილზე შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური

6 იანვარი: **იუვენტუსი-პარმა, ბრეშა-ჩეზენა, კალიარი-მილანი, ჯენოა-ლაციო, ლეჩე-ბარი, რომა-კატანია, უდინეზე-კიევო, ბოლონია-ფიორენტინა, პალერმო-სამპდორია, ინტერი-ნაპოლი.**

### ჩეზენა-კალიარი 1:0

**ჩეზენა (4-3-3):** ანტონიოლი - ლაურო, პელეგრინო, ფონ ბერგენი, ნაგატომო - პაროლო, კოლუჩი, კაზერტა - ჯაკერინი, ბოგდანი (46. ბუდანი), ხიმენესი (89. შელოტო).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პიზანო (74. პერიკო), კანინი, ასტორი, აგოსტინი - ბიონდინი, კონტი (65. ლაძარი), ნაინგოლანი – კოსუ (78. რაგაცუ) – აკვაფრესკა, მატრი.

**გოლი:** 1:0 ხიმენესი (18).

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 10(3)-8(0); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 16 000

### მილანი-რომა 0:1

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა, ბონერა, ანტონი – გატუზო, პირლო (22. ზეედორფი), ამბროზინი – ბოატენგი (86. რონალდინიო) - იბრაჰიმოვიჩი, რობინიო.

**რომა (4-3-1-2):** დონი - ნ. ბურდისო, ჟუანი, მექსე, რიისე - დე როსი, სიმპლისიო, ბრიგი – მენეზი (81. ტადეი) – ადრიანო (87. როზი), ბორიელო (89. ოკაკა).

**გოლი:** 0:1 ბორიელო (69).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 12-3; **კარში დარტყმა:** 14(4)-6(2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 64 000

### ლაციო-უდინეზე 3:2

**ლაციო (4-2-3-1):** მუსლერა – ლიხტშტაინერი, დიასი, ბიავა, დიაკიტე – ლედესმა, მათუზალემი (90. ბრეშიანო) – მაური, ერნანესი, სარატე (71. კოზაკი) – როკი (90. გონსალესი).

**უდინეზე (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი - ბენეტია, ზაპატა, კოდა - ისლა (90. კორადი), ინლერი, ასამოა (60. დენისი), პინცი – არმერო (79. დომიცი) - დი ნატალე, სანჩესი.

**გოლები:** 1:0 ერნანესი (2), 1:1 სანჩესი (49), 2:1 ბიავა (52), 2:2 დენისი (61), 3:2 ზაპატა (88-საკ. კარში).

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 18(8)-14(4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 25 000

### ბარი-პალერმო 1:1

**ბარი (4-4-2):** პადელი - ა. მაზიელო, ბელმონტე, რაჯი, როსი – რივასი (73. რომერო), გაცი, დონატი, ალვარესი – ბარეტო (37. რინალდი), კუტუზოვი (51. კაპუტო).

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ – კასანი, ბოვო, გოიანი, ბალცარეტი – მილიაჩო, ბასინოვიჩი (77. ლივერანი), ნოჩერინო – პასტორე (78. კასამი), ილიჩიჩი – მიკოლი (46. მაკარონე).

**გოლები:** 0:1 ილიჩიჩი (45), 1:1 ა. მაზიელო (47).

**გაძევება:** როსი (32).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 4(3)-16(6); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 25 000

### კატანია-ბრეშა 1:0

**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი – ალვარესი, სილვესტრი, ბელუში, კაპუანო – გომესი (90. დელ ვეკიო), კარბონი, რიკიუტი (68. ისკო) – ლედესმა – მაქსი ლოპესი, პეშე (66. ლიამა).

**ბრეშა (4-3-3):** სერენი - მარეკო, ბეგა, ძამბელი, ვიდალი (71. დაპრელა) – ბაიოკო, ჰეტემაი (71. ტადეი), ბუდელი – დიამანტი, ედერი (52. ფეშეზინი), პოსანცინი.

**გოლი:** 1:0 მაქსი ლოპესი (33).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 22-12; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 12(8)-7(2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 15 000

### კიევო-იუვენტუსი 1:1

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო (71. სკუიცი) - სარდო, მანდელი, ცეზარი, მანტოვანი - ფერნანდესი (79. ბოლიაჩინო), გუანა, მარკოლინი (62. გრანოჩე) – კონსტანტი - პელისიერი, მოსკარდელი.

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი – სორენსენი, ბონუჩი, კიელინი, გროსო – კრასიჩი (88. ლეგროტალიე), ჯანდონატო, აკვილანი, პეპე (90. ტრაორე) – იაკვინტა, კვალიარელა (60. სალიჰამიჯიჩი).

**გოლები:** 0:1 კვალიარელა (31), 1:1 პელისიერი (90).

**გაძევება:** ჯანდონატო (52).

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 15(5)-7(4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 000

### ნაპოლი-ლეჩე 1:0

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - სანტაკროჩე (67. დუმიტრუ), გრავა, კრიბარი - მაჯო, გარგანო, იებდა, დოსენა – ჰამშიკი, ცუნიგა (52. სოსა) - კავანი.

**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი - დონატი, გუსტავო, ფაბიანო, ბრივიო – გროსმიულერი (71. რისპოლი), ვივესი (84. კოპოლა), ოლივერა – პიატი (80. კორვია) - მესბაჰი, ოფერე.

**გოლი:** 1:0 კავანი (90).

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 10(5)-4(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 40 000

### პარმა-ბოლონია 0:0

**პარმა (4-3-3):** მირანტე - ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი – მორონე, ვალიანი, კანდრევა - ანჯელო (81. ბოჟინოვი), კრესპო, ჯოვინკო.

**ბოლონია (4-3-3):** [illegible] – ბრიტოსი, მორასი, მორლეო - კაზარინი, ეკდალი, დელა როკა – მეჯორინი (71. ბუშე), დი ვაიო, რამირესი (87. ხიმენესი).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 20-25; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 7(2)-4(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 16 000

**სამპდორია-ჯენოა** გადაიდო

**ფიორენტინა-ინტერი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 17 | 11 | 3 | 3 | 29-13 | 36 |
| 2. ნაპოლი | 17 | 10 | 3 | 4 | 26-17 | 33 |
| 3. ლაციო | 17 | 10 | 3 | 4 | 24-16 | 33 |
| 4. იუვენტუსი | 17 | 8 | 7 | 2 | 32-17 | 31 |
| 5. რომა | 17 | 8 | 5 | 4 | 22-20 | 29 |
| 6. პალერმო | 17 | 8 | 3 | 6 | 29-22 | 27 |
| 7. ინტერი | 15 | 6 | 5 | 4 | 20-14 | 23 |
| 8. სამპდორია | 16 | 5 | 8 | 3 | 18-13 | 23 |
| 9. უდინეზე | 17 | 7 | 2 | 8 | 21-21 | 23 |
| 10. კიევო | 17 | 5 | 6 | 6 | 19-19 | 21 |
| 11. ჯენოა | 16 | 6 | 3 | 7 | 13-15 | 21 |
| 12. კატანია | 17 | 5 | 6 | 6 | 14-18 | 21 |
| 13. კალიარი | 17 | 5 | 5 | 7 | 19-16 | 20 |
| 14. ბოლონია | 17 | 5 | 6 | 6 | 16-23 | 20 |
| 15. ფიორენტინა | 16 | 5 | 4 | 7 | 16-17 | 19 |
| 16. პარმა | 17 | 4 | 7 | 6 | 14-20 | 19 |
| 17. ბრეშა | 17 | 4 | 3 | 10 | 12-20 | 15 |
| 18. ჩეზენა | 16 | 4 | 3 | 9 | 11-20 | 15 |
| 19. ლეჩე | 17 | 4 | 3 | 10 | 16-34 | 15 |
| 20. ბარი | 17 | 2 | 5 | 10 | 11-26 | 11 |

ბოლონიას დაკლებული აქვს 1 ქულა

**ბომბარდირები:** 10 – დი ნატალე (უდინეზე); 9 - ეტოო (ინტერი), კავანი (ნაპოლი), იბრაჰიმოვიჩი; 8 - მატრი (კალიარი), დი ვაიო (ბოლონია), კვალიარელა (იუვენტუსი).

### სერია B

### XX ტური

**ნოვარა-პესკარა** 1:1
**გოლები:** 1:0 პორკარი (14), 1:1 მანიერო (61).

**ასკოლი-რეჯინა** 2:1
**გოლები:** 0:1 მისიროლი (6), 1:1 ლუპოლი (53-პენ.), 2:1 ჯორჯი (88).

**ჩიტადელა-ატალანტა** 0:1
**გოლი:** 0:1 ბონავენტურა (74).

**გროსეტო-კროტონე** 2:2
**გოლები:** 0:1 კუტოლო (6), 1:1 მორა (12), 1:2 ჯინესტრა (69-პენ.), 2:2 კარიდი (89-პენ.).

**პორტოგრუარო-მოდენა** 1:1
**გოლები:** 0:1 მაცარინი (74), 1:1 ჯერარდი (80).

**სასუოლო-ფროზინონე** 5:3
**გოლები:** 1:0 მარტინეტი (17), 1:1 სტელონე (23), 2:1 მარტინეტი (25), 3:1 მარტინეტი (40), 4:1 ნოზელი (70), 4:2 სენსონე (74), 5:2 მარტინეტი (76), 5:3 სანტორუვო (90).

**ტორინო-ემპოლი** 2:1
**გოლები:** 1:0 იუნკო (48), 2:0 პელიკორი (53), 2:1 მარძორატი (75).

**ვარეზე-სიენა** 1:0
**გოლი:** 1:0 ებაგუა (14).

**ვიჩენცა-ტრიესტინა** 2:0
**გოლები:** 1:0 აბრუსკატო (13), 2:0 ბოტა (16).

**ლივორნო-პადოვა** გადაიდო

**ალბინოლეფე-პიაჩენცა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნოვარა | 20 | 12 | 6 | 2 | 39-15 | 42 |
| 2. ატალანტა | 20 | 12 | 3 | 5 | 27-17 | 39 |
| 3. სიენა | 20 | 10 | 7 | 3 | 33-19 | 37 |
| 4. ვარეზე | 20 | 9 | 8 | 3 | 23-13 | 35 |
| 5. ტორინო | 20 | 9 | 5 | 6 | 25-23 | 32 |
| 6. ლივორნო | 19 | 8 | 7 | 4 | 28-20 | 31 |
| 7. რეჯინა | 20 | 9 | 4 | 7 | 26-23 | 31 |
| 8. ვიჩენცა | 20 | 9 | 2 | 9 | 24-26 | 29 |
| 9. პესკარა | 20 | 7 | 7 | 6 | 24-23 | 28 |
| 10. პადოვა | 19 | 7 | 6 | 6 | 30-23 | 27 |
| 11. ემპოლი | 20 | 5 | 10 | 5 | 22-19 | 25 |
| 12. კროტონე | 20 | 5 | 9 | 6 | 20-24 | 24 |
| 13. ჩიტადელა | 20 | 6 | 5 | 9 | 24-27 | 23 |
| 14. გროსეტო | 20 | 5 | 7 | 8 | 22-26 | 22 |
| 15. ალბინოლეფე | 19 | 6 | 4 | 9 | 23-31 | 22 |
| 16. მოდენა | 20 | 4 | 8 | 7 | 20-29 | 21 |
| 17. სასუოლო | 20 | 5 | 5 | 10 | 23-27 | 20 |
| 18. ასკოლი | 20 | 6 | 7 | 7 | 21-25 | 20 |
| 19. ფროზინონე | 20 | 4 | 7 | 9 | 21-31 | 19 |
| 20. პორტოგრუარო | 20 | 4 | 6 | 10 | 19-33 | 18 |
| 21. პიაჩენცა | 19 | 3 | 8 | 8 | 21-28 | 17 |
| 22. ტრიესტინა | 20 | 3 | 8 | 9 | 14-27 | 17 |

*ასკოლის დაკლებული აქვს 5 ქულა*

**ბომბარდირები:** 15 - სუჩი (პადოვა); 11 - ბერტანი (ნოვარა); გონსალესი (ნოვარა); 10 - ბონაცოლი (რეჯინა), კორალი (ემპოლი), კაჩა (პიაჩენცა);

### ლეგა პრო 1 A

ალესანდრია-სპეცია 3:1, გუბიო-კრემონეზე 1:0, პავია-ლუმეცანე 1:4, რავენა-კომო 1:1, რეჯანა-სუდტიროლი 2:2, სალერნიტანა-სორენტო 1:4, სპალ-ბასანო 1:0, პერგოკრემამონცა გადაიდო, ვერონა-პაგანეზე დღეს.

### ლეგა პრო 1 B

ატლეტიკო-სირაკუზა 2:1, ბარლეტა-ლუკეზე 1:0, ფოჯა-კავეზე 2:1, ჯელა-ბენევენტო 0:1, იუვე სტაბია-კოზენცა 2:1, ნოჩერინა-პიზა 3:2, ტერნანა-ტარანტო 3:3, ვიარეჯო-ანდრია 2:0, ლანჩანო-ფოლინიო 2:1.

## ჰოლანდია

## ერედივიზიონი

## XIX ტური

**ჰერენვეენი-დე გრააფსხაპი** 4:0
**გოლები:** 1:0 ელმი (11), 2:0 იურიჩიჩი (34), 3:0 ნარსინგი (44), 4:0 ნარსინგი (67).

**ექსელსიორი-გრონინგენი** 2:2
**გოლები:** 0:1 ტადიჩი (7), 0:2 პააუვე (29-საკ. კარში). 1:2 კულვიკი (50-პენ.), 2:2 ბოვენბერგი (89).

**ბრედა-ვიტესი** 1:1
**გოლები:** 0:1 იენერი (30), 1:1 გუდელი (58).

**დენ ჰააგი-ვილემი** 2:1
**გოლები:** 1:0 ფოსებელტი (11-საკ. კარში), 1:1 ბიემანსი (51), 2:1 ლამპი (52-საკ. კარში).

**პსვ-როდა** 3:1
**გოლები:** 1:0 ლენსი (4), 1:1 ჰადური (23), 2:1 ბერგი (52), 3:1 ჯუჯაკი (67).

**ტვენტე-ჰერაკლესი** გადაიდო

**ვენლო-უტრეხტი** გადაიდო

**ალკმაარი-ნიიმეგენი** გადაიდო

**აიაქსი-ფეიენოორდი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 19 | 12 | 5 | 2 | 53-19 | 41 |
| 2. ტვენტე | 18 | 11 | 4 | 3 | 35-21 | 37 |
| 3. გრონინგენი | 19 | 11 | 4 | 4 | 37-24 | 37 |
| 4. აიაქსი | 18 | 10 | 5 | 3 | 37-17 | 35 |
| 5. როდა | 19 | 8 | 8 | 3 | 32-24 | 32 |
| 6. ალკმაარი | 18 | 9 | 5 | 4 | 25-18 | 32 |
| 7. ჰერენვეენი | 19 | 8 | 6 | 5 | 40-26 | 30 |
| 8. დენ ჰააგი | 19 | 8 | 5 | 6 | 31-30 | 29 |
| 9. ბრედა | 19 | 9 | 3 | 7 | 29-28 | 29 |
| 10. უტრეხტი | 18 | 8 | 2 | 8 | 30-26 | 26 |
| 11. ნიიმეგენი | 18 | 6 | 5 | 7 | 31-33 | 23 |
| 12. დე გრააფსხაპი | 19 | 5 | 6 | 8 | 21-37 | 21 |
| 13. ფეიენოორდი | 18 | 5 | 5 | 8 | 23-33 | 20 |
| 14. ჰერაკლესი | 18 | 5 | 4 | 9 | 30-34 | 19 |
| 15. ვიტესი | 19 | 4 | 6 | 9 | 21-33 | 18 |
| 16. ექსელსიორი | 19 | 4 | 4 | 11 | 22-36 | 16 |
| 17. ვენლო | 18 | 3 | 1 | 14 | 17-40 | 10 |
| 18. ვილემი | 19 | 0 | 4 | 15 | 16-51 | 4 |

**ბომბარდირები:** 13 - ვლემინცკი (ნიიმეგენი); 11 - ტოივონენი (პსვ), ვან ვოლფსვინკელი (უტრეხტი), ბულიკინი (დე ჰააგი), ელ ჰამდაუი (აიაქსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეკასმა ინტრიგა დატოვა

*„პირველი წრის ბოლო ტურში ამაზე უკეთესი ვერაფერი მოხდებოდა!“* - წერდა კვირას გაზეთი „ბილდი“. ჩვენი გერმანელი კოლეგები დორტმუნდის „ბორუსიას“ წაგებას გულისხმობდნენ - პირველი წრის გამარჯვებული ფრანკფურტში 0:1 დამარცხდა. ასეა: საფეხბურთო გერმანიას „დორტმუნდის“ წაგება გაუხარდა - ზუსტად ისე, როგორც „ბაიერნის“ წაგება უხარიათ, როცა რეკორდმაისტერი სატურნირო ცხრილს დიდი უპირატესობით ლიდერობს ხოლმე და ეს **იურგენ კლოპის** გუნდისთვის უდავოდ კომპლიმენტია. „ბორუსიას“ მარცხი მართლაც კარგია იმ მხრივ, რომ პირველი წრის ბოლო ტურმა ინტრიგა მაინც დატოვა და ახლა შეგვიძლია, სეზონის მეორე ნახევრის სტარტს უფრო მეტი ინტერესით დაველოდოთ. თანაც, მეორე წრე ხომ „ლევერკუზენისა“ და „დორტმუნდის“ დუელით იწყება (14 იანვარს). ერთი სიტყვით, დორტმუნდელები სუპერრეკორდს ვერ შესწვდნენ, რადგან პირველი წრე 43 ქულით დაასრულეს. რეკორდი კი, რა თქმა უნდა, „ბაიერნს“ ეკუთვნის, რომელიც რეკორდმაისტერმა 2005 წელს, **ფელიქს მაგათის** ხელში დაამყარა: 44 ქულა 17 ტურის შემდეგ.

მართალია, დორტმუნდელებს „აინტრახტთან“ მატჩში გადაღლა ეტყობოდათ, შუა კვირაში „სევილიასთან“ ხომ უმძიმესი ბრძოლა (2:2) გადაიტანეს, მაგრამ ფრანკფურტელები თავიანთ „კომერც-ბანკ-არენაზე“ მაინც დაჯაბნეს და ლოგიკურად, სამი ქულა უნდა აელოთ, მაგრამ არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, მატჩის მიწურულს კი დაუწერელი საფეხბურთო კანონი (ვერ გაიტან, გაგიტანენ) ამოქმედდა და „ბორუსია“ „აინტრახტის“ ბერძენმა გოლეადორმა **თეოფანის გეკასმა** ძალზე ეფექტური გოლით დასაჯა.

*„დიდი ხანია, არ წაგვიგია, მაგრამ ეს წაგება ზუსტად ისე მტკივა, როგორც პირველ ტურში, „ლევერკუზენთან“ განცდილი მარცხი მტკიოდა. „აინტრახტმა“ ვერ გვაჯობა, მაგრამ მოგება კი ნამდვილად დაიმსახურა, რადგან ჩვენ ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. საბოლოო ჯამში, სეზონის პირველი ნახევრით უალრესად კმაყოფილები უნდა ვიყოთ,“* - თქვა მატჩის შემდეგ კლოპმა, რომელიც ცამდე მართალია, რადგან BVB-მ პირველი წრე ათქულიანი უპირატესობით მოიგო. ფრანკფურტელები კი გამარჯვებას ემოციურად ზეიმობდნენ, მატჩის გმირი კი უდავოდ გეკასი გახლდათ, რომელმაც პირველ წრეში 14 გოლის გატანა შეძლო და საუკეთესო ბომბარდირია. გაგახსენებთ, რომ ბერძენი თავდამსხმელი ერთხელ უკვე იყო ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი - 2007 წელს, 20 გოლით და ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ მაშინ გეკასი „ბოხუმის“ (დღეს მეორე ბუნდესლიგაშია) ღირსებას იცავდა.



თეოფანის გეკასის გოლი დორტმუნდის ბორუსიას კარში, მეკარე რომან ვაიდენფელერი უძლური იყო

„ბორუსიას“ წაფორხილებით „ლევერკუზენს“ უნდა ესარგებლა, მაგრამ „ფარმაცევტებმა“ „შავ-ყვითლებთან“ მიახლოება ვერ შეძლეს, რადგან საკუთარ „ბაი არენაზე“ „ფრაიბურგი“ ვერ დაამარცხეს (2:2). დიდთოვლობამ „ლევერკუზენს“ ტექნიკის დემონსტრირების საშუალება არ მისცა, „ფრაიბურგმა“ თავის სტილში, ხისტი ფეხბურთითა და პრაგმატული მიდგომით იმდენი მოახერხა, რომ „ბაიერს“ ჯერ თამაში შეუტრიალა და ლევერკუზენელები საბოლოოდ იმითაც მადლობლები დარჩნენ, ქულა რომ გადაარჩინეს.

სამაგიეროდ, „დორტმუნდის“ აყირავებით და „ლევერკუზენის“ უნიათობით იდეალურად ისარგებლა „მაინცმა“, რომელმაც „ზანკტ პაულისთან“ ტიპური მაინცური მატჩი ჩაატარა, 4:2 მოიგო და პირველი წრე მეორე ადგილზე დაასრულა. შესაბამისად, „მაინცი“ მაინც სეზონის პირველი ნახევრის მთავარ სიურპრიზად დარჩა. 2010 წლის კარგად დასრულებაში ლომის წვლილი შეიტანა **ანდრე შიურლემ**, რომელმაც „პაულის“ მისსავე „მილერნტორზე“ დუბლი შეუსრულა. აი, „ჰანოვერმა“ კი, რომელიც პირველი წრის კიდევ ერთი გამორჩეული გუნდია, წელი წაგებით დახურა. **მირკო სლომკას** გუნდი ნიურნბერგში დამარცხდა და საბოლოოდ მე-4 ადგილს დასჯერდა, რაც „ჰანოვერისთვის“ ნაღდად ბრწყინვალე შედეგია. აქედან გამომდინარე, „მაინცთან“ ერთად, „წითლებსაც“ აქვთ მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურზე ოცნების უფლება.

პირველი წრის დასრულება ყველაზე მეტად „შალკეს“ მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** და მის შეგირდებს (ფანებსაც) ეწყინათ, რადგან სეზონის პირველი ნახევარი სწორედ იმ დროს დაიხურა, როცა გელზენკირხენულმა კლუბმა სისწრაფე აკრიფა. შაბათს „შალკემ“ „კიოლნი“ დაიბრიყვა (3:0) და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ბოლო ხუთ საშინაო მატჩში მაგათის ბიჭებმა 15 გოლი გაიტანეს, თან ისე, რომ საკუთარ კარში ერთიც არ მიუღიათ. „კიოლნს“ სამივე გოლი **რაულმა** გაუტანა - ვეტერან ესპანელს პირველ წრეში 9 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია. აღსანიშნავია, რომ რაულს ცხრავე გოლი „ფელტინს არენაზე“, „შალკეს“ ქომაგების თვალწინ აქვს გატანილი. *„ეს გამარჯვება, რაულის ჰეთ-თრიკი და ზოგადად ჩვენი ბოლო თამაშები ასი პროცენტით მარწმუნებს იმაში, რომ მეორე წრეს ძალიან კარგად ჩავატარებთ. ვფიქრობ, ხუთეულში მოხვედრა არ გაგვიჭირდება,“* - თქვა ნამატჩევს მაგათმა. სამშაბათს „შალკეს“ გერმანიის თასის მერვედფინალური მატჩი ელის აუგსბურგში და მაგათმა ჯერ არ იცის, ათამაშებს თუ არა რაულს. ფელიქსი ესპანელ გოლეადორს აქამდე თასის მატჩებში მუდმივად ასვენებდა ხოლმე. რაც შეეხება „კიოლნს“: მთავარი სიახლე ის არის, რომ „თხებს“ ახალი სპორტული დირექტორი ჰყავთ - გუშინ ამ პოსტზე იაპონიიდან გერმანიაში დაბრუნებული **ფოლკერ ფინკე** დაინიშნა.

„შალკე“ კი გამოსწორდა, მაგრამ ბრემენის „ვერდერს“ საშველი ვერაფრით დაადგა. თუკი ამ უქმეებამდე ბრემენში იმედის ნაპერწკალი მაინც ღვიოდა, შაბათის მერე „ვეზერშტადიონზე“ სინათლესთან ერთად, ისიც ჩაქვრა - **თომას შააფის** გუნდმა საკუთარ მოედანზე „კაიზერსლაუტერნთან“ წააგო (1:2, **სრდიან ლაკიჩის** დუბლი) და პირველი წრე მე-14 ადგილზე დაასრულა. შეხედეთ ცხრილს: ბრემენელები, რომლებსაც წესით მინიმუმ ხუთეულში მოსახვედრად უნდა ებრძოლათ, გასავარდნ ზონას მხოლოდ 4 ქულით უსწრებენ. „ვერდერის“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** კი პირდაპირ ამბობს, რაც უნდა მტკივნეული იყოს ამის აღიარება, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მიზანი ელიტაში ადგილის შენარჩუნება უნდა იყოსო.

„ვოლფსბურგმა“ „ჰოფენჰაიმთან“ პირველი ტაიმი 0:2 წააგო და „ფოლკსვაგენარენას“ პუბლიკას აღარ სჯეროდა, რომ „მგლები“ მატჩის გადარჩენას შეძლებდნენ. შესაბამისად, შესვენებაზე ჯერ „ვოლფსბურგის“ შეფი **დიტერ ჰიონესი** ლანძღეს და მისი გადადგომა მოითხოვეს, მერე ჰიონესს გუნდის ინგლისელი მწვრთნელი **სტივ მაკლარენიც** ზედ მიაყოლეს და მისი გათავისუფლებაც მოითხოვეს, ბოლოს კი ისე განრისხდნენ, რომ **ედინ ჯეკოსაც** გადასწვდნენ, თუ ასე გინდა „ვოლფსბურგიდან“ წასვლა, ჯანდაბამდე გზა გქონია, არაფერში გვჭირდებიო. მაგრამ მეორე ტაიმში „ვოლფსბურგმა“ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ თამაში გადაერჩინა, ცოტათი გაუმართლა კიდეც და საბოლოოდ იმდენი ქნა, რომ „ჰოფეს“ „ფოლკსვაგენარენაზე“ ქულა დაატოვებინა. გადამწყვეტი გოლი კი სწორედ ჯეკომ გაიტანა, თანაც, მსაჯის მიერ დამატებულ დროში. ბოსნიელის გოლი მაკლარენმა ისე იზეიმა, თითქოს „ვოლფსბურგი“ გერმანიის ჩემპიონი გახდა - არცაა გასაკვირი, რადგან მიღწეულმა ფრემ მაკლარენი სამსახურის დაკარგვისგან იხსნა.

გუშინ, „ბაიერნმა“ შტუტგარტში ბრწყინვალე სპექტაკლი დადგა. მიუნხენელებმა შტუტგარტის ახალ მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** შვაბურ-ბუნდესლიგური დებიუტი ჩაუმწარეს - 5:3 „მერსედეს ბენც არენაზე“. ხუთიდან სამი გოლი **მარიო გომესის** ანგარიშზეა, რომელმაც ყოფილ თანაგუნდელებს ჰეთ-თრიკი შეუსრულა. ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ, „ბაიერნი“ 5:1-ს იგებდა და შტუტგარტელებმა მხოლოდ ამის მერე შეძლეს პრესტიჟის ორი გოლის გატანა და მეტ-ნაკლებად ნორმალური ანგარიში, მისაღები სხვაობა დააფიქსირეს. ამრიგად, „ბაიერნმა“ პირველი წრე მეხუთე ადგილზე დაასრულა, 2007 წლის ჩემპიონმა „შტუტგარტმა“ კი ბოლოს წინაზე. ამ მატჩით ბუნდესლიგა ძველით ახალ წლამდე დაგვემშვიდობა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

14 იანვარი. ლევერკუზენი-ბორუსია (დ). **15 იანვარი.** ვერდერი-ჰოფენჰაიმი, შტუტგარტი-მაინცი, ვოლფსბურგი-ბაიერნი, ნიურნბერგი-ბორუსია (მ), ზტ. პაული-ფრაიბურგი, შალკე-ჰამბურგი. **16 იანვარი.** აინტრახტი-ჰანოვერი, კაიზერსლაუტერნი-კიოლნი.

## ● თურქეთი

### სუპერლიგა. XVII ტური

**ტრაბზონი-ქარაბიუქი 3:0**
**გოლები:** 1:0 აქთურქი (83-საკ. კარში), 2:0 ბაითარი (90), 3:0 ილმაზი (90)

**ქაისერი-ბუკა 2:0**
**გოლები:** 1:0 სისმანოღლუ (79), 2:0 სისმანოღლუ (82)

**გენჩლერბირლიგი-ბურსა 1:5**
**გოლები:** 0:1 ილდირიმი (17), 1:1 აიდოღდუ (26), 1:2 იფექი (28), 1:3 ილდირიმი (45), 1:4 ბაჰადირი (53); 1:5 ნუნიესი (88)

**ანთალია-ანკარაგიუჯუ 2:2**
**გოლები:** 1:0 ატესი (42), 1:1 ჟეველაკოვი (67), 1:2 საპარა (71), 2:2 ატესი (81-პენ)

**ფენერბაჰჩე-სივასი 1:0**
**გოლი:** 1:0 ალექსი (77)

**მანიშა-ბუიუქშეჰირი 1:0**
**გოლი:** 1:0 კაპე (50)

**კონია-გალათასარაი 0:1**
**გოლი:** 0:1 დილავერი (81)

**კასიმფაშა-ესქიშეჰირი 0:2**
**გოლები:** 0:1 კარადენიზი (40), 0:2 ქარანი (89)

**ბეშიქთაში-გაზიანთეფი 1:1**
**გოლები:** 0:1 ადინი (60), 1:1 კუჩიკი (65)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 17 | 13 | 3 | 1 | 40-10 | 42 |
| 2. ბურსა | 17 | 11 | 4 | 2 | 32-12 | 37 |
| 3. ფენერბაჰჩე | 17 | 10 | 3 | 4 | 40-21 | 33 |
| 4. ქაისერი | 17 | 9 | 5 | 3 | 22-12 | 32 |
| 5. ბეშიქთაში | 17 | 8 | 4 | 5 | 25-18 | 28 |
| 6. ქარაბიუქი | 17 | 7 | 3 | 7 | 28-27 | 24 |
| 7. გაზიანთეფი | 17 | 6 | 6 | 5 | 15-15 | 24 |
| 8. ბუიუქშეჰირი | 17 | 7 | 2 | 8 | 20-18 | 23 |
| 9. გალათასარაი | 17 | 7 | 2 | 8 | 19-21 | 23 |
| 10. ანთალია | 17 | 6 | 5 | 6 | 19-22 | 23 |
| 11. ესქიშეჰირი | 17 | 5 | 7 | 5 | 17-17 | 22 |
| 12. მანიშა | 17 | 7 | 1 | 9 | 22-25 | 22 |
| 13. ანკარაგიუჯუ | 17 | 5 | 6 | 6 | 24-29 | 21 |
| 14. გენჩლერბირ. | 17 | 4 | 5 | 8 | 16-28 | 17 |
| 15. სივასი | 17 | 3 | 6 | 8 | 17-32 | 15 |
| 16. კონია | 17 | 3 | 5 | 9 | 17-27 | 14 |
| 17. ბუკა | 17 | 2 | 6 | 9 | 9-23 | 12 |
| 18. კასიმფაშა | 17 | 1 | 5 | 11 | 14-39 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ალექსი (ფენერბაჰჩე), ემენიკე (ქარაბიუქი); 9 - ილმაზი (ტრაბზონი), ნიანგი (ფენერბაჰჩე); 8 - სიმპსონი (მანიშა), თუმი (ბუიუქშეჰირი), ბულუთი (ტრაბზონი).

### ბორუსია (მ)-ჰამბურგი 1:2

**ბორუსია მ (4-1-2-2-1):** ჰაიმეროთი - შახტენი, კალსენ-ბრაკერი, დემსი, ვისინგი - ნოიშტედტერი - მარქსი (81. ჰერმანი), ბრედლი (78. იდრისუ) - როისი, არანგო - დე კამარგო.
**ჰამბურგი (4-2-3-1):** როსტი - რინკონი, ბესიჩი, ვესტერმანი, აოგო - ტროხოვსკი, იაროლიმი - ჩუპო-მოტინგი (60. ვან ნისტელროი), პიტროიპა (88. ბენ-ჰატირა), ელია (91. ტეშე) - გერერო.
**გოლები:** 0:1 ელია (46), 1:1 დე კამარგო (48), 1:2 ტროხოვსკი (72)
**გაფრთხილება:** შახტენი (ბორუსია მ)
**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 18(8)-15(9); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 42 253

### ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი 2:2

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - რიტერი, კიაერი, ბარძალი, მ. შეფერი - მადლუნგი - ჰასებე (69. კალენბერგი), ჩიგერჩი (46. გრაფიტე) - დიეგო - მანჯუკიჩი, ჯეკო.
**ჰოფენჰაიმი (4-2-2-1-1):** ჰაასი - ბეკი, იაისლე (79. შიმუნიჩი), კომპერი, იბერტსბერგერი - რუდი, ლუის გუსტავო (65. ბა) - ვუკჩევიჩი, სალიჰოვიჩი - სიგურდსონი - იბიშევიჩი (90. მლაპა).
**გოლები:** 0:1 ლუის გუსტავო (34), 0:2 სიგურდსონი (40), 1:2 დიეგო (75), 2:2 ჯეკო (91)
**გაფრთხილება:** მადლუნგი, მანჯუკიჩი - სალიჰოვიჩი
**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 22-15; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 13(5)-15(7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 24 512

### აინტრახტი-ბორუსია (დ) 1:0

**აინტრახტი (4-2-3-1):** ფერმანი - ს. იუნგი, ვასოსკი, შვეგლერი, ცაველასი (77. ფენინი) - კლერკი, კიოლერი - ოხსი, ა. მაიერი, ჰალილ ალთინთოფი (93. კაიო) - გეკასი (90. ამანატიდისი).
**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი (46. და სილვა), ნ. შაჰინი - შ. გიოტცე, კაგავა (64. ბლაშჩიკოვსკი), გროსკროიტცი (73. ლევანდოვსკი) - ბარიოსი.
**გოლი:** 1:0 გეკასი (87)
**გაფრთხილება:** შვეგლერი, ა. მაიერი - შმელცერი, ვაიდენფელერი
**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12(4)-9(1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 51 500

### ნიურნბერგი-ჰანოვერი 3:1

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი - იუდტი, ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა - სიმონსი - ჰეგელერი (92. პლატენჰარდტი), გიუნდოგანი (85. აიგლერი), კოენი, ექიჩი - შიბერი (90. ოკოტი).
**ჰანოვერი (4-2-2-2):** ფრომლოვიტცი - ჩერუნდოლო, ეგიმანი, პოგატეცი, კ. შულცი - პინტუ, შმიდებახი - შტინდლი (46. ჰანკე), რაუში (86. ჯაპკა) - შლაუდრაფი, აბდელაუ (64. ფორსელი).
**გოლები:** 1:0 ჩერუნდოლო (28-საკ. კარში), 2:0 ვოლფი (31), 2:1 პინტუ (76-პენ), 3:1 შიბერი (82)
**გაფრთხილება:** რ. შეფერი - შმიდებახი, პინტუ, პოგატეცი, ჩერუნდოლო
**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 24-23; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 19(9)-5(1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 33 111

### შალკე-კიოლნი 3:0

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი - კლუგე, რაკიტიჩი - ფარფანი (77. პაპადოპულოსი), ხურადო (73. ედუ) - ჰუნტელაარი, რაული (88. გავრანოვიჩი).
**კიოლნი (4-2-3-1):** მონდრაგონი - შორხი (75. მაკენა), ჟერომელი, მოჰამადი, ერეთი - პეტიტი, მატუშიკი (83. ტეროდე) - კლემენსი, ლანიგი, ჟაჟალო - ფრაისი (62. იონიტა).
**გოლები:** 1:0 რაული (30), 2:0 რაული (50), 3:0 რაული (87)
**გაფრთხილება:** პეტიტი (კიოლნი)
**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 16(6)-7(1); **ბურთის ფლობა:** 54%-47%.
**მაყურებელი:** 61 673

### ვერდერი-კაიზერსლაუტერნი 1:2

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე - დ. შმიდტი, მერტეზაკერი, პრიოდლი, პასანენი (26. ვაგნერი) - ფრინგსი (82. ჰუსეინოვიჩი), ფრიტცი - ბარგფრედე (62. თაი), ჰანტი, მარინი - არნაუტოვიჩი.
**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ზიპელი - დიკი, ამედიკი, აბელი, ბუგერა - ტიფერტი, პეცოსი - კირხი (75. იესენი), მორავეკი (46. ნემეცი), ილიჩევიჩი (82. დე ვიტი) - ლაკიჩი.
**გოლები:** 0:1 ლაკიჩი (1), 1:1 ჰანტი (34-პენ), 1:2 ლაკიჩი (52)
**გაფრთხილება:** ფრინგსი, ჰანტი - ტიფერტი, ლაკიჩი
**გაძევება:** ვაგნერი (84) - ბუგერა (72)
**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 22(5)-17(7); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 35 135

### ზტ. პაული - მაინცი 2:4

**ზტ. პაული (4-2-2-1-1):** მ. ჰაინი - როთენბახი, მორენა, გიუნეში, ოჩიპკა - ბოლი (57. ბრუნსი), მ. ლემანი - კრუსე (57. ტაკი), ჰენინგსი (57. შულტცი) - ასამოა - ებერსი.
**მაინცი (4-1-2-1-2):** ჰ. მიულერი - ზაბავნიკი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფუხსი - ფათი - კალიჯური, სოტო (81. პოლანსკი) - ჰოლტბი (65. ალაგუი) - შალაი, შიურლე (92. რისსე).
**გოლები:** 0:1 შიურლე (11), 0:2 შიურლე (28), 1:2 მ. ლემანი (33-პენ), 1:3 შალაი (41), 2:3 მ. ლემანი (63), 2:4 კალიჯური (83)
**გაფრთხილება:** შულტცი, როთენბახი - ჰ. მიულერი
**კუთხური:** 11-8; **ჯარიმა:** 21-18; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14(6)-20(7); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 24 235

### ლევერკუზენი-ფრაიბურგი 2:2

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** გიფერი - კასტრო, მ. ფრიდრიხი, რაინარტცი, კადლეცი - ვიდალი (69. ჰელმესი), როლფესი (74. ბალიტში) - სემი, რენატო, ბარნეტა - დერდიოკი (66. კისლინგი).
**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუივჯა, ფლუმი, ბუტშერი, ბასტიანსი - შუსტერი (75. კალიჯური) - ნიკუ, როზენტალი, მაკიადი, აბდესადკი (91. იეგერი) - რაიზინგერი (85. იანო).
**გოლები:** 1:0 ვიდალი (16-პენ), 1:1 როზენტალი (24), 1:2 რაიზინგერი (65), 2:2 ჰელმესი (75)
**გაფრთხილება:** რაინარტცი, ბარნეტა, კადლეცი - კალიჯური
**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14(6)-8(4); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.
**მაყურებელი:** 22 421

### შტუტგარტი-ბაიერნი 3:5

**შტუტგარტი ():** ულრაიხი - ბიჩაქჩიჩი (60. ბულარუზი), ტასკი, დელპიერი, მოლინარო - ტრეში, კუზმანოვიჩი (67. გენტნერი) - გებჰარდტი (46. ჰარნიკი), ბოკა - კაკაუ, პოგრებნიაკი.
**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბრენო, კონტენტო - ვან ბომელი, ოტლი - ჰამით ალთინთოფი (46. პრანიჩი), თ. მიულერი (77. ალაბა), რიბერი - გომესი (67. კლოზე).
**გოლები:** 0:1 გომესი (31), 0:2 თ. მიულერი (36), 0:3 რიბერი (43), 1:3 ჰარნიკი (50), 1:4 გომესი (52), 1:5 გომესი (54), 2:5 ჰარნიკი (64), 3:5 გენტნერი (70)
**გაფრთხილება:** ტრეში, ტასკი, პოგრებნიაკი - ტიმოშჩუკი
**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12(7)-10(9); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.
**მაყურებელი:** 40 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 17 | 14 | 1 | 2 | 39-10 | 43 |
| 2. მაინცი | 17 | 11 | 0 | 6 | 30-19 | 33 |
| 3. ლევერკუზენი | 17 | 9 | 6 | 2 | 35-25 | 33 |
| 4. ჰანოვერი | 17 | 10 | 1 | 6 | 25-27 | 31 |
| 5. ბაიერნი | 17 | 8 | 5 | 4 | 31-20 | 29 |
| 6. ფრაიბურგი | 17 | 9 | 1 | 7 | 25-25 | 28 |
| 7. აინტრახტი | 17 | 8 | 2 | 7 | 24-21 | 26 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 17 | 6 | 7 | 4 | 32-22 | 25 |
| 9. ჰამბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 27-28 | 24 |
| 10. შალკე | 17 | 6 | 4 | 7 | 25-24 | 22 |
| 11. ნიურნბერგი | 17 | 6 | 4 | 7 | 22-28 | 22 |
| 12. კაიზერსლაუტ. | 17 | 6 | 3 | 8 | 27-27 | 21 |
| 13. ვოლფსბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 24-25 | 19 |
| 14. ვერდერი | 17 | 5 | 4 | 8 | 23-35 | 19 |
| 15. ზტ. პაული | 17 | 5 | 2 | 10 | 16-30 | 17 |
| 16. კიოლნი | 17 | 4 | 3 | 10 | 18-33 | 15 |
| 17. შტუტგარტი | 17 | 3 | 3 | 11 | 32-35 | 12 |
| 18. ბორუსია (მ) | 17 | 2 | 4 | 11 | 26-47 | 10 |

**ბომბარდირები:** 14 - გეკასი (აინტრახტი); 13 - სისე (ფრაიბურგი); 12 - გომესი (ბაიერნი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 10 - ჯეკო (ვოლფსბურგი); 9 - უგო ალმეიდა (ვერდერი), რაული (შალკე), შიურლე (მაინცი), ია კონანი (ჰანოვერი); 8 - ბარიოსი (ბორუსია დ), კაგავა (ბორუსია დ), ვიდალი (ლევერკუზენი).

## II ბუნდესლიგა

### XVII ტური

**დუისბურგი-ბოხუმი 0:1**
**გოლი:** 0:1 დაბროვსკი (53)

**არმინია-ალემანია 1:3**
**გოლები:** 0:1 აუერი (4), 1:1 ჰაიდინგერი (52), 1:2 არსლანი (86), 1:3 აუერი (90)

**აუგსბურგი-ჰერტა 1:1**
**გოლები:** 0:1 რუკავიტსია (27), 1:1 რაფაელი (71-პენ)

**ფორტუნა-ფიურტი 1:0**
**გოლი:** 1:0 ბაისტერი (73)

**მიუნხენ 1860-პადერბორნი 1:0**
**გოლი:** 1:0 კაპლანი (22-პენ)

**ობერჰაუზენი-კოტბუსი 0:4**
**გოლები:** 0:1 შაო (3), 0:2 ბრჟენსკა (43), 0:3 პეტერსენი (54), 0:4 იოვანოვიჩი (90)

**ოსნაბრიუკი-ინგოლშტადტი 2:1**
**გოლები:** 0:1 მეტცელდერი (40), 1:1 ლინდემანი (65), 2:1 ზენჩიკი (73)

**უნიონი-კარლსრუე** *დღეს*

**აუე-ფრანკფურტი** *გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუგსბურგი | 17 | 10 | 3 | 4 | 34-16 | 33 |
| 2. ჰერტა | 17 | 10 | 3 | 4 | 25-13 | 33 |
| 3. კოტბუსი | 17 | 9 | 4 | 4 | 35-23 | 31 |
| 4. აუე | 16 | 9 | 4 | 3 | 19-18 | 31 |
| 5. დუისბურგი | 17 | 9 | 3 | 5 | 28-16 | 30 |
| 6. ფიურტი | 17 | 9 | 3 | 5 | 25-14 | 30 |
| 7. ფრანკფურტი | 16 | 9 | 1 | 6 | 25-18 | 28 |
| 8. ბოხუმი | 17 | 9 | 1 | 7 | 21-21 | 28 |
| 9. მიუნხენ 1860 | 17 | 7 | 6 | 4 | 22-17 | 25 |
| 10. ალემანია | 17 | 6 | 6 | 5 | 25-24 | 24 |
| 11. ფორტუნა | 17 | 7 | 1 | 9 | 14-18 | 22 |
| 12. პადერბორნი | 17 | 6 | 3 | 8 | 16-22 | 21 |
| 13. ოსნაბრიუკი | 17 | 5 | 3 | 9 | 25-31 | 18 |
| 14. ობერჰაუზენი | 17 | 5 | 3 | 9 | 14-28 | 18 |
| 15. უნიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-21 | 16 |
| 16. კარლსრუე | 16 | 4 | 4 | 8 | 21-31 | 16 |
| 17. ინგოლშტადტი | 17 | 3 | 3 | 12 | 19-28 | 12 |
| 18. არმინია | 17 | 2 | 1 | 14 | 12-36 | 7 |

* მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები:** 11 - პეტერსენი (კოტბუსი); 10 - რაფაელი (აუგსბურგი); 9 - აუერი (ალემანია), მიოლდერსი (ფრანკფურტი); 8 - ჩონგი (ბოხუმი), ლაუთი (მიუნხენ 1860); 7 - ბალიაკი (დუისბურგი).

## III ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-კარლ ცაისი 2:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

# ინტერმა არც ბოლო ტიტული გაუშვა

## ან მენდეთ, ან წავალ



| ფინალი | |
|---|---|
| **ინტერი (იტალია)-მაზემბე (კონგო)** | **3:0** |

**ინტერი:** ჟულიო სესარი, მაიკონი, კორდობა, ლუსიო, კივუ (54. სტანკოვიჩი), ძანეტი, ტიაგო მოტა (87. მარიგა), კამბიასო, პანდევი, ეტოო, მილიტო (70. ბიაბიანი).

**მაზემბე:** კიდიაბა, კიმვაკი, კასუსულა, ნკულუკუტა, სინგულუმა, კაბანგუ, ბედი, კალუიტუკა (90. ნდონგა), მიაიო, ეკანგა, კასონგო (46. კანდა).

**გოლები:** 1:0 პანდევი (13), 2:0 ეტოო (17), 3:0 ბიაბიანი (85)

**არბიტრი:** ი. ნიშიმურა (იაპონია)

| მატჩი მესამე ადგილისთვის | |
|---|---|
| **ინტერნასიონალი (ბრაზ.)-სეონგნამი (კორ.)** | **4:2** |

**ინტერნასიონალი:** რენანი (74. აბონდანსიერი), ბოლივარი, ინდიო, ნეი, კლებერი, პაბლო გუინასუ, ვილსონ მატიაში (81. ანდერზინიო), რაფაელ სობისი (62. ჟიულიანო), დალესანდრო, ტინგა, ალეშანდრო.

**სეონგნამი:** ი. რიონგი, სუნგი, სუნი, კუკი, გეონი, მოლინა, იუნგი (28. რადონჩიჩი (43. კ. რიონგი (78. ჯინი), ჰვანი, ჩული, ვონი, ჩეოლი.

**გოლები:** 1:0 ტინგა (15), 2:0 ალეშანდრო (27), 3:0 დალესანდრო (52), 4:0 ალეშანდრო (71), 4:1 მოლინა (84), 4:2 მოლინა (90)

*„ყოველ კლუბს სამი გზა აქვს. პირველი: 100 პროცენტით დაუჭიროს მხარი მწვრთნელსა და მის იდეებს და იყიდოს ოთხი-ხუთი ძლიერი მოთამაშე, რათა შესაძლებელი გახდეს ტიტულების შესანარჩუნებლად ბრძოლა; მეორე: მოსთხოვოს მწვრთნელს წარმატებები ზემოთ ნახსენები წინაპირობების გარეშე და მესამე – ელაპარაკოს მწვრთნელის აგენტს კონტრაქტის გაწყვეტის პირობებზე"*, - განაცხადა **რაფა ბენიტესმა** მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგების შემდეგ, რითაც გულში დიდი ხნის დაგროვებული დარდი და წუხილი ამოთქვა. *"მასიმო მორატისთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ "ინტერისგან" მხარდაჭერასა და პატივისცემას ვითხოვ. მინდა, სიტუაციას მალე მოეფინოს ნათელი და ან მენდონ, ანაც ახლავე გამიშვან"*, - დაამატა "ინტერის" ესპანელმა დამრიგებელმა.

იტალიაში დაბრუნებისთანავე ბენიტესი "ინტერის" პრეზიდენტ **მასიმო მორატისა** და სპორტულ დირექტორ **მარკო ბრანკას** კლუბის სამოქმედო გეგმაზე ვრცლად დაელაპარაკება და სწორედ მაშინ გაირკვევა ბევრი რამ, მათ შორის "ინტერის" მთავარი მწვრთნელის საკითხიც. მორატიმ კი მწვრთნელის ერთ მოთხოვნაზე უკვე თქვა საჯარო უარი: *"ტრანსფერები ის საკითხი არაა, რაზეც სეზონის მსვლელობისას ღირს საუბარი. ბენიტესთან სხვა თემებს განვიხილავ"*. გუშინვე ბენიტესის აგენტმა მანუელ გარსია კილონმა თქვა, რომ მისი კლიენტი "ინტერში" აუცილებლად დარჩება...

ჯერჯერობით, ბენიტესის გადაყენებაზე საუბარი მართლაც ნაადრევი უნდა იყოს. მართალია, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი დიდი ვერაფერი ტურნირია, მაგრამ მისმა მოგებამ იტალიურ არენაზე ხელმოცარული რაფას პოზიციები მცირედით მაინც გაამყარა.

მოკლედ, ბენიტესის თემა უახლოეს დღეებში კვლავ აქტუალური იქნება და სავარაუდოდ, მასზე წერა ინტენსიურად მოგვიწევს. ასე რომ, ახლა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში დასრულებულ ჩემპიონატს მივუბრუნდეთ, რომლის ფინალშიც ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულებმა აფრიკის საუკეთესო კლუბი იოლად დაჯაბნეს. შეგახსენებთ, კონგოურმა "მაზემბემ" გადამწყვეტ შეხვედრაში თამაშის უფლება მექსიკური "პაჩუკასა" და ბრაზილიური "ინტერნასიონალის" სენსაციური ძლევით მოიპოვა და საინტერესო იყო, ფინალშიც თუ შეძლებდა საფეხბურთო მსოფლიოს გაკვირვებას.

თუმცა ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ნახევარფინალში დაშავებული **ვესლი სნეიდერის** გარეშე მოთამაშე "ინტერმა" ფინალის ბედი დებიუტშივე გადაწყვიტა. მე-13 წუთზე **სამუელ ეტოომ** მეკარესთან პირისპირ **გორან პანდევი** გაიყვანა და მაკედონიელს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. პანდევმა ეტოოს "პატივისცემა" ოთხიოდე წუთში გადაუხადა – საგოლე კომბინაცია **კამბიასომ** დაიწყო, პანდევმა გააგრძელა და კამერუნელის ძლიერი და გამოზომილი დარტყმით დასრულდა – 2:0.

ამით უკვე ყველაფერი ნათელი გახდა და მატჩი საინტერესო ეპიზოდების გარეშე გაგრძელდა. "ინტერის" მესამე გოლი პირველის ანალოგიური იყო, განსხვავება მხოლოდ მეგოლესა და ასისტენტში იყო – შეცვლაზე ახლად შესულ **ჯონათან ბიაბიანის დეიან სტანკოვიჩმა** გაატანინა.

საინტერესო იყო დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც **მარკო მატერაცი** საერთოდ არ გამოცხადდა და შემდეგ განაცხადა, არ მაინტერესებს, დარჩება თუ წავა ბენიტესიო, "ინტერის" კაპიტანმა **ხავიერ ძანეტიმ** კი გამარჯვება დაშავებულ თანაგუნდელ და თანამემამულე ვალტერ სამუელს მიუძღვნა. შეგახსენებთ, ეს უკანასკნელი მძიმედაა ტრავმირებული, ამ სეზონში მოედანზე ველარ გავა და შესაძლოა, კარიერა საერთოდ დაასრულოს.

*"ვალტერ სამუელი "ინტერისთვის" უმნიშვნელოვანეს ფიგურად რჩება და ამას კიდევ ერთხელ ვუმეორებ. ეს ჩემს კარიერაში მეთხუთმეტე ტიტულია. ბედნიერი ვარ, ასეთ ფანტასტიკურ წელიწადს კიდევ ერთი ჯილდოთი რომ ვასრულებ. არც ერთ იტალიურ კლუბს არ მიუღწევია იმისთვის, რაც "ინტერმა" 2010 წელს შეძლო. ჩვენმა გულშემატკივრებმა ჩვენით უნდა იამაყონ"*, - თქვა ვეტერანმა არგენტინელმა.

დაჯილდოებაზე ჯერ "ინტერს" გადასცეს მთავარი თასი, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი სამუელ ეტოომ მიიღო, მეორე მოთამაშედ მაზემბელი **დიოკო კალუიტუკა** დაასახელეს, მესამედ კი "ინტერნასიონალის" არგენტინელი ლიდერი **ანდრეს დალესანდრო**.

მესამე ადგილისთვის მატჩში "ინტერნასიონალმა" დამაჯერებლად სძლია სამხრეთკორეულ "სეონგნამს". ბრაზილიელთა არგენტინელ კიპერ **რობერტო აბონდანსიერის** პატივი დასდეს და შეცვლაზე ათამაშეს. არგენტინის ეროვნულ ნაკრებში 49 შეხვედრის ჩამტარებელი აბონდანსიერისთვის ეს ბოლო მატჩი იყო პროფესიულ კარიერაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# უცხოური ფეხბური

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჩილეთი-ესტონეთი | 3:0 |
| ჰონდურასი-პანამა | 2:1 |

## საფრანგეთის თასი

### II რაუნდი

| | |
|---|---|
| ანზანზი-მეცი | 0:3 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XI ტური

| | |
|---|---|
| ფატიმა-ფეირენსე | 1:2 |
| ოლივეირენსე-მორეირენსე | 1:1 |
| ავეში-ლეიქსოეში | 2:2 |
| ესტორილი-აროუკა | 5:2 |
| პენაფიელი-სანტა კლარა | 1:1 |
| ბელენენსეში-ჟილ ვისენტე | 2:0 |
| ტროფენსე-ფრეამუნდე | 1:1 |
| ვარზიმი-კოვილია | 5:2 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| დანდი-სტირლინგი | 2:0 |

### II დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ალოა-ეირდრი | 2:3 |

### III დივიზიონი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ელჯინი | 1:1 |

## კვიპროსი

XV ტური

| | |
|---|---|
| აპოპ-ანორთოსისი | 3:1 |
| აეკ-აპოლონი | 2:2 |
| აპოელ-ენოსისი | 2:1 |
| აელ-დოქსა | 3:0 |
| ეთნიკოსი-ომონია | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ერმისი | 3:2 |
| ალკი-აეპ | დღეს |

## საბერძნეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-პანსერაიკოსი | 2:0 |
| კავალა-ატრომიტოსი | 1:1 |
| პანიონიოსი-ასტერასი | 0:0 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი (პ) | 0:1 |
| არისი-ქსანთი | 0:2 |
| კერკირა-პაოკ | 2:1 |
| ირაკლისი-აეკ | 2:0 |
| ლარისა-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:1 |

### II დივიზიონი

XV ტური

დიაგორასი-იონიკოსი 2:1; ილუპოლი-პანთრაკიკოსი 0:0; პანაიტოლიკოსი-ეთნიკოსი (პ) 1:2; იანინა-დოქსა 1:0; პიერიკოსი-ეთნიკოსი (ა) 1:1; ტრიკალა-კალითეა 1:0; აგროტიკოსი-ოფი დღეს; ლევადია-ანაგენისი დღეს; ტრასივულოსი-ვერია დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| გიუნგორენი-ქარსიაკა | 0:0 |
| ალთაი-ადანა | 0:0 |
| ბბ გაზიანთეფი-დიარბაქირი | 1:0 |
| ახისარი-თავსანლი | 0:1 |
| ერჩიესი-გირესუნი | 1:1 |
| ქართალი-ბოლუ | 0:3 |
| ორდუ-დენიზლი | 0:0 |
| რიზე-სამსუნი | 0:1 |

## ისრაელი

XV ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (პ)-მაკაბი (ნ) | 3:0 |
| აშდოდი-ჰაპოელი (აშ) | 3:2 |
| ბნეი შახნინი-ჰაპოელი (აქ) | 0:1 |
| მაკაბი (ფ-თ)-ბნეი იეჰუდა | 3:0 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (რ-გ) | 4:0 |
| ბეითარი-ირონი | 1:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-ჰაპოელი (ჰ) | 2:0 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (თ-ა) | დღეს |

## მოლდოვა

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო-შერიფი | 0:7 |

## აზერბაიჯანი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| განჯა-ნეფთჩი | 0:4 |
| ბაქუ-ინტერი | 1:2 |
| მოიკ-ხაზარი | 0:2 |
| ყარაბახი-მუგანი | 2:0 |
| თურანი-სიმურგი | 1:1 |
| აზალ-ქაბალა | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხაზარი | 18 | 12 | 4 | 2 | 22-8 | 40 |
| 2. ნეფთჩი | 18 | 11 | 5 | 2 | 34-9 | 38 |
| 3. აზალ | 18 | 9 | 7 | 2 | 25-11 | 34 |
| 4. ინტერი | 18 | 9 | 4 | 5 | 16-13 | 31 |
| 5. ქაბალა | 18 | 8 | 6 | 4 | 19-9 | 30 |
| 6. ყარაბახი | 18 | 9 | 3 | 6 | 19-12 | 30 |
| 7. ბაქუ | 18 | 7 | 4 | 7 | 25-20 | 25 |
| 8. განჯა | 18 | 5 | 7 | 6 | 23-25 | 22 |
| 9. მუგანი | 18 | 4 | 5 | 9 | 8-21 | 17 |
| 10. თურანი | 18 | 2 | 6 | 10 | 14-27 | 12 |
| 11. სიმურგი | 18 | 2 | 5 | 11 | 11-27 | 11 |
| 12. მოიკ | 18 | 1 | 2 | 15 | 5-39 | 5 |

საფრანგეთი. ლიგა 1. XVIII ტური

# პსჟ მონაკომ შეაჩერა, ლიდერი – თოვლმა




წამის წინ ვალბუენამ ლიონის კარში გაიტანა

შაბათს ლიდერთა ჯგუფის ორმა წევრმა „პარი სენ ჟერმენმა“ და „ბრესტმა“ ქულები დაკარგა და ამით სხვებს შანსი მისცა. დედაქალაქში პსჟ ლიგა 1-ში დარჩენისთვის მებრძოლ „მონაკოს“ მასპინძლობდა. მონეგასკები თავისთავად უჩვეულო პოზიციაზე იმყოფებიან და ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ „პარკ დე პრენსზე“ ნამდვილი ბრძოლა გაიმართებოდა. მაშ ასე, ბრაზილიელი ბომბარდირი **ნენე** პირველად წარდგა ყოფილი კლუბის წინააღმდეგ, სადაც წინა სამი სეზონი გაატარა (ერთი მთლიანად გაუცდა ტრავმის გამო) და... ორი გოლიც გაუტანა. მართალია, 29 წლის სამხრეთამერიკელმა „მონაკო“ ასე გაიმეტა, მაგრამ სამხრეთელები მარცხისგან რუმინელმა **დანიელ ნიკულაემ** გადაარჩინა, რომელიც „ოსერში“ თამაშიდან გვახსოვს, მან მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გაათანაბრა და ქულა იხსნა - 2:2. ნენეს 17 თამაშში 13 გოლი დაუგროვდა, 6-იც და ის იმდენივე გოლს გაიტანს, რამდენიც „მონაკოში“ თამაშისას ჯამში მოახერხა.

მართალია, **გი ლაკომბის** გუნდს ჩემპიონატში უჭირს, მაგრამ ამ სპეციალისტს დედაქალაქელთა წინააღმდეგ წამალი კარგა ხნის ნაშოვნი აქვს - ბოლო 6 დაპირისპირებაა „მონაკო“ პსჟ-სთან არ აგებს. პარიზში თოვდა, ასეთ პირობებში გუნდებისგან კარგი ფეხბურთის მოთხოვნა ძნელი იყო, თუმცა მაყურებელს მაინც არ მოუწყენია. ჯერ თავი სტუმართა მცველმა **პიუგრენიემ** გამოიჩინა და „მონაკოს“ მშრალი სერია 485-ე წუთზე დაასრულა. აუტსაიდერთა გოლკიპერი **სტეფან რუფიე** დიდად ყოჩაღობდა, მაგრამ ტაიმის მიწურულს ყოფილი თანაგუნდელის დაუმუშავებელ გასროლას (დაახლოებით 20 მეტრიდან) ვერაფერი მოუხერხა. მეორე ტაიმი დაიწყო და ნენემ რუფიე კიდევ ერთხელ დაამწუხრა. „მონაკო“ წინ წავიდა, რისკი კინაღამ მორიგი გოლის გაშვებად დაუჯდა, მაგრამ რუფიემ **ლუდოვიკ ჟულის** არ მისცა თავის გამოჩენის საშუალება. საბოლოოდ, რისკმა გაამართლა - **კრის მალონგას** პასით ნიკულაემ გუნდს ქულა მოუტანა.

**ანტუან კამბუარე** (პსჟ): *„მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ, რომ 3 ქულა ვერ შევინარჩუნეთ. 2:1-ზე მეტოქე გაიხსნა და შემოგვიტია, ეს კი უნდა გამოგვეყენებინა. საბოლოოდ, მაინც ვამაყობ ბიჭების თავდადებული თამაშით ასეთ ცუდ პირობებში. სამწუხაროდ, პირველ ადგილზე ვერ გადავედით, თუნდაც დროებით. ახლა ჩვენი მიზანია, სტუმრად „ნანსი“ დავამარცხოთ“.*

**გი ლაკომბი** (მონაკო): *„გუნდისთვის და განსაკუთრებით ფეხბურთელთა რწმენისთვის კარგ შედეგს მივაღწიეთ. ბედი ხშირად არ გვწყალობს, არადა გუნდი მეტ ქულას იმსახურებს. შესაძლოა, ეს მოულოდნელი შედეგიცაა ბევრისთვის, მაგრამ შეგახსენებთ, რომ 1:0-ს ვიგებდით და ორი ბურთის სხვაობით დაწინაურების შესანიშნავი შანსიც გვქონდა. კარგია, რომ ბიჭები არ დანებდნენ“.*

„რენი“-„ვალანსიენი“ 1:0

**ფრედერიკ ანტონეტი** (რენი): *„მიუხედავად იმისა, რომ გოლს ბოლო წუთამდე ველოდეთ, ეს შედეგი სამართლიანია. უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე „მონაკოსთან“ და „ბორდოსთან“ მატჩებში. ჩვენი გუნდის ყველაზე დიდი ძალა სოლიდარობაა და ეს საამაყოა. შეიძლება, ცოტა მრავალფეროვნება გვაკლდა, მაგრამ გუნდმა ინიციატივა ხელიდან არ გაუშვა და გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გაიტანა“.*

„ნიცა“-„ბრესტი“ 1:1

**ალექს დიუპონი** (ბრესტი): *„კარგი ქულაა. ჩვენ ის უდიდესი ძალისხმევის ხარჯზე მოვიპოვეთ. დღეს დაცვის ხაზი მოიკოჭლებდა“.*

„ტულუზი“-„ლორიანი“ 3:0

**ალენ კაზანოვა** (ტულუზი): *„აქამდე „ლორიანისთვის“ შინ არასოდეს მოგვიგია. ეს გუნდი ყოველთვის პრობლემებს გვიქმნიდა. პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა, მაგრამ ჩვენ ყველა შანსი გამოვიყენეთ და საბოლოოდ იოლად მოვიგეთ“.*

„სენტ ეტიენი“-„არლი“ 2:0

**კრისტოფ გალტიე** (სენტ ეტიენი): *„გუნდის პროგრესი აშკარაა. როგორც იქნა, ჩვენს ფანებსაც ვანახეთ, რომ შინ მოგებაც შეგვიძლია. ბოლო ორ თამაშში 6 ქულა - მშვენიერია“.*

გუშინ ევროპაში გამძვინვარებულმა ციკლონმა ლიგა 1-ის ორი მატჩი შეიწირა. გადაიდო ლიდერ „ლილის“ დაპირისპირება „ნანსისთან“, ისევე როგორც აუტსაიდერთა ჯახი (ლანსი-კაენი). ტურის ცენტრალური მატჩი „ველოდრომზე“ გაიმართა - „მარსელი“ „ლიონს“ დაუზავდა. თავიდან სტუმრები **ლისანდრო ლოპესმა** დააწინაურა. მატჩი ასე რომ დასრულებულიყო, „ლიონი“ პირველ ადგილზე გადავიდოდა, თუმცა ჩემპიონებს ქულა **მატიო ვალბუენამ** შეუნარჩუნა. ლიგა 1-ში კვლავ დიდი სიმჭიდროვეა - პირველ და მეათე ადგილებს ერთმანეთისგან მხოლოდ 5 ქულა აშორებს.

| | |
|---|---|
| მონპელიე-ოსერი | 1:1 |

გოლები: 1:0 ბელჰანდა (59), 1:1 ა. ტრაორე (76)

| | |
|---|---|
| ნიცა-ბრესტი | 1:1 |

გოლები: 1:0 ლიუბოია (7), 1:1 მარტიალი (14)

| | |
|---|---|
| რენი-ვალანსიენი | 1:0 |

გოლი: 1:0 კანა ბიიკი (90)

| | |
|---|---|
| სენტ ეტიენი-არლი | 2:0 |

გოლები: 1:0 ბატლე (51), 2:0 რივიერი (52)
გაძევება: პიოსელი (58. არლი)

| | |
|---|---|
| ტულუზი-ლორიანი | 3:0 |

გოლები: 1:0 მაჩადო (15), 2:0 მაჩადო (60-პენ), 3:0 სანტანდერი (67)

| | |
|---|---|
| პსჟ-მონაკო | 2:2 |

გოლები: 0:1 პიუგრენიე (32), 1:1 ნენე (40), 2:1 ნენე (52), 2:2 ნიკულაე (88)

| | |
|---|---|
| სოშო-ბორდო | 1:1 |

გოლები: 0:1 ჟუსიე (28), 1:1 იდეიე (35)

| | |
|---|---|
| მარსელი-ლიონი | 1:1 |

გოლები: 0:1 ლ. ლოპესი (35), 1:1 ვალბუენა (51)

| | |
|---|---|
| ლანსი-კაენი | გადაიდო |
| ლილი-ნანსი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 17 | 8 | 7 | 2 | 32-20 | 31 |
| 2. პსჟ | 18 | 8 | 7 | 3 | 30-19 | 31 |
| 3. რენი | 18 | 8 | 7 | 3 | 18-11 | 31 |
| 4. ლიონი | 18 | 8 | 6 | 4 | 25-20 | 30 |
| 5. მარსელი | 18 | 7 | 7 | 4 | 27-17 | 28 |
| 6. სტ. ეტიენი | 18 | 7 | 7 | 4 | 25-19 | 28 |
| 7. ბრესტი | 18 | 7 | 6 | 5 | 20-15 | 27 |
| 8. ტულუზი | 18 | 8 | 3 | 7 | 20-18 | 27 |
| 9. ბორდო | 18 | 6 | 8 | 4 | 22-19 | 26 |
| 10. მონპელიე | 18 | 7 | 5 | 6 | 15-19 | 26 |
| 11. სოშო | 18 | 7 | 4 | 7 | 28-21 | 25 |
| 12. ლორიანი | 18 | 7 | 3 | 8 | 22-24 | 24 |
| 13. ოსერი | 18 | 4 | 10 | 4 | 24-21 | 22 |
| 14. ნიცა | 18 | 5 | 7 | 6 | 14-18 | 22 |
| 15. ნანსი | 17 | 6 | 4 | 7 | 19-26 | 22 |
| 16. ვალანსიენი | 18 | 4 | 7 | 7 | 19-20 | 19 |
| 17. მონაკო | 18 | 2 | 10 | 6 | 17-19 | 16 |
| 18. კაენი | 17 | 3 | 6 | 8 | 16-26 | 15 |
| 19. ლანსი | 17 | 3 | 6 | 8 | 15-30 | 15 |
| 20. არლი | 18 | 1 | 4 | 13 | 10-36 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - ნენე (პარი სენ ჟერმენი), სოუ (ლილი); 10 - ელ-არაბი (კაენი); 8 - გამეირო (ლორიანი), პაიე (სენტ ეტიენი), ლ. ლოპესი (ლიონი); 7 - პუჟოლი (ვალანსიენი), ჟერვინიო (ლილი), ბრაუნი (სოშო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ბელგია

ჟუპილერლიგა.
XX ტური

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-სტანდარდი | 2:1 |

გოლები: 1:0 ილომბე (42), 2:0 როსინი (90), 2:1 ვიტსელი (90)
გაძევება: ოპარე (71. სტანდარდი)

| | |
|---|---|
| სენტ ტრუიდენი-მეხელენი | გადაიდო |
| ვარეგემი-ვესტერლო | 2:0 |

გოლები: 1:0 ტრაორე (81), 2:0 ბოკილია (90)

| | |
|---|---|
| ლოკერენი-სერკლ ბრიუგე | გადაიდო |
| ლიერსი-გენკი | 1:1 |

გოლები: 1:0 სონკი (31), 1:1 ბარდა (66-პენ)

| | |
|---|---|
| ვეპენი-შარლერუა | 1:0 |

გოლი: 1:0 ვანდენბერგი (14)

| | |
|---|---|
| ბრიუგე-ანდერლეხტი | 0:2 |

გოლები: 0:1 ლუკაკუ (58), 0:2 ბუსუფა (88)

| | |
|---|---|
| ჟერმინალი-გენკი | შეწყდა |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 20 | 13 | 5 | 2 | 40-14 | 44 |
| 2. გენკი | 20 | 13 | 4 | 3 | 51-19 | 43 |
| 3. გენტი | 19 | 12 | 2 | 5 | 39-28 | 38 |
| 4. სტანდარდი | 20 | 10 | 3 | 7 | 38-26 | 33 |
| 5. ლოკერენი | 18 | 9 | 6 | 3 | 28-22 | 33 |
| 6. ბრიუგე | 20 | 9 | 3 | 8 | 38-29 | 30 |
| 7. კორტრიიკი | 19 | 9 | 3 | 7 | 24-20 | 30 |
| 8. ვარეგემი | 20 | 6 | 9 | 5 | 30-24 | 27 |
| 9. მეხელენი | 17 | 7 | 5 | 5 | 22-21 | 26 |
| 10. სერკლი | 18 | 7 | 5 | 6 | 21-25 | 26 |
| 11. ვესტერლო | 20 | 6 | 7 | 7 | 25-28 | 25 |
| 12. სტ. ტრუიდენი | 19 | 6 | 2 | 11 | 14-35 | 20 |
| 13. ვეპენი | 19 | 4 | 3 | 12 | 22-37 | 15 |
| 14. ჟერმინალი | 19 | 3 | 6 | 10 | 12-28 | 15 |
| 15. ლიერსი | 19 | 1 | 7 | 11 | 15-38 | 10 |
| 16. შარლერუა | 19 | 1 | 4 | 14 | 12-37 | 7 |

**ბომბარდირები:** 16 - ვოსენი (გენკი); 12 - ვარგასი (ბრიუგე); 9 - ბარდა (გენკი), კარსელა გონსალესი (სტანდარდი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## პორტუგალია

ლიგა საგრეში.
XIV ტური

| | |
|---|---|
| ბრაგა-აკადემიკა | 5:0 |

გოლები: 1:0 პ. სეზარი (4), 2:0 პაულაო (25), 3:0 კეიტა (35), 4:0 მეიონ ზე (72), 5:0 ვიანა (90)
გაძევება: კუსტოდიო (84. ბრაგა)

| | |
|---|---|
| ბენფიკა-რიუ ავე | 5:2 |

გოლები: 1:0 აიმარი (5), 2:0 სავიოლა (8), 2:1 ჟ. ტომაში (43), 3:1 სავიოლა (52), 4:1 სალვიო (62), 4:2 ჟ. ტომაში (71-პენ), 5:2 სალვიო (73)
გაძევება: ფ. კოენტრაო (89. ბენფიკა)

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-გიმარაეში | 3:2 |

გოლები: 1:0 ტატუ (17), 1:1 სილვა (70), 1:2 პერეირინია (72), 2:2 ედუარდო (85), 3:2 ედუარდო (89)
გაძევება: ედსონი (82. გიმარაეში), ჟ. ალვეში (90. გიმარაეში)

| | |
|---|---|
| მარიტიმუ-პორტიმონენშე | 1:1 |

გოლები: 1:0 ტჩო (66-პენ), 1:1 მირანდა (90 ს.კ.)
გაძევება: ჟუმისე (78. პორტიმონენშე)

| | |
|---|---|
| ნავალი-ლეირია | 0:3 |

გოლები: 0:1 კარლაუ (15-პენ), 0:2 ჟანგი (64), 0:3 ამადო (90)
გაძევება: ვინისიუსი (51. ლეირია)

| | |
|---|---|
| ოლჰანენშე-ნასიონალი | 0:0 |
| პერეირა-პორტუ | 0:3 |

გოლები: 0:1 ოტამენდი (11), 0:2 ჰალკი (90), ვალტერი (90)

| | |
|---|---|
| სეტუბალი-სპორტინგი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 14 | 12 | 2 | 0 | 32-5 | 38 |
| 2. ბენფიკა | 14 | 10 | 0 | 4 | 27-14 | 30 |
| 3. ლეირია | 14 | 7 | 3 | 4 | 17-14 | 24 |
| 4. სპორტინგი | 13 | 6 | 4 | 3 | 17-13 | 22 |
| 5. გიმარაეში | 14 | 6 | 4 | 4 | 19-17 | 22 |
| 6. ნასიონალი | 14 | 6 | 3 | 5 | 14-15 | 21 |
| 7. ბრაგა | 14 | 6 | 2 | 6 | 25-19 | 20 |
| 8. ბეირა მარი | 14 | 4 | 7 | 3 | 17-18 | 19 |
| 9. აკადემიკა | 14 | 5 | 3 | 6 | 20-25 | 18 |
| 10. მარიტიმუ | 14 | 3 | 7 | 4 | 13-10 | 16 |
| 11. ოლჰანენშე | 14 | 3 | 7 | 4 | 11-13 | 16 |
| 12. ფერეირა | 14 | 3 | 6 | 5 | 12-18 | 15 |
| 13. რიუ ავე | 14 | 3 | 5 | 6 | 15-20 | 14 |
| 14. სეტუბალი | 13 | 3 | 4 | 6 | 8-14 | 13 |
| 15. პორტიმონენშე | 14 | 2 | 3 | 9 | 13-25 | 9 |
| 16. ნავალი | 14 | 1 | 2 | 11 | 7-27 | 5 |

**ბომბარდირები:** 12 - ჰალკი (პორტუ); 9 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე), კარლაუ (ლეირია); 7 - ფალკაო (პორტუ), ფიდალგო (აკადემიკა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სკანდალი

# ტევესის ახალი ვარიანტი

ბოლო დროს **კარლოს ტევესთან** დაკავშირებით მხოლოდ სენსაციური ამბები ისმის. ბოლო ცნობა ასეთია: „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუკავშირდნენ, „სიტისგან“ შენი ყოფილი თავდამსხმელის გამოსყიდვა ხომ არ გინდაო. ინგლისური ტაბლოიდებისთვის ცნობილი გახდა, რომ სერ **ალექს ფერგიუსონთან** ნიადაგი ტევესის ბანაკში მოტრიალე ადამიანებმა მოსინჯეს.

ფერგიუსონმა ეს ამბავი არ დამალა და არაოფიციალურად თუ ნახევრად ოფიციალურად საზოგადოებისთვის ცნობილი გახადა, რომ „სიტი“ რომც შეეხვეწოს, არგენტინელის დამბრუნებელი არ არის. ანკი „სიტი“ რატომ უნდა შეეხვეწოს? ფერგიუსონთან ხალხი ისტლენდელებს არ მიუგზავნიათ და საერთოდ არ იცოდნენ ვინმეს გონებაში ასეთი „მკრეხელობა“ თუ მწიფდებოდა. შეგახსენებთ, რომ კარლოს ტევესი „ოლდ ტრეფორდიდან“ 2009 წლის მაისში კონფლიქტით წავიდა.

ტევესს „მანჩესტერ სიტიშიც“ პრობლემა აქვს - ოფისში განცხადება მიიტანა, გამყიდეთო და რამდენიმე დღით, **რობერტო მანჩინის** ნებართვით, ტენერიფეზე „გაიქცა“, თუმცა შემდეგ ინგლისში დაბრუნდა და დღეს, „ევერტონთან“, თუ შეხვედრა უამინდობის გამო არ გადაიდება, ითამაშებს. ერთი სიტყვით, ისტლენდელები ტევესის „ისტერიკას“ არ აჰყვნენ და მშვიდად განაცხადეს, რომ ყველაფერი მისი აგენტის **კია ჯურაბჩიანის** ბრალია - „სიტის“ შეფების განცხადებით, თავდამსხმელს ბრაზილიელი ბიზნესმენი ურევს თავგზას. მათ არც იმისა სჯერათ, რომ ტევესი ნოსტალგიური ბუნების ადამიანია, თანაც შვილები **ფლორენსია და კეტი** ენატრება და ამიტომ არგენტინაში აპირებს დაბრუნებას – თუ ასეა, მანჩინიმ რამდენიმე დღით რომ გაათავისუფლა რაღა ტენერიფეზე წავიდა, ბუენის აირესში გადაფრენილიყო. სხვათა შორის, ინგლისურმა ტაბლოიდებმა რამდენიმე დღის წინ იგი ლონდონში თავის ახალ მეგობარ გოგონასთან, 18 წლის **ბრენდა ასნიკართან** ნახეს. ვარსკვლავს უგუნებობისა არაფერი ეტყობოდა. და ამ ყველაფრის ფონზე ის, რომ კარლოს ტევესს ფეხბურთის თამაში მობეზრდა და საქმისთვის თავის დანებებას აპირებს, მანჩესტერში ზღაპრად ეჩვენებათ.

ზოგი უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ ის, რასაც ფეხბურთელი გასულ კვირაში ამბობდა - თითქოს კლუბის ზოგიერთ თანამშრომელთან ცუდი ურთიერთობა აქვს - პირწმინდა ტყუილია. ეს ყველაფერი ჯურაბჩიანმა იმიტომ გამოიგონა, რომ „სიტის“ ტევესის ხელფასი გაეზრდევინოს. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს – ტევესმა ფეხი რომ დაჰკრას და ისტლენდიდან გაიქცეს, ძნელად თუ იპონის კლუბს, რომელიც მის დღევანდელ ჯამაგირზე, კვირაში 200 ათას ფუნტზე მეტს გადაუხდის. როგორც ჩანს „იუნაიტედის“ იმედი ჰქონდა, მაგრამ...

„სიტის“ მავანმა თანამშრომელმა გაზეთებს უთხრა: *„კარლოსი ვარჯიშებს ჩვეული ენთუზიაზმით დაუბრუნდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის არსად წავა და ყველა ღონეს იხმარს, რათა გუნდმა პრემიერლიგაში რაც შეიძლება მაღალი ადგილი მოიპოვოს“.*

„ევერტონთან“ გამარჯვება „მანჩესტერ სიტის“ საშობაოდ ცხრილში პირველ ადგილზე გადაახტუნებს, რაც 81 წელიწადია არ მომხდარა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ძიუდო. ჩინეთის დიდი პრიზი

# ჩინეთში ბაქოსთვის ხუთი გაირკვა

ამ უქმეებზე ჩინურმა ქინგდაომ ძიუდოისტთა სეზონის ბოლო სოლიდურ ტურნირს - „დიდ პრიზს" უმასპინძლა. ამ შეჯიბრებაში ჩვენები არ გამოდიოდნენ, რადგან მათი ძირითადი შემადგენლობა ჯერაც ტოკიოშია, სადაც კანოს სახელობის „დიდი მუზარადის" ტურნირის შემდეგ ერთობლივ შეკრებაზე დარჩნენ. თუმცა რაღა ჩვენები - იმავე მიზეზით ამ შეჯიბრებას მსოფლიოს წამყვან ფალავანთა უმეტესობა დააკლდა. თან კანოს მემორიალს ისიც დაემატა, რომ ბევრ ქვეყანაში სწორედ ახლა, სეზონის მიწურულს ტარდება ეროვნული პირველობები და ლიდერთა ძალისხმევა იქითაა მიმართული.

სამაგიეროდ, „დიდი პრიზი" ჩინებული შანსი აღმოჩნდა სათადარიგო მოჭიდავეებისთვის და გამოიყენეს კიდეც. ჩინეთში 31 ნაკრები ჩავიდა, ტურნირში კი 245 ძიუდოისტი გამოდიოდა როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის.

ჩინურმა გამოცდამ რუსთა უპირატესობით ჩაიარა და საერთო ჩათვლაშიც მათ გაიმარჯვეს - ოთხი ოქრო და სამ-სამი ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ რუსებმა ოთხივე ოქრო ვაჟებში დაისაკუთრეს, ქალებში კი ბევრად სუსტად გამოვიდნენ. საერთო ჩათვლაში მეორეზე ჩინეთია, რომელმაც მედლების რაოდენობით კი აჯობა რუსებს, მაგრამ ჩამორჩა ოქროებით - სამ-სამი ოქრო-ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო ირგუნა. რუსთაგან განსხვავებით, მათი ნადავლი ძირითადად ქალთა მონაგარია - სამი ოქრო, ორი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო, ვაჟებმა კი თითო ვერცხლი და ბრინჯაო იკმარეს. მესამეზე ფრანგები აღმოჩნდნენ - ორი-ორი ოქრო-ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო. აქედან ვაჟთა მონაგარი მხოლოდ თითო ოქრო და ბრინჯაოა. რუსების ძლიერი გამოსვლა შედარებით სუსტ ტურნირებში ბოლო წლებში კანონზომიერებად ჩამოყალიბდა. სამაგიეროდ, ცუდად ჭიდაობენ წამყვან შეჯიბრებებში, ანუ მათი კრიზისი მაინც აშკარაა.

ფრანგმა ვაჟებმა ის მედლები 73 კილოგრამში მოიპოვეს - ოქრო 20 და 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონმა **უგო ლეგრანმა** მოიპოვა, ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **ბენჟამინ დარბელე** კი ბრინჯაოს დაეუფლა. ამ წონაში ფრანგულ-რუსული ნახევარფინალები გაიმართა - დარბელე ახალგაზრდა **მურატ კოძოკოვთან** დამარცხდა, ლეგრანმა კი ევროპის ჩემპიონ **მანსურ ისაევს** აჯობა. მან ფინალში კოძოკოვს წმინდად მოუგო.

რუსთაგან ოქროები **ალიმ გადანოვმა** (66), ევროპის ჩემპიონმა **სირაზუდინ მაგომედოვმა** (81), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **კირილ დენისოვმა** (90) და **სერგეი სამოილოვიჩმა** (100) მოიპოვეს. მძიმე წონაში ეგვიპტელმა მსოფლიოს პრიზიორმა **ისლამ ელ შეჰაბიმ** გაიმარჯვა, რაც საყურადღებო წარმატებაა - ეგვიპტელი ბოლო წლებში წონის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, მაგრამ ჩვენ ყველაზე მჩატე - 60 კილოგრამში მონგოლ **ბოლბაატარ განბატის** წარმატებას გამოვარჩევთ. მონღოლთა გუნდი რომ თანდათან სულ უფრო ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდება, ადრეც დაგვიწერია, ეს 23 წლის ბიჭი კი, ეტყობა, ამ წონაში ყალიბდება სოლიდურ კონკურენტად - წლეულს აზიის თამაშებიც მოიგო. დაგვეთანხმებით, სადაც იაპონელი, კორეელი, ირანელი ტიტულოვანი ძიუდოისტები გამოდიან, ჩემპიონობა არაა იოლად მისაღწევი. ამ შეჯიბრებაში განბატმაც ნახევარფინალში რუსი ევროპის ჩემპიონი **არსენ გალსტიანი** დააიპონა, ფინალში კი მეორე რუსს, უკვე საკმაოდ გამოცდილ **ბესლან მუდრანოვს** აჯობა.

სხვა წონებიდან გამოვარჩევთ 24 წლის რუსის, 23-წლიანებში ევროპის ვიცე-ჩემპიონ **კამალ ხან-მაგომედოვის** (66) ვერცხლს, რომელმაც სხვებთან ერთად ფრანგი **ლუის კორვალიც** დაამარცხა. ასევე საინტერესოა ტურნირის ერთ-ერთი ტიტულოვანი ფალავნის, აბსოლუტურ წონაში მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონ **დაიკი კამიკავას** მარცხი მძიმე წონაში რუს **დმიტრი სტრეხოვთან**.

ამ შეჯიბრების შემდეგ გამოქვეყნდა მსოფლიოს ახალი რეიტინგები და გაირკვა ის 16-16 ფალავანი, რომლებიც გაისად, 15-16 იანვარს ბაქოში "მსოფლიოს მასტერსზე" იჭიდავებენ - რეიტინგში უკვე არაფერი შეიცვლება, რადგან შესარჩევი შეჯიბრებები აღარ დარჩა. საქართველოდან ამ პრესტიჟულ ტურნირში ჭიდაობის უფლება ხუთმა ფალავანმა მოიპოვა. 60-ში ერთბაშად ორი მონაწილე გვეყოლება - 560 ქულით მე-11 ადგილზე მყოფი **ამირან პაპინაშვილი** და 482-ქულიანი **დავით ასუმბანი** (მე-16). მონაწილეთა გარეშე ვიქნებით 66 და 73-კილოგრამებში - აქ ჩვენები არათუ 16-ეულში, 30-ეულშიც არ არიან. 81-ში **ლევან ნიკლაური** იჭიდავებს - 528 ქულა და მე-13 ადგილი. 90-ში 684-ქულიანი **ვალერი ლიპარტელიანი** გამოვა (მე-9), 100-ში კი **ლომერ ჟორჟოლიანი** იასპარეზებს - 564 ქულა და მე-12 ადგილი. მონაწილის გარეშე დავრჩით მძიმე წონაშიც. აქ **ზვიად ხანჯალიაშვილი** დიდხანს ინარჩუნებდა მე-18 პოზიციას, რაც სათადარიგოთა სიაში ყოფნის საშუალებას მაინც აძლევდა, მაგრამ ჩინური ტურნირის შემდეგ 21-ზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ მას სწორედ ამ შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორმა, ბრაზილიელმა **რაფაელ სილვამ** და იმავე კამიკავამ გაუსწრეს, თუმცა იაპონელმა ქულები კანოს ტურნირზეც შეიმატა.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ კორეულ სუვონში სეზონის დასაწყისში გამართულ მასტერსზე სამი მონაწილე გვყავდა, ამჯერად კი რაოდენობა გაიზარდა. საინტერესოა, რომ ის ტრიო გაისადაც იჭიდავებს ამ შეჯიბრებაში - პაპინაშვილი, ლიპარტელიანი და ჟორჟოლიანი. აქვე კიდევ ერთხელ განვამარტავთ, რომ რეიტინგის 16-16 მოწინავე ძიუდოისტი ავტომატურადაა მიწვეული მასტერსზე, ყოველ წონაში ორ-ორი კი სათადარიგოთა სიაშია, ვინიცობაა ვინმემ იუაროს იქ გამოსვლა. მე-18 ადგილზე დაბლა მყოფებს კი იქ მოხვედრის არანაირი შანსი არ აქვთ.

**ირაკლი თავაძე**

● დებიუტანტი

# ვალერი ახვლედიანი

(ძიუდო)

**დაიბადა:** 1995 წლის 26 დეკემბერს თეთრი წყაროში.

**ვარჯიშობს:** 2005 წლიდან მარნეულის სასპორტო სკოლაში. დღემდე მწვრთნელ **ზვიად ბეჟანიშვილის** შეგირდია.

**მიღწევები:** საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში (2009), უმცროსი ასაკის ძიუდოისტთა შორის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (ბოლნისი, 2009), რუსთავის მარნეულის, ბორჯომის ღია პირველობების გამარჯვებული (2010).

**მიზანი:** ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა.

**ჰობი:** მკლავჭიდი, ფეხბურთი.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო



● ჭადრაკი

# ლიდერობა შეინარჩუნა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებაზე გუშინ მე-5 ტურის პარტიები გაიმართა. ერთპიროვნული ლიდერი **შოთა აზალაძე** შავი ფიგურებით **მალხაზ სულაშვილს** დაუზავდა და 4,5 ქულით კვლავაც მეწინავეობს. ნახევარ-ნახევარი ქულით მას სულაშვილი, **გიორგი ბალათუროვი** და **გიგა ყუფარაძე** ჩამორჩებიან. 5 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს.

აქვე გაუწყებთ მე-5 ტურის პირველმეათე დაფებზე გამართული პარტიების შედეგებს: სულაშვილი-აზალაძე 0,5:0,5, დავით ზარქუა-ლუკა პაიჭაძე 0,5:0,5, ყუფარაძე-დავით მაღალაშვილი 1:0, ბალათუროვი-კახაბერ წერეთელი 1:0, ალექსანდრე ყაშაშვილი-აკაკი შალამბერიძე 0,5:0,5, გუგა ბურდული-გიორგი სიბაშვილი 0,5:0,5,



გაიოზ ნიგალიძე-ივერი ჭილაძე 0,5:0,5, ბაჩანა მორჩიაშვილი-ირაკლი ბერაძე 0,5:0,5, ნიკოლოზ შავთვალაძე-ოთარ მანგიაშვილი 1:0, დავით ლომსაძე-ნათია ჯალაბაძე 0,5:0,5.

დღეს ლიდერთაგან მე-6 ტურში ითამაშებენ: აზალაძე-ბალათუროვი, სულაშვილი-ყუფარაძე, პაიჭაძე-სიბაშვილი, შალამბერიძე-ზარქუა, ყაშაშვილი-შავთვალაძე.

## მედლებს ვერ შესწვდნენ

პოლონეთის დედაქალაქმა გასულ უქმეებზე ბლიცსა და სწრაფ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში ქართველი დიდოსტატები - **ბაადურ ჯობავა** და **მიხეილ მჭედლიშვილიც** მონაწილეობდნენ. ბლიცში მჭედლიშვილმა 26 შესაძლებლიდან 18 ქულით მეშვიდე-მეცამეტე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით მე-10 ადგილი ერგო. ჯობავა 15,5 ქულით 58-ე იყო. ჩემპიონობა ფრანგმა **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა** მოიპოვა. გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი**. მისი თანამემამულე, მსოფლიოს ექსჩემპიონი **რუსლან პონომარიოვი** 19,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა.

სწრაფ ჭადრაკში (პარტიისთვის 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით) მედლების მოსაპოვებლად 13 ტური გათამაშდა. 6-მა მოჭადრაკემ 10,5-10,5 ქულა მოაგროვა. პრიზიორები ტაიბრეიკებმა გამოავლინა: 1. **ზოლტან ალმაში** (უნგრეთი), 2. **ვუგარ გაშიმოვი** (აზერბაიჯანი), 3. **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა). მჭედლიშვილმა და ჯობავამ 10-10 ქულით მეშვიდე-მეთოთხმეტე ადგილები გაინაწილეს.

## გვირგვინი ჩინეთში დაიდებს ბინას

კიდევ ოთხი დღე და თურქულ ანტაკიაში დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ნოკაუტსისტემით 64 ქალბატონი მონაწილეობდა (მათ შორის — საქართველოდან **მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი**). ხუთი ეტაპი უკვე მიილია. ნახევარფინალში, როგორც გაუწყეთ, ჩინელმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ჰოუ იფანმა** (2591) ორი კლასიკური პარტია იკმარა მსოფლიოს ქალთა რეიტინგით მეორე ადგილზე მყოფი (**იუდით პოლგარის** შემდეგ) **ჰამფი კონერუს** (ინდოეთი, 2600) დასამარცხებლად — 1,5:0,5. მისი თანამემამულეების **ჟაო სიუს** (2474) და **რუან ლუფეის** (2480) ძირითადი პარტიები ყაიმით დამთავრდა, ტაიბრეიკებში ლუფეიმ 1,5:0,5 აჯობა მეტოქეს და ფინალში, სადაც 4 კლასიკური პარტია გათამაშდება, ჰოუ იფანს შეხვდება. მოწინაალმდეგეები ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევას დღეიდან დაიწყებენ.

**ვაჟა დანელია**

● თავისუფალი ჭიდაობა



მსაჯობს ლევან თედიაშვილი

# ტურნირი საგარეჯოში

არსენ მეკოკიშვილის სახელობის საგარეჯოს სპორტკომპლექსმა თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, **ტარიელ როსტომაშვილის** სახელობის ჭაბუკთა პირველ ტურნირს უმასპინძლა.

ტურნირი მოაწყო საგარეჯოს 69-ე კომპლექსურმა სპორტსკოლამ (**თემურ კურდღელაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი**) თვით 62 წლის ვეტერანი ფალავნის მონაწილეობით (მთავარი მსაჯი ლეგენდარული ფალავანი **ლევან თედიაშვილი**).

ორგანიზატორები და სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ამ ტურნირით თავისუფალი ჭიდაობის აღორძინება დაიწყება საგარეჯოში.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს. 1999-2000 წლებში დაბადებულები:** შამილ გაჯიევი (23 კგ, ყვარელი), გიორგი შათირიშვილი (26, საგარეჯო), გიგი მელაშვილი (29, ამბროლაური), გოგა მამიური (32, ცერცვაძის სკოლა), დავით მახარაშვილი (35, გლდანი), მიხეილ ბოჭორიძე (38, საგარეჯო), გივი გოგობერიშვილი (42, ამბროლაური), გიორგი ნარზაული (53, ახმეტა), ზაალ ფსუტური (+53, გლდანი).

**1997-1998 წლებში დაბადებულები:** გიორგი ჭალიძე (46, კარტოზიას სკოლა), ირაკლი მენთეშაშვილი (50, დედოფლის წყარო), ზაურ ბერაძე (54, კარტოზიას სკოლა), ლუკა გურაბანიძე (59, ამბროლაური), ლევან ბოჭორიძე (66, საგარეჯო), კონსტანტინე გაბაშვილი (+66, მცხეთა).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

● სამთო თხილამურობა

# ქართველებმა მონტე სპიკო დაიპყრეს

ახალი სამთო-სათხილამურო სეზონი დიდებულად დაიწყო საქართველოს ნაკრების ლიდერმა **იასონ აბრამაშვილმა**. ჩვენებური სტარტზე პირველად 9 დეკემბერს დადგა, თუმცა უკვე მესამედ მოასწრო საპატიო კვარცხლბეკზე ასვლა. ზედიზედ ორი დღე აბრამაშვილი მონტე სპიკოს ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა. იტალიის ამ კურორტზე ფის-ის ეგიდით ორი გიგანტური სლალომი და ორიც ჩვეულებრივი სლალომი გაიმართა. გიგანტურ სლალომში აბრამაშვილმა ერთხელ მე-7 შედეგი აჩვენა, ერთხელ კი ტრასა ვერ ჩაამთავრა.

პარასკევს იასონმა პირველი სლალომი მოიგო, შაბათს კი მეორეში იმარჯვა, თანაც 4 პუნქტით უკეთესი ქულა მიიღო (უფრო ძლიერი კოეფიციენტის გამო) - 22,66. კარიერაში ამაზე უკეთესი ქულა - 20,28 (ფის-ში ნაკლები უკეთესია) შარშან მიიღო ფრანგულ მარიბელში, სადაც საკმაოდ ძლიერ მონაწილეთა შორის მე-8 ადგილი დაიკავა.

შაბათს იასონმა ორივე ცდას ჯამში წუთი და 28,81 წამი მოანდომა და უახლოეს კონკურენტს თითქმის სამი წამით აჯობა! მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ მე-2 ადგილზეც ქართველი გავიდა - 19 წლის **ალექსი ბენიაიძე**. **კოტე ვახტანგიშვილსა** და **ბიძინა ქართველიშვილს** ცდები გაუცუდდათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● წყალხტომა

# ფინალში იასპარეზეს

გუშინ კიევში დამთავრდა წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილიც** მონაწილეობდნენ და სინქრონულ ხტომებში მათ მესამე ადგილი დაიკავეს. მათ ასპარეზობის ბოლო დღეს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებშიც მოსინჯეს ძალები. ჩვენებურთ მეტოქეობას უწევდა 5 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 9 საერთაშორისო ოსტატი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა მონაწილეებზე (სულ 347 სპორტსმენი გამოდიოდა). საკვალიფიკაციო ხტომების შემდეგ ორივე ქართველი სპორტსმენი ფინალში მოხვდა. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ბართაიამ** კიევიდან გვაცნობა, რომ ჩვენმა წყალმხტომელებმა კარგად გაართვეს თავი რთულ დავალებას. ჭოლამ წინა დგომიდან უკან სამნახევარი ბრუნი, ხოლო შოთამ უკანა დგომიდან წინ სამნახევარი ბრუნი (ახალი პროგრამით) უშეცდომოდ შეასრულეს. ჭოლამ 387,5 ქულით მე-6, ხოლო შოთამ 359,9 ქულით მე-8 ადგილი დაიკავეს. პირადი რეკორდები კი 5-5 ქულით გააუმჯობესეს.

მთავარი პრიზი ხუთგზის ევროპის ჩემპიონმა **ილია კვაშამ** (უკრაინა) მოიგო. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, **რუბენ როსი** (კანადა) და **იური შლახოვი** (უკრაინა) გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ლონდონის 2012 წლის (27 ივლისი – 12 აგვისტო) ზაფხულის XXX ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად და საჭირო აკრედიტაციის მისაღებად ქართული სპორტული მასმედიის წარმომადგენლებმა ოფიციალური განაცხადით უნდა მიმართონ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურს.

ლონდონში ჟურნალისტის მგზავრობის, ცხოვრების, კვების და სხვა აუცილებელ ხარჯებს იხდის თავად ჟურნალისტი ან მისი მიმავლინებელი პრესორგანიზაცია.

სეოკ-ში განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2011 წლის 20 იანვარი.

სეოკ-ის პრესსამსახური

## კალათბურთი

**სუპერლიგა. IX ტური**

## მათია მათი ალარაა

18.12. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| აგრარული | 73 |
| თსუ | 101 |

22:21, 12:27, 15:21, 24:32

აგრარული: ტეტელაშვილი (2ქ, 7პ), ბააკაშვილი (1ქ, 3პ), ნანიტაშვილი (3ქ), სიგუა (4ქ, 6პ, 3ჩ), ჩაჩანიძე (20ქ, 3ჩ), ხანიაშვილი (10ქ), გემაზაშვილი (5ქ), ჯავახიშვილი (12ქ), მუმლაძე (16ქ).
თსუ: ხიზანიშვილი (11ქ), ფანჩულიძე (17ქ, 4ჩ), გაფრინდაშვილი (1ქ, 10პ, 8მ), მარხვაშვილი (2ქ), ლონდარიძე (7ქ, 13მ), კორკოტაძე (6ქ), ყველაშვილი, მათიაშვილი (24ქ, 16მ, 2დ, 5ფ), ჩიტაშვილი (12ქ, 4ჩ), დეკანოიძე (11ქ), ზ. მაისურაძე (7ქ, 5მ), ჩქარეული (3ქ).
მსაჯები: დ. არეშიძე, ხ. გაბედავა
კომისარი: რ. გელოვანი

გასულ სეზონში **რიჩარდ მათიაშვილი** „აგრარულის" ღირსებას იცავდა. ახალი სეზონის დასაწყისში მან თსუ-ს მიაშურა და ყოფილ გუნდთან მატჩში 24 ქულა და 16 მოხსნა მოაგროვა. სწორედ რიჩარდის ფარქვეშ დამაჯერებელი თამაში გახდა თსუ-ს წარმატების გასაღები. სტუდენტებმა „აგრარებს" მოხსნებში 59:29 მოუგეს. ფარქვეშ ასეთი უპირატესობა ანგარიშზე როგორ აისახებოდა, ამის წარმოდგენა საჭირო არ არის, უბრალოდ ოქმს გადახედეთ.

## სამუელი

18.12. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| შსს | 60 |
| ენერჯი | 61 |

20:16, 12:13, 23:14, 5:18

შსს: ლაფანაშვილი (7ქ), ბ. ლეჟავა (2ქ, 3პ), ნიკოლაძე (8ქ, 4ჩ, 3პ), ი. ბერიშვილი (2ქ), კოტონი (16ქ), მარკოიშვილი (5ქ), დ. ბარბაქაძე (10ქ, 8მ), იმნაძე (8ქ, 6მ), შერმადინი, ტომარაძე (2ქ, 6მ), სუხიშვილი.
ენერჯი: მაჭავარიანი (2ქ), ცეკვავა (4ქ, 6მ, 6პ, 3ჩ), ნივნივაძე (14ქ, 3პ), აბაიშვილი (6ქ), ტუჯანი (7ქ, 11მ, 3პ), ლამუ (22ქ, 8მ, 3ჩ, 3დ), სანაძე (6ქ).
მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე
კომისარი: მ. რატიშვილი

მერვე ტურში თსუ-სთან მარცხის შემდეგ შსს-ს კალათბურთელებს საკუთარი ქომაგის წინაშე რეაბილიტაცია სჭირდებოდათ. საამისოდ შესაფერისი მეტოქეც ჰყავდათ: მოქმედი ჩემპიონი „ენერჯი", რომელმაც შსს-ს დუდუ დადიანის ფინალში მოუგო. რუსთაველების ძლევა სრულყოფილი რევანშიც იქნებოდა და გუნდი მომავალ შაბათს „არმიასთან" მატჩის წინ განწყობასაც გაიუმჯობესებდა. ამას ძალოვნებიც კარგად აცნობიერებდნენ და „ენერჯისთან" დაპირისპირებისთვისაც განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდნენ, მაგრამ როგორც მატჩმა გვიჩვენა, დიდმა მონდომებამ ზედმეტი ემოციები გამოიწვია...

საპირისპიროდ, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილი ჰქონდათ რუსთაველებს, რომლებსაც შედარებით ძლიერი შემადგენლობის შსს-სთან წაგების გამო ვერავინ დაძრახავდა.

მატჩიც ისე დაიწყო, როგორც ბევრი ელოდა - განსაკუთრებული შემართებით მოთამაშე თბილისელებმა პირველი პერიოდის ბოლოსა და მეორის დასაწყისში 16:0 გაქცევა მოაწყვეს და **გიორგი ნიკოლაძის** სამქულიანის შემდეგ 29:16 დაწინაურდნენ. მანამდეც და მას მერეც (პირველი ტაიმის ბოლომდე) შსს-ს შეტევის მთავარ იარაღად ამერიკელი **ტროი კოტონი** მოგვევლინა, რომელმაც სამი სამქულიანი ჩააგდო, ამდენივე ორიანი, 1 საჯარიმო წააშველა და 16 ქულა მოაგროვა.

სწორედ 16-ქულიან უპირატესობას მიაღწია შსს-მ მესამე პერიოდში - 55:39. ლოგიკურად, ამის შემდეგ მასპინძლები უნდა დამშვიდებულიყვნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. მიზეზი, ალბათ, ფსიქოლოგიური წნეხი უნდა ყოფილიყო... ფსიქოლოგიურ ფაქტორს თუ არა, სხვა რას უნდა მიეწეროს, ბოლო 10 წუთში შსს-ელთა გაცუდებული უამრავი მომენტი. მათ ბოლო პერიოდში თამაშიდან პირველი ქულები მერვე წუთზე ჩააგდეს (მანამდე ორი საჯარიმო ჰქონდათ რეალიზებული). ამას დაემატა „ენერჯის" უპირატესობა ფარქვეშ - **ჟულივეტ ტუჯანი** ატლანტივით მყარად იდგა და შესაბამისად შსს-ს ცენტრ **დავით იმნაძესაც** სამწამიანი ზონიდან მოშორებით მყოფს უწევდა ქულათა მარაგის შევსებაზე ზრუნვა (შსს-ს ორმა ცენტრმა **სოსო შერმადინმა** და **ლადო სუხიშვილმა** ცოტა ითამაშეს, პირველმა - 4 წუთი, ხოლო მეორემ - 7). ტუჯანის პლუსად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მან მეორე ტაიმი სამი ჯარიმით ითამაშა და მეოთხე შენიშვნა ბოლო პერიოდის დასასრულს მიიღო. „ენერჯიმ" მასპინძლებს მოხსნებში 42:37 აჯობა. ასეთ თანაბარ თამაშში კი თითოეულ მოხსნას დიდი ფასი აქვს.

დავუბრუნდეთ მატჩის ქრონოლოგიას. მეოთხე პერიოდის დასაწყისში შსს 12 ქულის სხვაობით იგებდა. დიდი ჩამორჩენის მიუხედავად რუსთაველებმა ჩვეულ კალაპოტში განაგრძეს თამაში და თავის შანსს დაელოდნენ. შანსი კი **სამუელ ლამუს** მიეცა, რომელმაც სირენამდე 4:17 წუთით ადრე სამქულიანით სხვაობა 5 ქულამდე (52:57) შეამცირა. მომდევნო სამ წუთში თბილისელი **დავით ბარბაქაძის** ორქულიანს **ბექა ნივნივაძემ,** ლამუმ და **დუდა სანაძემ** 2-2 ქულა მიაყოლეს და 58:59. გამოცდილმა კამერუნელმა ლამუმ კლასი და სიზუსტე სირენამდე 16 წამით ადრეც გამოამჟღავნა - მორიგი შორეული ტყორცნა ზუსტად შეასრულა და „ენერჯის" ორქულიანი ფორა დაუბევა (61:59).

საპასუხო შეტევაში რუსთაველები გიორგი ნიკოლაძეზე დაჯარიმდნენ, რომელმაც პირველი საჯარიმო ჩააგდო, მეორე ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია, ფარიდან ასხლეტილ ბურთს ტუჯანი დაეუფლა და მოედნის ცენტრში მყოფ **გოგა ცეკვავას** გადააწოდა, რომელმაც თავის მრივ ბექა ნივნივაძე მოძებნა, თუმცა მსაჯებმა მასზე გარბენი დააფიქსირეს. შსს-ს შეტევისთვის სამი წამილა დარჩა. რადგან მასპინძლებს წუთშესვენებების ლიმიტი ამოწურული ჰქონდათ ბურთი თამაშში საკუთარი ნახევრიდან შეიყვანეს. დაახლოებით ისეთი სიტუაცია იყო, 1972 წლის ოლიმპიადის ფინალში რომ შეიქმნა, ბოლო სამ წამში შსს-ელებმა მოედნის მთელს სიგრძეზე გადავლებული პასი კი დაიჭირეს, მაგრამ ნიკოლაძეს წინ ტუჯანი აღემართა და ბურთმა კალათამდე ვერ მიაღწია. შსს-ელები ჯარიმას ითხოვდნენ, თუმცა ეპიზოდი მეორე დღესაც რამდენიმეჯერ განმეორებით ვნახეთ და ჩვენი დაკვირვებით ჯარიმა არ უნდა დაფიქსირებულიყო.

ნამატჩევს შსს-ს უკანახაზელმა გიორგი ნიკოლაძემ აღნიშნა:

*- ფაქტობრივად მოგებული მატჩი წავაგეთ. განბილებული ვარ. გარკვეულ მომენტში კონცენტრაცია დავკარგეთ და მარცხიც ამან განაპირობა. შეთამაშება გვაკლია, დღეს დაცვაშიც ვერ გავისარჯეთ კარგად. ასევე უნდა ითქვას, რომ ბოლო მატჩებში მოხსნებში მეტოქეები გვჯობიან. მომდევნო შაბათს სერიოზული ბრძოლა გველის და უნდა ვეცადოთ, შეცდომები გამოვასწოროთ.*

# რუ-სტუ-ვი...

## ორი სენსაცია, ერთი რეკორდი

**სუპერლიგის** მეცხრე ტურის ოთხი მატჩის შემდეგ ოქმებს გადავხედეთ და ინდივიდუალურ მონაცემებში თვალში საცემი ციფრი ვერ აღმოვაჩინეთ. თურმე სიურპრიზს გვიან გასამართი მეხუთე მატჩი გვიმზადებდა - ახალგაზრდა ბექა ჩიკვილაძემ 37 ქულა ჩააგდო და მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა.

ბექას თანაგუნდელებმა სამედიცინოსთან გაორმაგებული ენერგიით ითამაშეს და სეზონის პირველი გამარჯვება „გამოადნეს". სტუ-ს მიერ შედარებით უკეთესი შემადგენლობის „სამედიცინოს" ძლევას სიტყვა სენსაციაც შეეფარდება.

...ისევე როგორც „ენერჯის" თბილისურ გამარჯვებას შსს-სთან. მატჩი საინტერესო, დაძაბული გამოდგა და პერიპეტიებმა მაყურებელიც ბოლომდე ჩაითრია. აქამდე მსგავსი შეხვედრები მხოლოდ ფინალებში, აქა-იქ ნახევარფინალში გვინახავს.

ჩემპიონატის რეკორდსმენ ჩიკვილაძის გვერდით ტურის საუკეთესოდ „ენერჯის" კამერუნელი ახალწვეული სამუელ ლამუ დავასახელეთ, რომელმაც 22 ქულა მიითვალა, ბოლო წუთებზე კი... რა ჩაიდინა ლამუმ და მისმა გუნდმა, მატჩის მიმოხილვაში წაიკითხავთ.



შსს-ენერჯი

## ქუთაისური ნაზავი

18.12. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| დინამო | 56 |
| ქუთაისი | 103 |

8:22, 25:27, 12:26, 11:28

დინამო: ივანეიშვილი (2ქ), ეძგვერაძე (13ქ, 3პ), პატარაია (4ქ), თვაური (9ქ), გლუნჩაძე (2ქ, 3ჩ), შალიკიანი (3ქ), ცაგარეიშვილი, ალხანაიძე (11ქ, 7მ, 2დ), თავამაიშვილი (6ქ, 7მ, 3ჩ, 2დ), გულდედავა (2ქ), წიკლაური (4ქ, 3ჩ).
ქუთაისი: ბაბუნაშვილი (15ქ, 7პ, 5მ), ბ. ბერიშვილი (11ქ), კვიმსაძე (17ქ, 3პ, 3ჩ), ბოლქვაძე (20ქ), ლომინაშვილი (8ქ, 14მ), გ. ბარბაქაძე (17ქ, 7მ, 3პ, 4ჩ), კოლუაშვილი (12ქ, 15მ, 4ჩ, 5ფ), ქორიძე (3ქ, 4პ), მესხი, ვ. ცაგარეიშვილი.
მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. სადღობელაშვილი.
კომისარი: თ. ქიქოძე.

„ქუთაისის" მწვრთნელებს ადგილობრივი ახალგაზრდების სათანადოდ დატვირთვის საშუალება „დინამოსთან" მიეცათ. მათაც იმედი არ გაუცრუეს - კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ახალგაზრდები გამოცდილებთან ერთად საინტერესო ნაზავს ქმნიან. ინდივიდუალურად არავის გამოვარჩევთ, გადახედეთ სტატისტიკას და ნახავთ გამარჯვებაში ვინ როგორი წვლილი შეიტანა.

## ოცდაჩვიდმეტი

18.12. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| სამედიცინო | 80 |
| სტუ | 90 |

24:27, 18:20, 19:21, 19:22

სამედიცინო: გულისაბედაშვილი (11ქ, 6პ, 5მ, 4ჩ, 5ფ), ჩაჩიბაია (4ქ, 7მ), ს. ლეჟავა (12ქ), თავართქილაძე (18ქ, 6მ, 3პ), ბექაური (6ქ, 7მ), ნინიაშვილი (16ქ), კეიდია (2ქ), როდუმტა (6ქ, 5მ), ჭოჭუა (5ქ, 7პ, 6მ).
სტუ: ანთაძე (11ქ, 5პ, 8მ), ჭოხონელიძე, ვ. ბერუაშვილი (19ქ, 4ჩ, 16მ), ჩიკვილაძე (37ქ, 11მ, 3პ), ლომოური (11ქ, 3პ), თევზაძე (1ქ), ჯანგველაძე (4ქ), ლაშქარაძე (7ქ), ახალკაცი, ძიძიგური (5მ).
მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე.
კომისარი: რ. ხომერიკი.

**მატჩის** ფავორიტი „სამედიცინო" იყო. მის მეტოქე სტუ-ს შაბათამდე ერთი თამაშიც არ ჰქონდა მოგებული. ჟურნალისტებსაც გვეგონა, რომ სენსაცია არც ამჯერად მოხდებოდა და მეტი ინტერესისთვის გადავწყვიტეთ, წინასწარ ანგარიშები ჩამოგვეწერა. მხოლოდ ერთმა მედიელმა დააფიქსირა სტუ-ს მოგება, თან დაამატა - ტექნიკოსები ყოველ მატჩში დიდი შემართებით თამაშობენ და დროა პირველი გამარჯვებაც ჩაიწერონო.

ასე აგიხდეთ ყველაფერი - **ზურაბ ტომარაძის** სტუდენტებმა მატჩი მართლაც გაორმაგებული ენერგიით ჩაატარეს. პირველ ტაიმში ისინი შედარებით გამოცდილი შემადგენლობის „მედიკოსებს" თანაბრად ებრძოდნენ, რამაც სტუ-ს ახალგაზრდები დაარწმუნა, რომ „სამედიცინოს" ძლევა შეიძლებოდა. შესაბამისად, მეორე ტაიმში სტუ-ელები სათამაშოდ კი არა, საბრძოლველად გავიდნენ და...

*- წარმატებას დაცვაში თავდადებით მივაღწიეთ. მართლა ძალიან გვინდოდა მოგება. პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ, თუმცა მომდევნო მატჩებში ამ ერთ გამარჯვებაზე არ უნდა შევჩერდეთ,* - გვითხრა **ბექა ჩიკვილაძემ**, რომელმაც სტუ-ს 37 ქულა შეაწია. მან მეოთხე პერიოდში ერთმანეთს ორი სამქულიანი მიაყოლა და ტექნიკოსების 16-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა - 79:63.

სირენამდე 41 წამით ადრე ბექა საჯარიმოს ხაზთან დადგა. იმ მომენტისთვის მის ანგარიშზე 35 ქულა იყო (სწორედ იმდენი, რამდენიც რეკორდსმენმა **მიხეილ ფანჩულიძემ** ბათუმში ჩააგდო). ჩიკვილაძემ ორივე საჯარიმო



ბექა ჩიკვილაძე

გამოიყენა და ფანჩულიძის რეკორდიც მოხსნა. ბექამ 10-10 ორქულიანი, სამიანი და საჯარიმო ისროლა, 8 ორქულიანი, 5 სამიანი და 6 საჯარიმო გამოიყენა.

აქვე უნდა ვახსენოთ **ვასილ ბერუაშვილის** დამაჯერებელი თამაში - 19 ქულა, 16 მოხსნა...

მომდევნო შაბათს წრის ცენტრალური მატჩია - შსს-"არმიას" დაუპირისპირდება.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 9 | 7 | 2 | 814/720 | 16 |
| 2. არმია | 8 | 7 | 1 | 751/566 | 15 |
| 3. შსს | 8 | 6 | 2 | 728/598 | 14 |
| 4. ქუთაისი | 8 | 6 | 2 | 682/585 | 14 |
| 5. ენერჯი | 8 | 6 | 2 | 614/571 | 14 |
| 6. სოხუმი | 8 | 5 | 3 | 645/626 | 13 |
| 7. სამედიცინო | 8 | 2 | 6 | 593/626 | 10 |
| 8. ბათუმი | 8 | 2 | 6 | 609/675 | 10 |
| 9. აგრარული | 8 | 2 | 6 | 564/687 | 10 |
| 10. დინამო | 9 | 1 | 8 | 590/839 | 10 |
| 11. სტუ | 8 | 1 | 7 | 640/737 | 9 |

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**ქართველი NBA-ში**

## ნიუ ჯერსის არაფერი ეშველება... ატლანტას?

პარასკევს „ატლანტა"-"შარლოტის" შეხვედრა თბილისის დროით 4:30 საათზე დაიწყო. მანამდე თვალი არ მომიხუჭავს, მოუთმენლად ველოდი **ზაზა ფაჩულიას** თამაშს. წინა შეხვედრაში „ბოსტონთან" ქართველმა ცენტრმა 18 წუთში 10 ქულა ჩააგდო და იმედი მქონდა, რომ „შარლოტთანაც" არანაკლებად გაირჯებოდა...

ზაზას „ლაივში" სანახავად, კიდევ არაერთი ქართველი გაათენებდა, მაგრამ „ატლანტას" მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** არც საქართველოსა და ამერიკას შორის არსებული დროის სხვაობა გაითვალისწინა, არც ქართველთა ინტერესი და ფაჩულია მხოლოდ 2:12 წუთი ათამაშა...

კვირასაც მინდოდა ზაზას თამაშის ხილვა, მაგრამ „ატლანტას" თამაში შემრჩა - მწვრთნელი ქართველ ცენტრს ამჯერად 14 წამით მეტით ენდო (2:26 წუთი). „ატლანტამ" აღმოსავლეთის კონფერენციის აუტსაიდერ „ნიუ ჯერსისთან" 82:89 წააგო.

სანუგეშოდ ისღა დამრჩა, რომ ამჯერად ღამის გატეხამ არ მომიწია - მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყო.

შეხვედრის რუსმა მიმომხილველმა არაერთხელ თქვა: „ნიუ ჯერსის" არაფერი ეშველება, თუ სუპერვარსკვლავი არ დაიმატაო. ბოლო წუთებზე ეს ფრაზა მესამედ რომ გაიმეორა იქვე დააკვირდა, რომ „ჯერსიზე" უარესად „ჰოქსი" თამაშობდა და დასძინა - იქნებ, „ატლანტას" ამ შემადგენლობამ მაქსიმუმს უკვე მიაღწია?! შეიძლება, ასე უფრო გამართლებული იყოს: მაქსიმუმი ისაა, რასაც ამ მწვრთნელის ხელში აღწევს...

**ატლანტა-შარლოტი 90:85**

ზაზა ფაჩულია: 02:12 წუთი, 2 ფოლი.

**I პერიოდი**

07:18 ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
07:05 ფოლი: 1
05:06 ფოლი: 2
05:06 ზაზამ კოლინზმა შეცვალა

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 89:82**

ზაზა ფაჩულია: 02:26 წუთი, 1 ფოლი, 2 შეცდომა.

**II პერიოდი**

10:43 შეცდომა: 1
10:16 ფოლი: 1
10:16 შეცდომა: 2
09:34 ზაზამ ჰორფორდი შეცვალა

**ლეგიონი**

**იტალიის ჩემპიონატი**

**ვირტუსი-მილანი 81:94**

ვიქტორ სანიკიძე: 17 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა.

**კანტუ-ბრინდისი 85:62**

მანუჩარ მარკოიშვილი: არ უთამაშია (ტრავმა)

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**გრანადა-ლაგუნ არო 68:75**

ნიკა ცქიტიშვილი: 6 წუთი, 1 მოხსნა.

**გრან კანარია-ალიკანტე 52:53**

ტორინ გრინი: 25 წუთი, 3 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი.

**ბარსელონა-ხუვენტუდი 83:63**

ქუინტონ ჰოსლი: 26 წუთი, 6 ქლა, 9 მოხსნა.

**მენორკა-ესტუდიანტესი 65:74**

ტაირონ ელისი: 20 წუთი, 12 ქულა.

**ადრიატიკის ლიგა**

**ოლიმპია-ცრვენა ზვეზდა 80:67**

გიორგი შერმადინი: 8 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა.

**ბალტიის ლიგა**

**როკი-კალევი 80:90**

გიორგი ცინცაძე: 25 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 5 ფოლი.

**ბელგიის ჩემპიონატი**

**ანტვერპენი-პეპინსტერი 82:73**

თორნიკე შენგელია: 10 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

გვერდი მოამზადა **ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# ორმა მოიგო, ორმა წააგო, ორი გადაიტანეს



დავით ქუბრიაშვილი (მარჯვნივ თეთრი შლემით)

ქართველ მორაგბეთა გუნდებისთვის ევროთასების გათამაშების მეოთხე ტური უილბლო გამოდგა. თუ წინა, მესამე ტურში ექვსიდან ექვსივემ მოიგო, ამჯერად გამარჯვებას მხოლოდ ორმა, „ტულონმა“ და „აჟენმა“ მიაღწია. ორი, „კლერმონი“ და „მონპელიე“ დამარცხდა, ხოლო „ბრივისა“ და „კასტრის“ შეხვედრები სტუმრად, შესაბამისად „სეილ შარქსთან“ და „ედინბურგთან“, დიდთოვლობის გამო გადაიდო.

**აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“ A ჯგუფში ასპარეზობს და სამი ტურის შემდეგ 9 ქულით მეორე ადგილზეა. ამ ჯგუფში ორივე შეხვედრა გადაიდო. ევროთასების ორგანიზატორებს ჯერ არ დაუდგენიათ, დიდთოვლობის გამო ჩაშლილი შეხვედრები როდის უნდა გაიმართოს. მეტიც, მსგავსი ფორსმაჟორული ვითარებიდან გამოსავალი რეგლამენტით გათვალისწინებულიც არ არის.

### A ჯგუფი

**ედინბურგი-კასტრი (გადაიდო), კარდიფი-ნორსჰემპთონი (გადაიდო)**

სატურნირო მდგომარეობა: **ნორსჰემპთონი - 12 ქულა, კასტრი - 9, კარდიფი - 5, ედინბურგი - 3.**

B ჯგუფში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“ სტუმრად წააგო ირლანდიურ „ლენსტერთან“ - 8:24 და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილს მაინც ინარჩუნებს, საქმე გაირთულა. აღსანიშნავია, რომ პლეი ოფში გასვლის შანსი ოთხივე გუნდს აქვს. შესაბამისად, დარჩენილ ორ ტურში უმძიმესი ბრძოლებია მოსალოდნელი.

„ვულკანებთან“ მატჩში ლენსტერელთა წარმატება შუამარბ **ბრაიან ოდრისკოლის** ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა, რომელიც გუნდს ტრავმის მოშუშების შემდეგ დაუბრუნდა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 72-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში პარიზულმა „მეტრო რასინგმა“ შინ წააგო ინგლისურ „სარასენზთან“ - 14:19. მასპინძლებმა პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ითამაშეს და მშრალი ანგარიშით 0:16 დათმეს. პარიზელებმა მეორე ნახევარში მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, ტემპს მოუმატეს და ანგარიშში სხვაობის ორ ქულამდე შემცირება შეძლეს - 14:16. თუმცა მატჩის ბოლო წუთზე, სტუმართა მგეზავმა **ოუენ ფორელმა** საჯარიმოთი „მეტრო რასინგს“ მატჩის გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

### B ჯგუფი

**ლენსტერი-კლერმონი 24:8, მეტრო რასინგი-სარასენზი 14:19**

სატურნირო მდგომარეობა: **ლენსტერი - 14 ქულა, კლერმონი - 9, მეტრო რასინგი - 9, სარასენზი - 6.**

C ჯგუფის ლიდერი **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი“ გახდა. ჩვენებურის გუნდმა შინ ინგლისური „ლონდონ აირიში“ დაამარცხა - 38:17. თამაში ძალიან საინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში ორი ლელო გაიტანეს და მშრალი ანგარიშით 17:0 მოიგეს. ქუბრიაშვილი ორივე სალელოვე შეტევაში აქტიურად მონაწილეობდა. „დუდუ“ შერკინებაშიც კარგად იდგა და ახალზელანდიელ ვიზავის, **კლერკ დერმოდის** სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

მეორე ტაიმის საწყის ოც წუთში ტულონელებს „ჩაეძინათ“. ინიციატივას მთლიანად ლონდონელები დაეუფლნენ და ანგარიშის გათანაბრება შეძლეს - 17:17. მასპინძლები ამ უეცარმა ალიყურმა უმალ გამოაფხიზლა და დასკვნით ოც წუთში ვითარების გამოსწორება შეძლეს. „ტულონმა“ მეტოქეს კიდევ ორი ლელო გაუტანა, რისთვისაც ერთი საპრემიო ქულაც მიიღო.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში უელსურმა „ოსფრიზმა“ შინ ირლანდიური „მანსტერი“ დაამარცხა - 19:15 და ლიდერობა დააკარგვინა.

### C ჯგუფი

**ტულონი-ლონდონ აირიში 38:17, ოსფრიზი-მანსტერი 19:15**

სატურნირო მდგომარეობა: **ტულონი - 13 ქულა, მანსტერი - 11, ოსფრიზი - 10, ლონდონ აირიში - 5.**

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში A ჯგუფის ლიდერად ისევ **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი“ რჩება. ჩვენებურთა გუნდის მატჩი სტუმრად, უშუალო კონკურენტ ინგლისურ „სეილ შარქსთან“ დიდთოვლობის გამო გადაიდო. „ბრივს“ 14 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა, ინგლისური კლუბი მას ოთხი ქულით ჩამორჩება.

ამავე ჯგუფში ესპანურმა „ელ სალვადორმა“ შინ იტალიურ „პადოვას“ მოუგო - 37:16.

### B ჯგუფი

**სეილ შარქსი-ბრივი (გდაიდო), ელ სალვადორი-პადოვა 37:16.**

სატურნირო მდგომარეობა: **ბრივი - 14 ქულა, სეილ შარქსი - 10, ელ სალვადორი - 5, პადოვა - 5.**

C ჯგუფში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“ სტუმრად წააგო „ბურგუენთან“ - 18:36, თუმცა ლიდერობას მაინც ინარჩუნებს.

„მონპელიეს“ ამ შეხვედრაში პირველად უკაპიტნა მამუკა გორგოძემ, რომელმაც სრულად ითამაშა. ასევე თავიდან ბოლომდე ითამაშეს ჩხაიძემ და შველიძემ, ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი განაცხადში არ იყო.

ამავე ჯგუფში, ინგლისურ დერბიში „ნიუკასლმა“ შინ მოუგო მეორეადგილოსან „ექსეტერს“ - 26:24.

### C ჯგუფი

**ბურგუენი-მონპელიე 36:18, ნიუკასლი-ექსეტერი 26:24.**

სატურნირო მდგომარეობა: **მონპელიე - 13 ქულა, ექსეტერი - 11, ნიუკასლი - 8, ბურგუენი - 6.**

E ჯგუფში **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“ შინ იტალიური „როვიგო“ გაანადგურა - 61:11 და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. შეყლაშვილმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 54-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „გლოსტერმა“ შინ მოუგო ფრანგულ „ლა როშელს“ - 23:12.

### E ჯგუფი

**აჟენი-როვიგო 61:11, გლოსტერი-ლა როშელი 23:12**

სატურნირო მდგომარეობა: **აჟენი - 15 ქულა, გლოსტერი - 14, ლა როშელი - 11, როვიგო - 0.**

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-15 ტურის მატჩები გაიმართა. გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ შინ მშრალი ანგარიშით 37:0 მოუგო აუტსაიდერ „სენტ ეტიენს“. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ შინ სძლია „ორიაკს“ - 28:21. მაგრაქველიძე თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო, მირცხულავას არ უთამაშია.

### II დივიზიონი

**ოიონაქსი-მონ დე მარსანი 15:9, ბორდო-ოში 28:23, კარკასონი-კოლომიე 32:9, ნარბონი-დაქსი 12:18, ალბი-ექსი 23:6, ტარბი-ორიაკი 28:21, ლიონი-სენტ ეტიენი 37:0, გრენობლი-პო 21:13.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ალბი - 53 ქულა, 2. ლიონი - 49, 3. გრენობლი - 45, 4. კარკასონი -43, 5. ბორდო -42, 6. ტარბი - 37, 7. მონ დე მარსანი - 37, 8. ორიაკი - 37, 9. ოიონაქსი - 34, 10. პო - 33, 11. ნარბონი - 33, 12. ოში - 31, 13. კოლომიე - 27, 14. ექსი - 26, 15. დაქსი - 21, 16. სენტ ეტიენი - 11.**



დავით ზირაქაშვილი (მარჯვნივ)

ამბები



ჯონი ვილკინსონი, მამუკა გორგოძე (მარჯვნივ)

# ბედნიერი შობა ბურჯელალისთვის

ფრანგული „ტულონის“ მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** შობას შესანიშნავი განწყობით ხვდება. მისმა გუნდმა „ჰეინეკენის თასის“ გათამაშებაში „ლონდონ აირიში“ დაამარცხა და ჯგუფის ლიდერი გახდა. თამაში ახალი დასრულებული იყო, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგლისის ნაკრების მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა.

„ვილკოს“ წესით, „ტულონში“, 2012 წლის ივნისამდე უნდა ეთამაშა, მაგრამ გადაწყვიტა, ამ გუნდში კარიერის კიდევ ერთი წელიწადი გაატაროს.

*„მოლაპარაკებამ შესანიშნავად ჩაიარა. ვილკინსონი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და ძალიან გვიხარია, რომ ჩვენი გუნდის წევრია. ის „ტულონში“ თავს ბრწყინვალედ გრძნობს. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მთელი ცხოვრებაა აქ თამაშობს“* - სიხარულს ვერ მალავდა მურად ბურჯელალი.

პარალელურად ტულონელი მულტიმილიონერი სხვა მეგავარსკვლავებზე ნადირობას განაგრძობს.

*„საიდუმლო არ არის, რომ „ლონდონ აირიშის“ შუამარბით, სეილალა მაპუსუათი ვართ დაინტერესებულნი. თუმცა, ჩვენთვის ნომერ პირველი ამოცანაა ახალზელანდიელი შუამარბის სონი ბილ ვილიამსის გადმობირება“* - თქვა მან.

## რიჩი მაკქოუ:

# ევროპელებო ნუ შეწუხდებით

ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანმა, მესამეხაზელმა **რიჩი მაკქოუმ** ოფიციალურად განაცხადა, რომ „ოლ ბლექსში“ თამაშს 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგაც აპირებს და ყველა შეთავაზებაზე ევროპული კლუბებიდან უარს ამბობს..

ამასობაში, სამხრეთნახევარსფეროელი ვარსკვლავები ჩრდილოეთში მასობრივად გადაბარგებისთვის ემზადებიან. მათთან მოლაპარაკებებისას განსაკუთრებით ფრანგული გუნდები აქტიურობენ. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება **დენ კარტერთან, სონი ბილ ვილიამსთან** და სხვა ვარსკვლავებთან.

მაშინ, როცა ახალზელანდიელი, ავსტრალიელი და სამხრეთაფრიკელი უძლიერესი მორაგბეები „ჩრდილოეთიდან ამომავალ მზეზე“ ოცნებობენ, მაკქოუს ახალი ზელანდიის ნაკრებში თამაშის გარდა, სხვა არაფრის გაგონება არ უნდა.

*„რაგბი ჩემი ცხოვრებაა. მთავარი სიამოვნებაა, რასაც რაგბის თამაშიდან ვიღებ. წლეულს „ოლ ბლექსს“ შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, მომავალშიც ეროვნულ ნაკრებს ვემსახურო.*

*2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ დავსხდებით მე და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის წარმომადგენლები და ვილაპარაკებთ. ვეტყვი, რა მინდა მე და მეტყვიან, რას მოითხოვენ ჩემგან.*

*არასდროს დამიმალავს, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემთვის ყველაფერია. საზღვარგარეთ კარიერის გაგრძელებაზე არასდროს მიოცნებია. არ დამავიწყდება „მილენიუმზე“ 80 ათასი ფეხზე მდგომი ქომაგი ოვაციით რომ გვაცილებდა. იდიოტი უნდა იყო კაცი, თუ შეგიძლია, ეს კიდევ ერთხელ არ განიცადო“* - თქვა რიჩი მაკქოუმ.

შეგახსენებთ, რომ წლეულს მაკქოუმ და კომპანიამ სამი ერის გათამაშება მოიგო და ნოემბრის ტესტებზე დიდი სლემი შეასრულა. 2011 წელს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასი რიჩისთვის ბოლო იქნება. ამიტომ, ის ყველაფერს იღონებს, რომ „ვებ ელისის“ სახელობის თასი ახალ ზელანდიაში დარჩეს.

# სიმსივნის ეპიდემია ახალი ზელანდიის რაგბის კავშირში

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირს სიმსივნის „ეპიდემია“ დაერია. ახლახან ცნობილი გახდა, რომ მმართველი საბჭოს წევრს **კრისტოფერ დოიგს** სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობა, ფილტვის სიმსივნე აღმოაჩნდა. მან ერთი წლის წინ სიმსივნის მოსაცილებლად ოპერაცია ნაწლავზე გაიკეთა. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ ბოლო სამედიცინო შემოწმების შემდეგ კიდევ ერთი მძიმე დიაგნოზი დაუსვეს.

აღსანიშნავია, რომ ერთი თვის წინ, მსგავსი ავადმყოფობის გამო, თანამდებობიდან გადადგა მმართველი საბჭოს თავმჯდომარე **ჯო ჰობსი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



გაცვლილები

# ჯადოსნური რევოლუცია

გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი დიდი ტრეიდი განხორციელდა და ორივეში მონაწილეობა მიიღო „ორლანდო მეჯიქმა". კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ დღევანდელი კადრებით რთული იყო აღმოსავლეთის ფავორიტებთან - „ბოსტონთან" და „მაიამისთან" ჭიდილი და კარდინალურად გადაახალისა შემადგენლობა.

„მეჯიქს" ერთი გაცვლა „ფინიქსთან" ჰქონდა. მცველი **ვინს კარტერი**, ცენტრი **მარსინ გორტატი** და ფორვარდი **მიკაელ პიეტრუსი** „სანზში" გაუშვა, სანაცვლოდ კი მცველი **ჯეისონ რიჩარდსონი**, ფორვარდი **ჰედო თურქოგლუ** და ცენტრი **ირლ კლარკი** მიიღო. გარდა ამისა, „ორლანდოს" „ფინიქსისთვის" 2011 წლის დრაფტზე არჩევანის უფლების დათმობა და 3 მილიონი დოლარის გადახდამ მოუწია.

მეორე გარიგება „ვაშინგტონ უიზარდსთან" დაიდო. „მეჯიქმა" დედაქალაქურ კლუბს **რაშარდ ლუისი გილბერტ არენასში** გაუცვალა.

ასე რომ, „ორლანდომ" პრაქტიკულად მთლიანად იცვალა სახე. მნიშვნელოვანია ამ გუნდში თურქოგლუს დაბრუნება, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „მეჯიქში" გაატარა. საინტერესო დუეტი უნდა შექმნან არენასმა და რიჩარდსონმა - მათ თავის დროზე „გოლდენ სტეიტში" ერთად უთამაშიათ. **დუაიტ ჰოვარდის** დუბლიორი კი კლარკი იქნება, რომელიც მეორე სეზონს ატარებს ლიგაში.

■ ■ ■

ამასობაში საინტერესო გაცვლას ამზადებენ „ფილადელფია" და „პორტლენდი". ESPN-ისთვის ცნობილი გახდა მომავალი ტრეიდის დეტალები. კერძოდ, „ბლეიზერსი" მიიღებს **ანდრე იგუოდალას**, ხოლო ფილადელფიაში გაემგზავრებიან **ნიკოლა ბატუმი** და **ჯოელ პრჟიბილა**.

ამ ტრეიდის განხორციელების შემთხვევაში, „პორტლენდი" შეძლებს თავისი ლიდერის - **ბრენდონ როის** გუნდიდან გაშვებას. ბოლო განცხადებების მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობას სწორედ როის და არა **ანდრე მილერის** გასხვისება სურს.

ასოციაციის რვა გუნდმა უკვე გამოთქვა როის გადაბირების სურვილი.

ამბები

კალათბურთი

## იაოსთვის ეს სეზონი აღარ არის

გაირკვა „ჰიუსტონ როკეტსის" ტრავმირებული ცენტრის - **იაო მინის** ბედი, რომელსაც სამი დღის წინ ექიმებმა ფეხის მოტეხილობის დიაგნოზი დაუსვეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინელ კალათბურთელს ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

შესაბამისად, იაო მთლიანად გამოტოვებს მიმდინარე სეზონს და ჯერ ისიც არ არის გარკვეული, საერთოდ შეძლებს თუ არა ის კარიერის განახლებას.

ჩოგბურთი

## ნოვაკი სერბეთის რჩეულია

დევისის თასის მფლობელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. გამოკითხვა სერბეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩაატარა, რომელმაც მსოფლიოს მესამე ჩოგანი „სერბეთში წლის ათლეტად" გამოაცხადა.

*„მადლობა უნდა გადავუხადო სერბეთის ოლიმპიურ კომიტეტს ამ აღიარებისთვის. ეს პრიზი და ხალხის სიყვარული მავალდებულებს, მომავალ წლებში ნებისმიერი რანგის ტურნირზე მაქსიმალური შედეგები ვაჩვენო. 2010 წელი დევისის თასზე ჩვენი ნაკრების დიადი გამარჯვებით იყო გამორჩეული. ყველაფერი გავაკეთე ამ მიზნის მისაღწევად"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა, რომელიც ამჟამად 2011 წლისთვის ემზადება. ახალ სეზონს ნოვაკი ჰოპმანის თასზე გამოსვლით გახსნის.

## ჩინეთის პირველი ნომერი უავსტრალიოდ რჩება

ჩინელი ჩოგბურთელი **ჟიე ჟენგი** მონაწილეობას ვერ მიიღებს 2011 წლის სეზონის სასტარტო ტურნირებში - კერძოდ, ჟენგს ვერ ვიხილავთ ჰონ კონგისა და ჰობარტის ტურნირებზე, რომელიც წინ უძღვის ავსტრალიის ღია პირველობას. შესაბამისად, ჩინელი სათამაშო პრაქტიკის გარეშე შეხვდება „დიდი სლემის" ჩემპიონატს, ამიტომაც ჟენგი ამ ტურნირის გამოტოვებასაც ფიქრობს.

შეგახსენებთ, რომ ჩინელმა გასული სეზონის ბოლოს მარცხენა მაჯის ტრავმა მიიღო და ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. მკურნალობის კურსი ისეთი ტემპით ვერ მიდის, როგორც სპორტსმენი ვარაუდობდა, ამიტომაც ეჭვქვეშ დადგა მისი გამოსვლა ავსტრალიის ღია პირველობაზე, რომელიც 17 იანვარს დაიწყება.

მელბურნში უთამაშებლობა ძალიან დააქვეითებს ჟენგს WTA-ის რეიტინგში, რადგან მან შარშან ავსტრალიის ღიაზე ნახევარფინალამდე მიაღწია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი ტრიო ბობოქრობს

„მაიამი ჰიტმა" თანდათან დაიწყო მასზე გაცემული ავანსების გამართლება და ამ გუნდს უკვე თამამად მოიხსენიებენ ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად. ფლორიდელთა „დიდი ტრიო" კი, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეთამაშდა და მისი შეჩერება ნებისმიერ მეტოქეს უჭირს. შაბათს „მაიამი" „ნიუ იორკს" სტუმრობდა. **ამარე სტაუდმაიერისა** და ფლორიდელთა სამეულის დაპირისპირების სანახავად ნიუ იორკის მთელი ბომონდი შეიკრიბა.

ადგილობრივი პუბლიკა, პირველ რიგში, ამარეს მორიგ გაბრწყინებას ელოდა, რომელიც ბოლო მატჩებში მინიმუმ 30 ქულის გარეშე არ ტოვებდა მოედანს, მაგრამ პირველი ტაიმის გმირი სულ სხვა მოთამაშე გახდა - ნიჭიერი, მაგრამ არასტაბილური იტალიელი **დანილო გალინარი**, რომელმაც დიდ შესვენებამდე ხუთიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო და 21 ქულა დააგროვა. სწორედ ექსმილანელის სნაიპერულმა თვისებებმა მოუტანა „ნიუ იორკს" პირველ ტაიმში ლიდერობა.

მაგრამ მესამე მეოთხედში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. „ჰიტმა" ფანტასტიკური გაქცევით ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე - 27:7. ამ სპურტის სულისჩამდგმელი გახდა **ლებრონ ჯეიმსი** - ერთადერთი მოთამაშე **მაიკლ ჯორდანის** შემდეგ, რომელსაც „მედისონ სკვერ გარდენში" ორჯერ აქვს დაგროვებული მინიმუმ 50 ქულა. ლებრონს უყვარს ამ არენაზე თამაში. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ზაფხულს „ნიქსის" ხელმძღვანელობამ დიდი ენერგია დახარჯა „მეფის" გადასაბირებლად, მაგრამ მისთვის სამწუხაროდ, ჯეიმსმა „მაიამი" აირჩია. ეს არ დავიწყებია ნიუიორკულ პუბლიკას, რომელმაც აგრესიულად დახვედრა მოუწყო „ჰიტის" ლიდერს.

თუმცა ლებრონი ამან ვერ შეაშინა. ის დამაჯერებლად უძღვებოდა თავისი გუნდის თამაშს და პრაქტიკულად ყველა შეტევაში მთავარ როლს ასრულებდა. მეორე ნახევარში „მაიამი" მართლა ჰგავდა „ოცნების გუნდს" - გაუვალი დაცვა, უსწრაფესი თამაში, კონტრშეტევები, ეფექტური კომბინაციები - ეს ყველაფერი მაყურებელმა ნახა, ოღონდ ერთი გუნდის შესრულებით.

საბოლოოდ, ჯეიმსმა კარიერაში 30-ე სამმაგი დუბლი შეასრულა (32 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), **უეიდმა** და **ბოშმა** კი 26-26 ქულა მოიპოვეს. „დიდი ტრიოს" მონაგარმა 84 ქულა შეადგინა, რაც სეზონის რეკორდი გახლავთ. საკმარისია დავამატოთ, რომ „ნიუ იორკის" თერთმეტივე მოთამაშემ ერთად მხოლოდ შვიდი ქულით მეტი დააგროვა, სტაუდმაიერმა კი შეწყვიტა ცხრამატჩიანი სერია, როცა ის მინიმუმ 30 ქულით ეხმარებოდა თავის გუნდს.

ტრიომ მეორე დღეს „ვაშინგტონთან" გასვლით მატჩშიც გამოიჩინა თავი - ჯეიმსმა ისევ 30-ქულიან ზღვარს გადააჭარბა, ბოშსა და უეიდს კი კვლავ თანაბარი მონაგარი ჰქონდათ - 20-20 ქულა.

■ ■ ■

ცუდი უქმეები ჰქონდა NBA-ის მეორე ვარსკვლავ **კობი ბრაიანტს**. „ლეიკერსმა" ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოუგო სტუმრად „ფილადელფიას", მაგრამ ამ გამარჯვებაში კობის მოკრძალებული წვლილი ჰქონდა. ცხრა ქულა, ოთხი მოხსნა, ოთხი პასი და ორი ჩაჭრა 36 წუთის განმავლობაში - ასეთი დაბალი შედეგიანობა კობის თავის მშობლიურ ქალაქში არასოდეს უჩვენებია.

*„საშიში არაფერია. ყველა მოთამაშეს აქვს უიღბლო დღეები,* - ასეთი კომენტარი გაუკეთა ბრაიანტის თამაშს „ლეიკერსის" დამრიგებელმა **ფილ ჯექსონმა**. *- ეს ბიჭი მაშინაც პროფესიულ დონეზე თამაშობს კალათბურთს, როცა ინვალიდის სავარძელში ზის".*

მოგვიანებით გაირკვა კობის ცუდი თამაშის მიზეზი. მან მატჩის დასაწყისში თითი იტკინა. საბედნიეროდ, თამაშის შემდეგ ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ მოტეხილობა არ დაადასტურა. როგორც კალათბურთელმა თქვა, ტრავმა **პაუ გასოლის** ცუდმა პასმა გამოიწვია.

■ ■ ■

უქმეების გმირი წაგებული გუნდის კალათბურთელი გახდა. ეს არის **კევინ ლავი**, რომელმაც „დენვერთან" მატჩში კინაღამ გამარჯვებამდე მიიყვანა „მინესოტა". 22 წლის ფორვარდმა კარიერის რეკორდი დაამყარა - 43 ქულა (თამაშიდან - 14/23, სამქულიანი - 5/5, საჯარიმო - 10/12) დააგროვა, რასაც 17 მოხსნაც დაუმატა. მაგრამ ფარის წაგების მიუხედავად, „დენვერმა" მაინც შეძლო მნიშვნელოვან მატჩში გამარჯვება -115:113. საფინალო სირენამდე წუთითა და 12 წამით ადრე **ჯორჯ კარლის** შეგირდები **ჯეი არ სმიტის** სამქულიანით 115:106 დაწინაურდნენ და „მინესოტას" დრო არ ეყო გადასარჩენად, არადა, ბოლო ერთი წუთი 7:0 მოიგო.

### 17 დეკემბერი

**ინდიანა-კლივლენდი 108:99**

19:23, 34:25, 31:26, 24:25

**ი:** გრეინჯერი (30+12 მოხსნა), რაში (15+7 მოხსნა), ჰიბერტი (15+6 მოხსნა+6 დაფარება), დანლივი (15).

**კ:** უილიამსი (22+11 პასი+6 მოხსნა), ჯეიმისონი (17+7 მოხსნა), პარკერი (17+6 მოხსნა), ვარეჟაო (15+6 მოხსნა), ჰიქსონი (11).

**ნიუ იორკი-მაიამი 91:113**

25:34, 32:23, 17:33, 17:23

**ნ-ი:** გალინარი (25), სტაუდმაიერი (24+14 მოხსნა), ჩენდლერი (17+10 მოხსნა), ფელტონი (8+10 პასი).

**მ:** ჯეიმსი (32+11 მოხსნა+10 პასი), უეიდი (26+8 მოხსნა+5 პასი), ბოში (26+7 მოხსნა), აროიო (11).

**ფილადელფია-ლეიკერსი 81:93**

21:18, 18:26, 23:14, 19:35

**ფ:** ჰაუსი (18+13 მოხსნა+5 პასი), იგუოდალა (18+6 მოხსნა+6 პასი).

**ლ:** ოდომი (28+8 მოხსნა), გასოლი (19+13 მოხსნა), ბარნსი (15+10 მოხსნა).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 98:92**

21:23, 21:25, 27:23, 29:21

**ტ:** ბარნიანი (32+9 მოხსნა), კლეიზა (18+12 მოხსნა), კალდერონი (15+14 პასი), დეროზანი (14), ბარბოზა (10).

**ნ-ჯ:** ლოპესი (20+7 მოხსნა), ჰარისი (15+6 პასი), აუთლო (14), ჰემფრიზი (12+12 მოხსნა).

**ატლანტა-შარლოტი 90:85**

25:20, 21:19, 22:19, 22:27

**ა:** ჰორფორდი (16+9 მოხსნა), ჯონსონი (16+8 პასი), უილიამსი (16+8 მოხსნა), სმიტი (12+11 მოხსნა), ბიბი (10).

**შ:** დიაო (22+7 მოხსნა), ოგუსტინი (22), მაკგუაიერი (8+17 მოხსნა).

**დეტროიტი-კლიპერსი 88:109**

19:25, 27:26, 16:29, 26:29

**დ:** ვილანუევა (18+9 მოხსნა), გორდონი (15), პრინსი (13).

**კ:** გრიფინი (24+17 მოხსნა), გომესი (18), გორდონი (15+6 პასი), ბლედსოუ (12+8 პასი), კუკი (12+7 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-იუტა 100:71**

21:14, 29:19, 31:21, 19:17

**ნ-ო:** უესტი (23+8 მოხსნა), ტორნტონი (19), არიზა (17+7 მოხსნა), პოლი (11+10 პასი+7 მოხსნა), ჯეკი (10+5 პასი).

**ი:** მილსეპი (14+6 მოხსნა), უილიამსი (10+5 პასი), ჯეფერსონი (10).

**ოკლაჰომა-საკრამენტო 102:87**

21:22, 32:24, 19:21, 30:20

**ო:** დურანტი (24+5 პასი), უესტბრუკი (21+6 პასი), იბაკა (12+10 მოხსნა), კოლისონი (12+8 მოხსნა), გრინი (11+9 მოხსნა+5 პასი), ჰარდენი (11).

**ს:** ევანსი (22+6 პასი), კაზინსი (19+16 მოხსნა), უდრიხი (19).

**ჰიუსტონი-მემფისი 103:87**

34:13, 27:20, 28:27, 14:27

**ჰ:** მარტინი (34+6 მოხსნა), სკოლა (23+9 მოხსნა), ლაური (17+18 პასი+5 ჩაჭრა), ბატიე (17+10 მოხსნა+5 პასი).

**მ:** გეი (19), იანგი (19), რენდოლფი (13+9 მოხსნა), გასოლი (10).

**დალასი-ფინიქსი 106:91**

22:25, 32:17, 26:17, 26:32

**დ:** ტერი (18+6 პასი), ნოვიცკი (18), ბატლერი (17+7 მოხსნა), მერიონი (15), ჰეივუდი (6+10 მოხსნა).

**ფ:** უორიკი (15+14 მოხსნა), დრაგიჩი (14+10 პასი), რიჩარდსონი (12), თურქოგლუ (10), ფრაი (8+14 მოხსნა).

**პორტლენდი-მინესოტა 107:102**

25:24, 36:30, 21:24, 25:24

**პ:** ოლდრიჯი (36+10 მოხსნა), ფერნანდესი (26+6 პასი), მეტიუზი (21).

**მ:** ბიზლი (33+6 მოხსნა), ლავი (19+17 მოხსნა), უებსტერი (19+9 მოხსნა), ქუფოსი (6+11 მოხსნა).

### 18 დეკემბერი

**ორლანდო-ფილადელფია 89:97**

21:20, 18:20, 25:31, 25:26

**ო:** ჰოვარდი (26+20 მოხსნა), ბასი (18+8 მოხსნა), ნელსონი (17+9 პასი).

**ფ:** უილიამსი (24+6 მოხსნა), იგუოდალა (21+7 პასი), ბრენდი (20 +13 მოხსნა).

**ვაშინგტონი-მაიამი 94:95**

25:19, 22:27, 25:26, 22:23

**ვ:** იანგი (30), ბლეტჩი (20+12 მოხსნა), ჰაინრიხი (13+12 პასი+6 მოხსნა), ჰოვარდი (13), ტორნტონი (10+5 პასი).

**მ:** ჯეიმსი (32+7 მოხსნა+6 პასი), ბოში (20+9 მოხსნა), უეიდი (20+6 მოხსნა).

**კლივლენ.-ნიუ იორკი 109:102 (ო)**

21:27, 28:25, 25:22, 19:19, 16:9

**კ:** უილიამსი (23+14 პასი), ჯეიმისონი (21+9 მოხსნა), პარკერი (17+6 მოხსნა), ვარეჟაო (14+17 მოხსნა), სეშენსი (12), გიბსონი (11).

**ნ-ი:** ფელტონი (23+11 პასი+7 მოხსნა), სტაუდმაიერი (23+11 მოხსნა), ჩენდლერი (13), უილიამსი (12+7 მოხსნა), ფილდსი (11+6 მოხსნა).

**ჩიკაგო-კლიპერსი 99:100**

31:28, 22:33, 23:22, 23:17

**ჩ:** როუზი (34+8 პასი+6 მოხსნა), ბუზერი (25), დენგი (17+8 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (29+12 მოხსნა), დევისი (16+7 პასი), გორდონი (15+6 მოხსნა), სმიტი (13+6 მოხსნა), ბატლერი (11).

**მილუოკი-იუტა 86:95**

25:19, 21:24, 22:28, 18:24

**მ:** ბოგუტი (19+9 მოხსნა), სალმონსი (18), დულინგი (14+5 პასი), დუგლას-რობერტსი (13), გუდენი (12+7 მოხსნა).

**ი:** უილიამსი (22+11 პასი), ჯეფერსონი (18+9 მოხსნა), მაილზი (16+7 მოხსნა), მილსეპი (15+9 მოხსნა), კირილენკო (12+9 მოხსნა).

**სან ანტონიო-მემფისი 112:106 (ო)**

28:31, 25:18, 27:22, 20:29, 12:6

**ს-ა:** პარკერი (37+9 პასი), ჯინობილი (15+9 პასი), დანკანი (13+10 მოხსნა), ჯეფერსონი (12+9 მოხსნა), ნილი (11), ქუინი (10).

**მ:** მაიო (27+5 პასი), რენდოლფი (24+21 მოხსნა), ალენი (15), კონლი (13+8 პასი), გასოლი (11+11 მოხსნა+6 პასი), იანგი (11).

**დენვერი-მინესოტა 115:113**

35:27, 27:23, 26:25, 27:38

**დ:** ენტონი (24+7 მოხსნა), ლოუსონი (23+9 პასი), სმიტი (18), აფლალო (17), ჰარინგტონი (15).

**მ:** ლავი (43+17 მოხსნა), ბიზლი (17), უებსტერი (12), ფლინი (12).

**პორტლენდი-გ. სტეიტი 96:95**

21:18, 30:24, 23:23, 22:30

**პ:** ოლდრიჯი (17+12 მოხსნა), მილერი (17+8 პასი), ფერნანდესი (15+6 პასი), მეტიუზი (13+7 მოხსნა), კანინგემი (13), მილსი (12).

**გ-ს:** ელისი (26+5 პასი), უილიამსი (16+6 მოხსნა), ლი (13+11 მოხსნა), რაიტი (12+6 მოხსნა), კორნი (10).



დიდი ტრიო შეთამაშდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

# კლიჩკოს კუბელი ერგო

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონ **ვიტალი კლიჩკოს** ახალი მეტოქე ჰყავს. მაიამიში გაიმართა WBC-ის ტიტულის პრეტენდენტთა ბრძოლა პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ კუბელ **ოდლანიერ სოლისსა** (17-0, 12 KO) და ამერიკელ **რეი ოსტინს** (28-5-4, 18 KO) შორის. ამ ბრძოლაში გამარჯვებულს ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსი და 2011 წლის გაზაფხულზე ვიტალისთან შეხვედრის უფლება ენიჭებოდა.

ბრძოლა სოლისის აშკარა უპირატესობით დაიწყო, რომელიც, მართალია გაბარიტებით აგებდა ოსტინთან, მაგრამ სწრაფ ტემპში მოქმედებდა და უფრო მახვილგონივრულ შეტევებს ატარებდა, ამიტომაც ოსტინს უჭირდა მეტოქის დარტყმების აცილება.



სოლისი დიდ უპირატესობას ფლობდა

რაც უფრო ახლოვდებოდა შეხვედრის დასასრული, ამერიკელს მით უფრო ეტყობოდა დაღლა. თავის მხრივ, სოლისმა ზეწოლა გააძლიერა, რის გამოც მეათე რაუნდისთვის რეი ძლივს დალასლასებდა რინგზე.

სწორედ ამ სამწუთეულის დასრულების შემდეგ გადაწყდა ბრძოლის ბედი. კუბელმა რამდენიმე შესანიშნავი კომბინაცია განავითარა, რის შემდეგაც ოსტინი კლინჩში შევიდა და ასე გაატარა დარჩენილი დრო. თანაც ისე შეიჭრა როლში, რომ მეტოქეს ორივე ხელი წელზე შემოხვია და კინაღამ რინგიდან მაყურებლებში გადააგდო. ამასობაში გონგის ხმა გაისმა, მაგრამ ოსტინმა თავის კუთხეში წასვლა არ მოისურვა და ყბაში მაგრად მოარტყა კუბელს. მსაჯმა მაშინვე შეწყვიტა ბრძოლა და რეის დისკვალიფიკაცია მისცა.

*„მინდოდა მაქსიმალურად დამესაჯა ოსტინი იმ სიტყვების გამო, რომელიც მან ბრძოლის წინ წარმოთქვა. რეის თქმით, უკან, კუბაში გამიშვებდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ის გავამგზავრე კლივლენდში ძროხებთან. მე არ დავღლილვარ. სწორედ ეს იყო ამ ბრძოლაში ჩემი სტრატეგია და ამან მეტოქის მასხრად აგდების საშუალება მომცა. მსუქანი არ ვარ, როგორც ამას გაზეთებში წერენ. თავად ნახეთ, რომ სისწრაფე არ მაკლია“*, - განაცხადა სოლისმა, რომელსაც კარიერაში პირველად მიეცა სატიტულო ბრძოლის შანსი.

# მეივეზერი დაპატიმრებულია



ფლოიდი ციხეში გაუშვეს

ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ფლოიდ მეივეზერი** ამერიკის პოლიციამ დააპატიმრა. როგორც უკვე ვწერდით, დაუმარცხებელი ამერიკელი კაზინოს მცველზე თავდასხმაშია ეჭვმიტანილი. ინციდენტი ამა წლის ნოემბერში მოხდა.

როგორც დაზარალებული ამტკიცებს, მეივეზერმა მას სახეში გაარტყა მას შემდეგ, რაც მცველმა მოკრივეს ლას ვეგასის ერთ-ერთი კაზინოს წინ სწორი პარკირებისკენ მიუთითა. ამ საქმესთან დაკავშირებით პირველი სასამართლო მოსმენა 8 დეკემბერს იყო დანიშნული, თუმცა ფლოიდი სხდომაზე არ გამოცხადდა და მოსამართლემ მისი დაპატიმრების ორდერი გასცა.

თუ მეივეზერის ბრალი დამტკიცდა, მას ციხეში 6 თვის გატარება მოუწევს. ასე რომ, კიდევ ერთხელ ჩაიშლება ფლოიდის შეხვედრა ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან**...

■ ■ ■

ამასობაში პაკიაომ სამშობლოში დაბადების დღე აღნიშნა. სტუმრებს შორის მისი პრომოუტერი **ბობ არუმიც** იყო. შესაბამისად, ზეიმის პარალელურად მოკრივე და მისი მენეჯერი მენის მომავალი ბრძოლის თარიღსა და მეტოქეზე ბჭობდნენ.

როგორც ამბობენ, პაკიაო ლას ვეგასის რინგზე 7 მაისს გავა. არსებობს სამი სავარაუდო მეტოქე: **ხუან მანუელ მარკესი, შეინ მოზლი** და **ანდრე ბერტო**. ძირითადი კანდიდატი მოზლი გახლავთ. საბოლოოდ ყველაფერი ორ კვირაში გაირკვევა.

# ჰეი მაინც მიდის

სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონმა **დევიდ ჰეიმ** გამოაცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დაასრულებს აქტიურ კარიერას 2011 წლის ოქტომბერში. ეს იმ შემთხვევაშიც მოხდება, თუ ბრიტანელმა ჩემპიონმა მანამდე ვერ შეძლო ძმები **კლიჩკოებიდან** რომელიმესთან შეხვედრა.



ჰეი სიტყვას არ გადავა

*„კრივიდან მომავალი წლის ოქტომბერში წავალ. თუ კლიჩკოსთან ბრძოლა 2011 წელს არ გაიმართება, მაშინ ვალიარებ, რომ WBA-ის საჩემპიონო ქამარიც სავსებით დამაკმაყოფილებელი ყოფილა და სხვა ტიტულების გარეშეც შესაძლებელია ცხოვრება. რინგზე 20 წელი გავატარე - საკმარისზე დიდი დროა. საკუთარ თავს მიზნებს ვუსახავდი და ვაღწევდი მათ. ტიტულების გაერთიანება - კარიერის მწვერვალი იქნებოდა, მაგრამ თუ ეს არ მოხდება, უპრობლემოდ გავაგრძელებ არსებობას“*, - ამბობს ჰეი.

*„კლიჩკოების გარდაც არსებობენ საინტერესო მოკრივეები. ჩემს საჩემპიონო ქამარზე აუცილებელ პრეტენდენტად რუსლან ჩაგაევია გამოცხადებული. მასთან მოლაპარაკება რთული არ იქნება და დარწმუნებული ვარ, ის ყველაფერს გააკეთებს ჩემს დასამარცხებლად, მაგრამ ზუსტად ისეთ პასუხს მიიღებს, როგორიც სხვა ჩემმა მეტოქეებმა მიიღეს“.*

ამასობაში, **ვლადიმერ კლიჩკოს** გუნდი ყველანაირად ცდილობს ჰეის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის მოსაწყობად. უკრაინელის მენეჯერმა ტელეფონის მეშვეობით მორიგი შეხვედრა დაგეგმა ბრიტანელის გუნდთან.

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ მოკრივეებს შორის ბრძოლა ლას ვეგასში გაიმართებოდა, რასაც კლიჩკოს მენეჯერი **ბერტ ბერტე** არ დათანხმდა. მხარეები იმ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ, რომ მომავალი ბრძოლის დეტალების განსახილველად მოკრივეების მენეჯერები უახლოეს ხანში კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

*„შემიძლია გითხრათ, რომ ლას ვეგასი ის ადგილი არ არის, სადაც ვლადიმერ კლიჩკო ჰეის უნდა შეხვდეს. ჩვენს გეგმებში ბრძოლის ევროპაში ჩატარება შედის. ეს შეიძლება იყოს ლონდონი, დიუსელდორფი ან „შალკეს“ სტადიონი გელზენკირხენში“*, - ამბობს WBO-სა და IBF-ის ჩემპიონის მენეჯერი ბერდ ბენტე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **კალათბურთი** | |
| **NBA** | |
| ბოსტონი-ინდიანა | 99:88 |
| ნიუ ჯერსი-ატლანტა | 89:82 |
| ტორონტო-ლეიკერსი | 110:120 |
| **საბერძნეთი** | |
| იკაროსი-კოლოსოსი | 69:84 |
| ოლიმპიაკოსი-პერისტერი | 101:64 |
| პანელინიოსი-ილისიაკოსი | 70:82 |
| პანიონიოსი-კავალა | 73:79 |
| **ესპანეთი** | |
| მენორკა-ესტუდიანტესი | 65:74 |
| ბარსელონა-ხუვენტუდი | 83:63 |
| უნიკახა-ვალენსია | 64:70 |
| გრან კანარია-ალიკანტე | 52:53 |
| ფუენლაბრადა-ბილბაო | 81:76 |
| სარაგოსა-ვალიადოლიდი | 72:68 |
| **გერმანია** | |
| ულმი-ბაიროიტი | 84:73 |
| ჯაიანტსი-ლუდვიგსბურგი | 66:88 |
| **იტალია** | |
| ბიელა-რომა | 100:102 |
| აველინო-ვანოლი | 83:69 |
| ვარეზე-ტერამო | 91:98 |
| ბოლონია-მილანი | 81:94 |
| მონტეპასკი-სკავოლინი | 104:61 |
| **თურქეთი** | |
| პიარი-ფენერბაჰჩე | 101:98 (ო) |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები. მე-3 ადგილისთვის** | |
| დანია-რუმინეთი | 15:16 |
| **ფინალი** | |
| ნორვეგია-შვედეთი | 25:20 |
| **ჰოკეი** | |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კიოლნი | 1:2 (ბ) |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 3:4 (ო) |
| ინგოლშტადტი-იზერლონი | 2:3 |
| კრეფელდი-დიუსელდორფი | 3:4 (ო) |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 4:2 |
| მიუნხენი-ნიურნბერგი | 6:4 |
| **ევროტური** | |
| რუსეთი-ფინეთი | 6:2 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 4:1 |

## TV პროგრამა

**20 დეკემბერი. ორშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ერკულესი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**20:25** მინი-ფეხბურთი. რუსეთის თასი. დინამო-ცსკა (LIVE).
**05:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ჩიკაგო (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**10:45** ფრენბურთი. კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. კატარი (LIVE).
**17:45** ფრენბურთი. კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. კატარი (LIVE).
**19:55** ფრენბურთი. კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. კატარი (LIVE).
**04:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ანაჰაიმი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**05:30** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფინიქსი (LIVE).

**SPORT+**

**12:55** ფრენბურთი. კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. კატარი (LIVE).

**EUROSPORT**

**01:40** ცხენოსნობა. საერთაშორისო შოუ The Santa Stakes. კონკური. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**17 დეკემბერი**

**ნიუ ჯერსი-ნეშვილი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 სალივანი-9 (შ. უებერი-9), 0:2 ერატი-4 (რაიან სატერი-10, შ. უებერი-10), 0:3 ერატი-5 (რაიან სატერი-11, ს. კოსტიცინი-8), 1:3 ტედენბი-4 (კოვალჩუკი-10, როლსტონი-3).

**ფლორიდა-ბაფალო 6:2**

4:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 მაკეიბი-4 (მატიასი-6, დადონოვი-2), 2:0 რისონერი-5 (დადონოვი-3, ვიდემანი-13), 3:0 რისონერი-6 (გარისონი-3), 4:0 ბუტი-8 (ფროლიკი-11, მატიასი-7), 5:0 ფროლიკი-8 (ვეისი-10, ჰიგინსი-5), 5:1 როი-10 (მიერსი-7, ლალიმი-1), 6:1 ვეისი-8 (ჰიგინსი-6), 6:2 ტიმ კონოლი-6 (ჰეხტი-5, ენისი-9).

**ჩიკაგო-დეტროიტი 4:1**

2:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 შარპი-18 (სიბრუკი-16, ტეუვზი-16), 2:0 ბიკელი-9 (პიზანი-4, სიბრუკი-17), 2:1 ივსი-6 (ჯ. ერიქსონი-4, რაფალსკი-17), 3:1 კოპეცკი-4 (ბ. კემპბელი-9, ჰიალმარსონი-2), 4:1 კოპეცკი-5 (სკილი-8, დოუელი-9).

**კოლორადო-ოტავა 6:5 (ო)**

1:2, 2:1, 2:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ე. კარლსონი-6 (კელი-6, ი. რუუტუ-6), 1:1 გალიარდი-4 (შატენკირკი-13, პორტერი-4), 1:2 მ. მიხალეკი-7 (შენონი-5), 2:2 მაკლეოდი-4 (ლაილსი-22, დუპუი-5), 2:3 კარკნერი-1 (კ. ნილი-6, კელი-7), 3:3 დუშენი-12 (ლაილსი-23, შატენკირკი-14), 4:3 პორტერი-6 (დუპუი-6), 4:4 სპეცა-9 (კოვალიოვი-9, ფიშერი-8), 4:5 ალფრედსონი-11 (ფოლინო-8), 5:5 რ. ო'რაილი-4 (ვინიკი-8, ო'ბირნი-4), 6:5 დუშენი-13 (ფლიშმანი-12).

**18 დეკემბერი**

**ფილადელფია-რეინჯერსი 4:1**

0:0, 1:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ჟერდიოვი-12 (მ. რიჩარდსი-21), 1:1 ნოდლი-8 (ჟირუ-15), 2:1 სტეპანი-9 (ფროლოვი-9, ე. კრისტენსენი-8), 3:1 ლეინო-8 (ტიმონენი-15, ბრიერი-9), 4:1 ჟერდიოვი-13 (მეზაროში-12, ჯ. კარტერი-15).

**ატლანტა-ნიუ ჯერსი 7:1**

3:0, 1:1, 3:0

**გოლები:** 1:0 ჰეინსი-1 (სოპელი-4, ანტროპოვი-10), 2:0 ბულტონი-2 (ტორნბურნი-5, ოდუია-11), 3:0 ე. კეინი-11 (ე. სტიუარტი-10, ჰეინსი-4), 4:0 ლედი-11 (პევერლი-14, ენსტრიომი-20), 4:1 კოვალჩუკი-8 (ზაიაცი-13, ელიაში016), 5:1 ბულტონი-3 (ტორნბურნი-6, სლეიტერი-4), 6:1 ბულტონი-4, 7:1 ტორნბურნი-5 (ე. კეინი-10, ე. სტიუარტი-11).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 3:2**

3:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 პ. ბერჟერონი-6 (ველერი-5, მაკუიდი-2), 2:0 ფერენსი-1 (მარჩანდი-8, კრეისი-17), 3:0 ველერი-8 (პ. ბერჟერონი-13, ბოიჩუკი-6), 3:1 ბრედლი-3 (შტეკელი-3, ჰენდრიქსი-6), 3:2 ელზნერი-2 (ჯ. კარლსონი-12, ოვეჩკინი-25).

**კაროლინა-ანაჰაიმი 4:2**

2:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 გეტცლაფი-12 (პერი-21, რაიანი-13), 1:1 ე. სტაალი-14 (ი. იოკინენი-17, პიტკანენი-16), 2:1 ე. სტაალი-15 (მაკბეინი-8, ი. იოკინენი-18), 3:1 ე. სტაალი-16 (კოული-7, სკინერი-15), 3:2 გეტცლაფი-13 (ვიშნოვსკი-23, პერი-22), 4:2 კორვო-6 (ბ. სუტერი-6).

**კოლამბუსი-დალასი 1:2**

1:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ბ. რიჩარდსი-13 (რიბეირო-21, რობიდასი-13), 1:1 ტიუტინი-1 (მორო-5, სტრალმანი-9), 1:2 ბ. რიჩარდსი-14 (ლ. ერიქსონი-18).

**აილენდერსი-ფინიქსი 3:4**

0:1, 2:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ვრბატა-7 (დოუნი-10, იენდლი-15), 1:1 ჟონსუ-2 (ტავარესი-8, ვიშნიევსკი-15), 2:1 გრაბნერი-7 (ჟონსუ-1), 2:2 ვოსკი-5 (დოუნი-11, ეკმან-ლარსონი-6), 3:2 შრემპი-6 (გრაბნერი-4, ენდრიუ მაკდონალდი-2), 3:3 ჰანჟალი-9 (ვრბატა-11, იენდლი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** დოუნი (ფინიქსი), ნილსენი (აილენდერსი), ვრბატა (ფინიქსი), ტარისი (ფინიქსი).

**ტამპა ბეი-ბაფალო 3:1**

0:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 საიმონ განიე-3 (ლეკავალიე-7, სენტ ლუისი-27), 2:0 სტემკოსი-25 (სენტ ლუისი-28, მელოუნი-16), 2:1 პომინვილი-5 (ჰეხტი-6,სეკერა-7), 3:1 სენტ ლუისი-12 (სტემკოსი-21, ოლუნდი-4).

**ნეშვილი-ლოს ანჯელესი 1:6**

1:4, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯასტინ უილიამსი-11 (დ. ბრაუნი-13, დაუტი-11), 0:2 ტ. ლუისი-1 (პონიკაროვსკი-4, ვესტგარტი-2), 0:3 დაუტი-2 (ჰანძუში-6, სიმონდსი-5), 1:3 სალივანი-10 (რაიან სატერი-12, უილსონი-7), 1:4 რ. სმიტი-10 (დ. ბრაუნი-14, სტოლი-11), 1:5 პონიკაროვსკი-3 (მოლერი-1, ტ. ლუისი-3), 1:6 რ. სმიტი-11 (სტოლი-12, მოლერი-2).

**სტ. ლუისი-სან ხოსე 1:4**

0:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 კუტური-16 (დ. ბოილი-19, ქლოუ-21), 0:2 ვლასიჩი-2 (პაველსკი-15, მეიერსი-5), 0:3 კუტური-17 (დ. ბოილი-20, მარლო-13), 1:3 ბეკსი-7 (ბულიტი), 1:4 სეტოგუჩი-5 (ვლასიჩი-3, პაველსკი-16).

**ვანკუვერი-ტორონტო 4:1**

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ბაროუზი-6 (ბიესკა-4, დ. სედინი-22), 2:0 ჰანსენი-3 (კესლერი-10, ტამბელინი-5), 2:1 გრაბოვსკი-11 (მაკარტური-16, კულემინი-10), 3:1 ერჰოფი-5 (ჰანსენი-6, ედლერი-18), 4:1 ჰ. სედინი-6 (ბაროუზი-6, ბიესკა-5).

**კალგარი-მინესოტა 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 მიეტინენი-8 (მ. კოივუ-20, ბერნსი-9), 0:2 მ. კოივუ-7 (ბერნსი-10, ბრუნეტი-9), 0:3 კობესიუ-3 (მ. კოივუ-21, შულცი-7), 1:3 სტაიანი-2 (სერიჩი-7, ბურკი-11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ძველი დავა განახლდა

როგორც ცნობილია, 2012 წლის ბოლოს იწურება ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასა და ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის კონტრაქტი. სწორედ ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით რეპლიკები გაცვალეს „ფერარის“ პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** და ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა.**

მიუხედავად იმისა, რომ წარსულს ჩაბარდა კონფლიქტი გუნდებსა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ **მაქს მოსლის** შორის, საჯინიბოებმა, შესაძლოა, ორგანიზება გაუწიონ საკუთარ ჩემპიონატს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფედერაცია მათ რჩევებს არ გაითვალისწინებს.

*„დღეს ფორმულა 1 გზაგასაყარზეა. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება მართვის იმ სისტემაზე გადასვლა, რომელიც NBA-შია მიღებული, სადაც გუნდებს და პრომოუტერებს თანაბარი უფლებები გააჩნიათ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყოველთვის შევძლებთ ახალი პრომოუტერის მონახვას, რადგან ეს ძალიან ადვილი საქმეა.*

*რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია დანახარჯების შემცირება, რომელიც ფედერაციამ წამოიწყო, მაგრამ ეს პროცესი აბსურდამდე არ უნდა მივიდეს. მაგალითად, არასწორია სეზონის მსვლელობისას ტესტების აკრძალვა. FIA ეკონომიას ცდილობს, სინამდვილეში კი ხარჯები იზრდება, რადგან ყოველ წელს წესებს ცვლიან. ეს ფორმულა 1-ია, რომელმაც საავტომობილო სპორტში უახლოესი ტენდენციები უნდა შემოიტანოს, მაგრამ დღეს ასეთი რამ არ ხდება“*, - ამბობს ლუკა დე მონტეძემოლო.

80 წლის ექლსტოუნმა, რომელიც კვლავინდებურად აკონტროლებს ფორმულა 1-ის კომერციულ მხარეს, მყისვე უპასუხა იტალიელ ჩინოვნიკს: *„დე მონტეძემოლო ყოველ წელს ჩადის მონცაში და ერთსა და იმავეს ამბობს: „ჩვენ გვჭირდება მეტი ფული“. ეს ყველაფერი სისულელეა. არავინ არსად არ წავა. მათ ერთხელ უკვე სცადეს ამის გაკეთება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ლუკა - კარგი ბიჭია, მაგრამ ბევრი ლაპარაკი უყვარს და შემდეგ თავად ავიწყდება რა თქვა“.*

ექლსტოუნმა გაიხსენა 2009 წელს ატეხილი სკანდალი, როცა წამყვანი გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატიდან გასვლასა და ალტერნატიული სერიის ჩამოყალიბებას გეგმავდნენ, მაგრამ მაშინ კონფლიქტი მოსლის გადადგომით მოგვარდა.

სხვათა შორის, ბერნის დიქტატურის შესახებ საინტერესოა „მაკლარენის“ ყოფილი შეფის **რონ დენისის** სიტყვები: *„ბერნიმ მოხერხებულად „მოიპარა“ ფორმულა 1. მან გუნდებთან კონტრაქტების გაფორმებისთვის კომერციული ფაქტორი გამოიყენა და საბოლოოდ მათ ყველა უფლება ჩამოართვა, რაც წინა წლებში ჰქონდათ“.*

■ ■ ■

ამ უქმეებზე ცნობილი გახდა ბერნი ექლსტოუნის ახალი შენაძენის შესახებ. თავის დროზე, მან და „რენოს“ ყოფილმა შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** ინგლისური საფეხბურთო კლუბის - „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ აქციები შეიძინეს. ამის შემდეგ კლუბმა დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია და ბოლო დროს გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ ფლავიო და ბერნი თავიანთი წილის მიყიდვას აპირებდნენ „ფორს ინდიას“ მფლობელ **ვიჯეი მალიასთვის.**

კვირას ცნობილი გახდა, რომ ბრიატორემ მართლაც გაყიდა თავისი აქციები, ოღონდ მისი მფლობელი არა მალია, არამედ ექლსტოუნი გახდა. ბერნიმ ეს ცნობა გაზეთ „დეილი სტარში“ დაადასტურა.

*„ახლა აქციათა 62 პროცენტის მფლობელი ვარ, მაგრამ გუნდი იმისთვის არ შემიძენია, რომ ისევ მოვხვდე გაზეთების ფურცლებზე. უბრალოდ, მინდა მხარი დავუჭირო „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ხელმძღვანელ ნილ უორნოკს. ჩვენ არ შეგვიძლია „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ან „არსენალთან“ ბრძოლა, მაგრამ ჩვენი მიზანი - პრემიერლიგაში ბრძოლაა“*, - აცხადება ექლსტოუნი.

ბერნი ექლსტოუნი და რონ დენისი



ავტოსპორტი

# ავტოსპორტის 50

ტრადიციულ საშობაო ნომერში ბრიტანული ყოველკვირეული „ავტოსპორტი“ გასული საავტომობილო სეზონის 50 საუკეთესო მრბოლელს ასახელებს.

წელს რეიტინგს სათავეში ჩაუდგა ფორმულა 1-ის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი,** მეორე ადგილზე გავიდა ამ ნომინაციის შარშანდელი გამარჯვებული **ლუის ჰემილტონი,** მესამეზე - ნასკარის სერიის ჩემპიონი **ჯიმი ჯონსონი.**



ლაურეატები

### „ავტოსპორტის“ პირველი ათეული ასე გამოიყურება

1(3). სებასტიან ფეტელი (ფორმულა 1)
2(1). ლუის ჰემილტონი (ფორმულა 1)
3(3). ჯიმი ჯონსონი (NASCAR)
4(6). ფერნანდო ალონსო (ფორმულა 1)
5(5). სებასტიან ფეტელი (რალი)
6(6). დარიო ფრანკიტი (Indycar)
7(7). მარკ უებერი (ფორმულა 1)
8(28). უილი პაუერი (Indycar)
9(9). რობერტ კუბიცა (ფორმულა 1)
10(8). ჯენსონ ბატონი (ფორმულა 1)

### ათეულის მიღმა აღმოჩნდა ფორმულა 1-ის კიდევ ექვსი პილოტი:

12(6). ნიკო როსბერგი
19(5). რუბენს ბარიკელო
22(9). ნიკო ჰიულკენბერგი
24(17). კამუი კობაიაში
35(13). ტიმო გლოკი
42. ჰეიკი კოვალაინენი

# ევროპას ნასკარი ექნება

ევროპაში ახალი სარბოლო სერია გაჩნდება, რომელშიც გამოყენებული იქნება ამერიკული სერია ნასკარის მანქანები. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა ფრანგულ სერია Racecar-ს, რომელიც 2009 წლიდან ტარდება, ევროპის ჩემპიონატის სტატუსი მიანიჭოს.

Racecar Euro Series-ის ევროპის პირველი ჩემპიონატი 2011 წელს გაიმართება. მასში გაერთიანებული იქნება ექვსი ეტაპი, საიდანაც სამი საფრანგეთში ჩატარდება, თითო ინგლისში, ბენილუქსის ქვეყნებსა და ესპანეთში. გარდა ამისა, სეზონის დასრულების შემდეგ ამერიკის დაიტონაში „ყველა ვარსკვლავის“ საჩვენებელი ეტაპი გაიმართება.

Racecar-ის სერიაში გამოიყენება ავტომობილები, რომელიც პარამეტრებით მიახლოებულია ნასკარის მანქანებთან, მაგრამ ადაპტირებულია ევროპაში გამოსვლისთვის. მანქანის ძარას მომწოდებლები არიან კომპანიები - „შევროლე“, „დოჯი“ და „ფორდი“. ჩემპიონატში გამოიყენება 5.7-ლიტრიანი Chevrolet V8-ის ძრავები, რომელთა სიმძლავრე 450 ცხენის ძალას შეადგენს, მანქანის მასა კი 1170 კილოგრამია.

შესაძლებელია 2011 წლის სეზონისთვის განკუთვნილი მანქანის შეძენა. მისი ფასი 59 500 ევროა. 2009 წლის მოდელის ფასი 37 ათასი ევრო გახლავთ.

Racecar Euro Series-ში რბოლების ჩატარების რეგლამენტი და ქულათა დარიცხვის სისტემა ნასკარის ანალოგიურია. ამასთან, შეჯიბრება ორ ჩათვლაში მიმდინარეობს - Elite-სა და Open-ში. Open-ის კატეგორიაში მხოლოდ მოყვარული მრბოლელები დაიშვებიან.

ნასკარის რბოლა




ჩოგბურთი

# მარიამ პრინცზე უარი თქვა



შარაპოვა ჩოგანს იცვლის

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მარია შარაპოვამ** შეწყვიტა თანამშრომლობა ჩოგნების ცნობილ მწარმოებელ კომპანია Prince-სთან. ჯერჯერობით არ იტყობინებიან, რომელი ფირმის ჩოგნით გააგრძელებს კარიერას რუსი ჩოგბურთელი.

Prince-სა და შარაპოვას თანამშრომლობა 10 წელზე მეტხანს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მარიამ მოიგო „დიდი სლემის“ სამი ტურნირი - უიმბლდონი (2004), აშშ-ის ღია პირველობა (2006) და ავსტრალიის ღია პირველობა (2008). ამ ხელშეკრულების თანახმად, შარაპოვა წელიწადში 2 500 000 დოლარს იღებდა.

*„მთლიანად კმაყოფილი ვარ ჩვენი თანამშრომლობით, რომელიც 10 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა,* - ამბობს 23 წლის შარაპოვა. - *ამ ჩოგნების წყალობით ბევრი ტურნირის მოგება მოვასწარი“.*

Prince-სთან ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას 2011 წელს შეუძლია გამოიყენოს თავისი პროდუქცია შარაპოვას წარწერით.

მოტორბოლა



პერის ჰილტონს მოტოციკლები უყვარს

# ჰილტონმა საკუთარი გუნდი გაიჩინა

მომავალ წელს მოტოსპორტის მსოფლიოს ჩემპიონატში ძალიან საინტერესო გუნდი გამოვა. 125 კუბური სანტიმეტრის კლასში საკუთარი საჯინიბო ეყოლება ჰოლივუდური ბომონდის წარმომადგენელს, სკანდალურად ცნობილ **პერის ჰილტონს.** სასტუმროების ქსელის დამაარსებლის შვილიშვილმა გამოაცხადა, რომ თანამშრომლობა დაიწყო გუნდ BQR-თან.

ახალ გუნდს მეტად გრძელი სახელწოდება აქვს - SuperMartxe VIP by Paris Hilton. მის შემადგენლობაში გამოვლენ ესპანელი მოტომრბოლელები - **სერხიო გადეა** და **მავერიკ ვინალესი.** ასევე გუნდში იმუშავებს ლეგენდარული მექანიკოსი **როსანო ბრაზი,** რომელიც თავის დროზე მოტო გრან-პრის კლასში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ **ვალენტინო როსისთან** თანამშრომლობდა.

ჰილტონმა ეს ინფორმაცია „ტვიტერის“ სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა: *„დიდი მხიარულება იქნება. ძალიან მიყვარს მოტოციკლები!“*

ამ წლის დასაწყისში ჰოლივუდის ვარსკვლავი **ანტონიო ბანდერასი** უჭერდა მხარს მოტო გრან-პრის ერთ-ერთ გუნდს, მაგრამ მთავარი სპონსორის წასვლის შემდეგ ამ საჯინიბომ შეწყვიტა არსებობა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**